140
962/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

12 დეკემბერი 1962



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალ წელს გილოცავთ, ბავშვებო!

შემოდგა წელი ახალი
დაფდაფითა და ნაღარით,
შემოჰყვა ფიფქთა მაყარი,
ფერხულს უვლიან გარშემო;
თან მოიტანა ხალასი
სწავლის და შრომის ხალისი
და დიდი რწმენა ხვალისა
თქვენთვის,
ძვირფასო ბავშვებო!

იმედნიერეთ, იხარეთ,
სიმღერა დაამქუხარეთ, —
გამხიარულდა ბუხარიც —
კერია მამა-პაპათა,
სუყველას მოგვილხენია,
დღე — დღევანდელი თქვენია,
ახალი წელიც თქვენია —
ძველმა
წელმა რომ დაბადა!

ჩვენი მზე სხივთა მთოველი
და საქართველოს მთა-ველის
თითოეული მტკაველი
ფერხთ ფიანდაზად გფენიათ;
თქვენია ზეცა მაღალი,
რაკეტა კოსმოსს ნახალი
და თვით
კოსმოსიც თქვენია!

თქვენ შემოგხარით სამშობლო,
მისწვდებით ვარსკვლავთ
სამყოფლოს,
ხვალ პლანეტების დამპყრობნო,
ციურ ხომალდთა გამშვებნო,
იბეჯითეთ და ისწავლეთ,
თან შრომის მადლიც იწამეთ,
მტკიცედ დადექით მიწაზე,
დიად
სამშობლოს ბავშვებო!

რომ მერე კოსმოსს ეკვეთოთ,
ვეფხვთა და ლომთა ლეკვებო,
დიდი მომავლის მეკვლენო,
გულდიად ანამღერებნო,
გილოცავთ ახალ ახალ წელს!
გულით გვწამს: მამებს გაგვასწრებთ,
დროს წინ ასი წლით გადასწევთ,
სამყაროს წითლად გადასწერთ,
ძვირფასო
პიონერებო!

გაბრიელ ჯაბუშანური




საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
XXXVI
წელი


# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.


გ. ჯაბუშანური—ახალ წელს გილოცავთ, ბავშვებო (ლექსი) . . . . . . . . . . . გარეკ. . . . . 2

გ ი ლ ო ც ა ვ თ და გ პ ი რ დ ე ბ ი თ . . . . . . . 2

ე. ყიფიანი—მთვარის საქანელა (მოთხრობა. დასასრული) . . . . . . . . . . . . . . . . 4

ც. ელიგულაშვილი, ლ. პაიჭაძე—ნორჩ მეოჯახეთა კლუბი (წერილი) . . . . . . . . . . . 12

მ. ნაკუდაშვილი—ჩემს მასწავლებელს (ლექსი) . . 14

ტ. მებურიშვილი—მსაჯი (ლექსი) . . . . . . . . 14

გ. ბახტაძე—გამარჯვებისათვის იბრძვიან (ნარკვევი) 14

კ. პაუსტოვსკი—მოხუცი მზარეული (მოთხრობა. თარგმანი მზია ლომსაძისა) . . . . . . . . . 18

თ. ცაგარელი—სტარტი და ფინიში (ნარკვევი) . 20

მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა . . . . . . . 22

გ. ხიდაშონიძე—ჩვენი წარსულიდან (წერილი) . . 24

ა. ჩხარტიშვილი—ლაგურკა (წერილი) . . . . . . 25

რ ა ტ ო მ ვ ა მ ბ ო ბ თ ა ს ე? . . . . . . . . . . 27

ხარბი და გულუხვი (ქართული ხალხური ზღაპარი) 28

რ. ელანიძე—გაქვავებული ტყე (წერილი) . . . . . 30

ტ ე ქ ნ ი კ ი ს ს ა მ ყ ა რ ო შ ი . . . . . . . . . . 31

მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე . . . . . . . . . . 32

ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი . . . . . . . . გარეკანის . . 3


გარეკანის პირველი და მეორე გვერდის მხატვრობა—რ. ცუცქირიძისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—იუმორი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: რ. ცუცქირიძის, ნ. შალიკაშვილის, ე. ამბოკაძის, რ. თორდუას და კ. ყარაშვილის მიერ.


რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ქორქია, ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე.



# პიონერი

12 დეკემბერი 1962



ჩემო პატარა მეგობრებო, ჟურნალ «პიონერის» მკითხველებო, გილოცავთ ახალ 1963 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას სწავლასა და პიონერულ საქმიანობაში.

ახალი წელი ახალ შემოქმედებით გამარჯვებას ჰპირდება ყველას, ვისაც გულიცა და კალამიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის მიუძღვნია. ყველა საბჭოთა მოქალაქემ, დიდმა თუ პატარამ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, მშვიდობის, მეგობრობის დიადი საქმისათვის. განზრახული მაქვს 1963 წელს დავწერო ახალი ლექსები ამ დიდი იდეალებისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდების შესახებ. გარდა ამისა, 1963 წელსვე დავამთავრებ უცხოეთში ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წიგნს, ეგრეთწოდებულ პოეტურ რეპორტაჟს ევროპის, აზიისა და ამერიკის კონტინენტებზე მოგზაურობის შესახებ. ვეცდები ბავშვებიც არ დავივიწყო, და ახალი საბავშვო ლექსებიც გამოვაქვეყნო ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის ჟურნალ «პიონერში».

ჩემო ნორჩო მეგობრებო, ახალ წელს დიდი ხურჯინი ჰკიდია. ყველა ბეჯით ბავშვს შეხვდება კუთვნილი საჩუქარი.

**იოსებ ნონეშვილი**

მოგილოცავთ ახალი წლის მობრძანებას!

განათდა დიდი ცხოვრების წიგნის კიდევ ერთი ახალი ფურცელი. მასში ჩვენი სანუკვარი ოცნებები, იმედები, რწმენა სწერია, რომლის ხორცშესხმა თქვენც გეკუთვნით.

დგება ახალი წელი!

დედებს, მამებს, უფროს ადამიანებს იგი სიცოცხლის შემოდგომას გვიახლოვებს.

თქვენ კი, უფრო ნათელ გაზაფხულს.

რაც უფრო ჯანმაგარია გაზაფხული, მით უფრო უხვი და დოვლათიანია შემოდგომა.

და ჩვენ გვაქვს საამაყო და გასახარელი; გასული წელი ახალი ვაჟკაცური შემართებების, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში გამარჯვებების, კოსმოსის დაპყრობისათვის ბრძოლის დიდი წელი იყო,—მშვიდობისათვის ბრძოლის დიდი წელი!

ამ ახალ წელსაც, ჩვენი ერთადერთი მიზანია, კვლავ თავდადებით და დაუღალავად ვიმუშაოთ, ძალღონე არ დავზოგოთ თქვენთვის, ჩვენი მომავლისათვის. რადგან მხოლოდ თქვენ ხართ ჩვენი სიცოცხლის ყვავილები, ჩვენი



სიცოცხლის გაგრძელება, მისი უკვდავება.

ამ ახალ წელსაც, როგორც ყოველთვის, თქვენსკენაა მომართული ჩემი ფიქრი და ოცნება; თქვენ მოგეძღვნებათ ჩემი ყოველი სტრიქონი, ლექსი, პოემა, თქვენ,—ჩვენი მომავლის ნათელ ადამიანებს!

გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და შრომაში, ჩემო საყვარელო ბავშვებო!

**ალეკო შენგელია**

# გილოცავთ და

ახალი წლის მისალოცი სურვილები ახლა, ატომისა და კოსმოსის საუკუნეში, სულ სხვაა წარსულთან შედარებით. ბევრი ზღაპარი, რაც წინათ აუხდენელი ეგონათ, სინამდვილედ იქცა, ზღაპრის მფრინავი ხალიჩა კოსმოსური რაკეტით შეიცვალა.

თქვენ, ჩვენო პატარა მკითხველებო, შრომობთ და სწავლობთ ასეთ საინტერესო საუკუნეში. მომავალი თქვენ გეკუთვნით, თქვენ უნდა შესცვალოთ უფროსი თაობები, ამიტომ დიდი ვალი გაწევთ, პირველ რიგში ბეჯითი სწავლა და შრომა გმართებთ. ასეთი სურვილებით მინდა მოგილოცოთ ახალი წელი, და პირობა მოგცეთ, რომ მეც მცირედ წვლილს შევიტან თქვენს წინსვლაში. ეს მით უფრო მევალება, რომ თქვენთან ერთად მეც ვარ ჩვენი ჟურნალის მკითხველი და ერთ-ერთი მონაწილე. ამჟამად მე ვმუშაობ საკმაოდ მოზრდილ მოთხრობაზე სკოლის ცხოვრებიდან. საბავშვო გამომცემლობა «ნაკადულს» გადაცემული აქვს გამოსაცემად ჩემი ისტორიული მოთხრობა «პატარა კახი», ვამზადებ ახალ კრებულს ბუნების სხვადასხვა საკითხებზე. ჟურნალს ახალი წლის განმავლობაში მივაწოდებ მოთხრობებს, ზღაპრებს, წერილებს უმთავრესად ბუნების მოვლენებზე...

ახალი წლისათვის გისურვებთ უფრო მეტ წარმატებებს სწავლასა და შრომაში.

**როსტომ ელანიძე**



# გილოცავთ



საბავშვო პოემის „აჩიტა და ბაჩიტას“ შემდეგ რომელიც მე თქვენს უმცროს დაძმებს მივუძღვენი, ბევრი არაფერი დამიწერია ჩემი ნორჩი მეგობრებისათვის. მიზეზი ხომ ისევ თქვენა ხართ, სათქვენო წიგნების გამოცემაზე ზრუნვასა და შრომას ბევრი დრო შევალიე, ბევრი ფიქრი და ენერგია. ლექსები ცოტა დაგიწერეთ, მაგრამ ჩვენი მწერლების მრავალი საინტერესო წიგნი ხომ მოგაწოდეთ! სხვისი კარგი წიგნების გამოცემაც ჩემს შემოქმედებად მიმაჩნია და ამიტომ არ ვნანობ.

წელს კი... წელს მინდა ჩემი საკუთარი ხმაც მოგაწვდინოთ: მინდა დავწერო ვრცელი სათავგადასავლო ხასიათის პოემა, რომლის გმირებიც ისეთივე გოგონები და ბიჭუნები იქნებიან, როგორებიც თქვენა ხართ: „პიონერის“ მკითხველები.

ჩემი სურვილია ამ პოემის პირველი მკითხველებიც თქვენ იყოთ. ასევე, განზრახული მაქვს ხშირად შეგახსენოთ ჩემი თავი პატარ-პატარა ლექსებით.

საახალწლოდ თქმული უნდა შესრულდეს, მეც რა თქმა უნდა, არ გავტეხ სიტყვას. თქვენ კი გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, და პირველ რიგში, სასახელოდ სწავლას.

**ხუტა ბერულავა**



— ხვალ ახალი წელიწადია, — გვეტყოდა მე და ჩემს ძმას ბებია (ბებია ასი წლის იყო), — ადრე უნდა ადგეთ, არავინ გაჯობოთ, კარგად უნდა იცოდეთ გაკვეთილი, არ იჩხუბოთ, ხვალ ბედობის დღეა, რასაც ხვალ იბედებ, მორჩა, მთელ წელიწადს ისე გაატარებ!

დილით მოადგებოდა კარებს მეკვლე და დაიძახებდა:

— კარი გამიღეთ!

— რა მოგაქვს? — ჰკითხავდა ბებია და კარებს არ აღებდა.

— გამარჯვება და ბედნიერება. კარი გაჰიღეთ!

— რა მოგაქვს? — ვეძახდით ახლა ჩვენ და კარებს არ ვაღებდით,

— პური და ღვინო, ოქრო და ვერცხლი. კარი გამიღეთ!

— რა მოგაქვს?

— კაცთა მშვიდობა!

— მობრძანდით! მობრძანდით! — იტყოდა ბებია და კარებს ფართოდ გავაღებდით.

... და ასე მოდიოდა ახალი წელი.

აი, ახლა კიდევ მოდის ახალი წელი (იგი ყოველ წელიწადს მოდის), გილოცავთ მის მობრძანებას და გეძახით:

— კარი გამიღეთ!

— რა მოგაქვს! — მეკითხებით თქვენ.

— ახალი გამარჯვებები, ახალი წარმატებები სწავლასა და შრომაში. კარი გამიღეთ!

— რა მოგაქვს? — ისევ მეკითხებით.

— ბევრი დოვლათი, ხვავი და ბარაქა.

— რა მოგაქვს?

— მოთხრობები სვან ბიჭებზე, თეთრ ცხენსა და ყვავილებზე.

— რა მოგაქვს?

— სათავგადასავლო რომანი გამოქვაბულებზე, მარად თოვლიან მწვერვალებზე და საჯიხვეებზე.

ვიცი, თქვენ გიყვართ ამბები თქვენს თანატოლებზე, მოხერხებულ და უცნაურ პატარა გმირებზე. აი გამომცემლობა „ნაკადული“ საახალწლოდ გამოსცემს ჩემს მოთხრობას „ცხრა მთას იქით“. 1963 წელს კი ჟურნალ „პიონერში“ დაიწყება ბეჭდვა სათავგადასავლო რომანის და „ნაკადული“ იმასაც გამოსცემს ცალკე წიგნად.

აი, ეს მომაქვს მომავალ წლისათვის, ჩემო საყვარელო მკითხველებო.

— გამიღებთ კარებს?

**ოტია იოსელიანი**



ათასგვარ ფიქრსა და სურვილთან ერთად, რაც საახალწლოდ აღგვეძვრის ხოლმე, უპირველესი — ჩვენი ნორჩი თაობის წარმატება და ბედნიერებაა.

რა გისურვოთ ამ ახალ წელიწადს! კარგად სწავლა, კარგად შრომა! ჩვენი ოცნებაა კარგ მამულიშვილებად, სრულყოფილ ადამიანებად აღიზარდოთ.

ჩვენ, თქვენი უფროსი მეგობრები, შეძლებისდაგვარად თქვენთვის ვზრუნავთ. მეც, როგორც კომპოზიტორს, ვალი მაქვს თქვენს წინაშე, თქვენთვისაც მიმუშავნია, თქვენთვის დამიწერია საგუნდო სიმღერები: „შემოსულა მაისი“, „შრიალებს ჯეჯილში ნიავი“, სოლოს პარტიები „ბეკეკას სიმღერა“ მულტიპლიკაციური ფილმიდან „ბეკეკა“ და „პატარა ზანგის სიმღერა“. თქვენთვის დამიწერია ოპერეტა „კომბლე“.

თქვენ გიყვართ მუსიკა და მომავალი 1963 წლისთვის გპირდებით რამდენიმე საყმაწვილო სიმღერას ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანისა და ოთარ ჭელიძის ტექსტებზე. ამ სიმღერების ნაწილი, ალბათ, თქვენს საყვარელ ჟურნალ „პიონერში“ დაიბეჭდება,

ახალ წელს გილოცავთ, პატარა მეგობრებო! მინდა 1963 წელს კიდევ უფრო მეტად შეიყვაროთ მუსიკა და თქვენი სარკმლებიდან მხიარული, ხალისიანი, ბედნიერი სიმღერები მესმოდეს.

**რევაზ ლაღიძე**

# მთვარის საქანელა

ელიზერ ყიფიანი

მოთხრობა*

ნახ. რ. ცუცქირიძისა

გადიოდა ზაფხულის ოქროსფერი დღეები, თბილი და წყნარი, დაუვიწყარი საღამოები, ჰყვაოდა ირგვლივ ყველაფერი, მწიფდებოდნენ ყანები, ლეღვები, ატმები, გულს იდებდა სიმინდი, მზეს შაქარს პარავდა ყურძნის მარცვალი, მზესუმზირები მოჯადოებულებივით თვალს ვერ აცილებდნენ მნათობს, იზრდებოდა ბალახი, იზრდებოდნენ მინდვრის ყვავილები და ბავშვები, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდა, რადგან მათთან ერთად იზრდებოდა ყველაფერი, იზრდებოდა ლურჯი და კრიალა ცა, მაღლდებოდა ტყე და მაღლდებოდნენ მთები, იზრდებოდნენ წიწილები და ხარები, იზრდებოდა გზა და სიცოცხლის სიყვარული.

გზის მშენებლები ძალიან მადლიერნი იყვნენ „მზარეულთა ბრიგადის". თუმცა ეს სახელი სწყინდა ჯუმბერს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა, ყოველ სადილობისას ელოდნენ მშეთელი მშენებლები პატარა ურმის გამოჩენას, ბავშვების მოტანილი საჭმელი უფრო ეგემრიელებოდათ მუშებს.

ჯუმბერს კი უფროდაუფრო ხშირად აგონდებოდა მანანა...

ხანდახან გაუსხლტებოდა მანანას სახე, ვეღარ წარმოიდგენდა მის თბილ ღიმილს, ჭკვიანურ თვალებს, ვეღარ გაიხსენებდა მის ხმას, და უეცრად მოეჩვენებოდა, რომ მანანა მისი გამოგონილი არსება იყო, მისი ფანტაზიის ნაყოფი... ყველაფერი ელანდებოდა ჯუმბერს, თბილისიც, ოლიმპიადაც, მანანას გაცნობა, მათი შეხვედრა გზის მშენებლობაზე და საუბარი... ამ დროს საშინლად წყდებოდა გული ჯუმბერს. თითქოს სადღაც დუღდა დიდი, მჩქეფარე ცხოვრება, სიხარულით, სილამაზით, სიცილითა და ყიჟინით სავსე, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა, ერთმანეთი უყვარდათ, თვალებში უყურებდნენ, რომ ერთმანეთის სურვილი გამოეცნოთ და მყისვე შეესრულებინათ, ჯუმბერი კი შორს იყო იქიდან, მარტოდმარტო ატარებდა დღეებს და ღამეებს და არავინ, არავინ იცოდა ეს...

ამ დროს მას სასაცილოდ ეჩვენებოდა თავისი საქმიანობა, უფრო პატარავდებოდა მისი პატარა ურემი, პატარავდებოდა ყველაფერი და ჯუმბერს უნდოდა რაღაც საოცარი, არნახული გმირობის ჩადენა. მთელი სოფლის გადარჩენა მძვინვარე ხანძრისაგან ან ათასი მტრის ერთად შებოჭვა, ყველაზე შორეულ ვარსკვლავზე გაფრენა და იქიდან სამყაროს მოულოდნელი საკვირველების გადმოცემა რადიოთი; მის ხმას მოისმენდა მთელი დედამიწა, მოისმენდა კატო ბებია, დედა და ბიძია სანდრო, ხალხი ქუჩაში იქნებოდა გამოფენილი, გაზეთები აჭრელდებოდა ჯუმბერის სურათებით და ყველა გაზეთს შეინახავდა მანანა...

ტოტჩამოტეხილ ალვის ხეს სათუთად უვლიდნენ ბავშვები, დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდათ. მშენებლებს კირი სთხოვეს, ურმით ამოიტანეს და ალვის ხის ძირას მოასხეს. რომ ზედ ჭია-ღუა აღარ შეცოცებულიყო. [illegible] ლოდიებ-ში იქვე, წყაროდან წყალს იღებდნენ და რწყავდნენ. თუმცა კლდიან ნიადაგში ღრმად გამდგარი ხის ფესვები ისედაც შოულობდა წყალს. ბავშვები ამბაკო ბაბუას ხშირი სტუმრები გახდნენ, მით უმეტეს, რომ ახალი გზა უკვე ბორცვზე აცოცებულიყო და უფრო დაახლოებოდა მოხუცის კარ-მიდამოს.

იმ დღესაც, სადილობის შემდეგ, ამბაკო ბაბუას სანახავად გაეშურნენ.

ბავშვებმა მოკრძალებით ჩაუარეს ალვის ხეს, ყოველმა მათგანმა ძირიდან კენწერომდე აათვალიერა, თითქოს უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ხე იზრდებოდა, ცოცხლობდა და სუნთქავდა.

ჯუმბერი ჭიშკარს მიადგა და დაიძახა:

— ამბაკო ბაბუა!

დუმილი ჩამოვარდა. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეზოდან ვარდების მკვეთრი, დამათრობელი სურნელება იფრქვეოდა.

— ამბაკო ბაბუა! — გაიმეორა ჯუმბერმა.

— იქნებ სძინავს? შევიდეთ! —თქვა ვახტანგმა.

სახლს მიუახლოვდნენ, ლიამ ფეხისწვერებზე აიწია და ფანჯარაში შეიხედა, მაგრამ ოთახში ბნელოდა და ვერაფერი დაინახა. ვახტანგმა კარზე დააკაკუნა. ბაბუას პასუხის მაგივრად, კარი ცოცხალივით შეინძრა, პირი გახსნა და ჭრიალ-ჭრიალით ბოლომდე გაიღო, ვახტანგმა უნებურად კარის დირეს გადააბიჯა.

— ნუ შედიხარ, გამოდი აქეთ!—დაუყვირა ჯუმბერმა.

მაგრამ ვახტანგს დათოც შეჰყვა ოთახში, ლიაც გაუჩინარდა კარს იქით. ჯუმბერი გაბრაზდა: მასპინძელი შინ არ არის, კარი ღია დაუტოვებია, ამათ კი დაჰკრეს ფეხი და შელაგდნენო. ჯუმბერმა ანკესის ჯოხი კედელს მიაყუდა, ის იყო უნდა შევარდნილიყო და პანტაპუნტით გამოეყარა დაუპატიჟებელი სტუმრები, რომ უეცრად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ განაცვიფრა. გაუკვირდა, ბავშვების ხმა რომ გაქრა ასე ერთბაშად.

ფრთხილი ნაბიჯებით მიადგა კარს ჯუმბერი და ოთახში შეიხედა. ვახტანგი, დათო და ლია კარისკენ ზურგშებრუნებულნი იდგნენ და მოჯადოებულებივით აჰყურებდნენ კედელზე ჩამოკიდებულ დიდ სურათს. სურათზე გამოხატული იყო ავიაციის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ჭაბუკი, თავი ოდნავ მოებრუნებინა, ბავშვებს დასცქეროდა და უღიმოდა. ჯუმბერს არასოდეს ენახა ამბაკო ბაბუას დაღუპული შვილი, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სურათზე აღბეჭდილი კაცი ის იყო. ალბათ, ბავშვებიც მიმხვდარიყვნენ ამას, იმიტომ გაშეშებულიყვნენ და დადუმებულიყვნენ.

ჯუმბერს გადაავიწყდა თავისი გაბრაზება, სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა, თვითონაც შეაბიჯა ოთახში, თვითონაც გაირინდა. კარადის თავზე სქელყდიან ალბომს მოჰკრა თვალი. აიღო, მაგიდასთან მიიტანა და გადაფურცლა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ ჯუმბერს.

ალბომის პირველ ფურცელზე პატარა ბიჭუნას ფოტოსურათი ჩაეკრათ. ბავშვი წელზევიც შიშველი იყო, რაღაცას გულიანად გაეცინებინა, მისი მარჯვენა ხელი ეჭირა დიდ, დაძარღვულ ხელს, ის დიდხელიანი თვითონ არ ჩანდა სურათზე. ალბომის მეორე ფურცელზეც იმავე ბიჭის სურათი იყო ჩაკრული, ოღონდ უფრო გაზრდილი ჩანდა — ვიღაც ქალს

* დასასრული. იხ. „პიონერი" № 11



ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯდა კალთაში და ხელში დიდი ვაშლი ეჭირა.

ჯუმბერმა ალბომი გადაშალა. ისევ ის ბავშვი შეიცნო სურათზე. ბიჭს პიონერის ყელსახვევი ეკეთა და იღლიაში სკოლის ჩანთა ამოეჩარა. ალბომის ყოველ გადაფურცვლაზე თანდათან იზრდებოდა ის ბიჭი. აი, ქალაქის ქუჩაში მოაბიჯებს... აგერ, ამხანაგებს ეგუნდავება... მანქანაში ზის და სარკმლიდან თავი გამოუყვია... პაპიროსს ეწევა... ვიღაც გოგოსთან ერთად ზის ბაღში, მერხზე გადაშლილი წიგნები უწყვია... შლიაპა ახურავს და შავი ჰალსტუხი უკეთია... და უეცრად გამოჩნდა იგივე სურათი, კედელზე რომ ჰკიდია... ალბათ, აქედან გაადიდეს...

ალბომის დანარჩენი ფურცლები ცარიელი იყო.

„მეტის გადაღება აღარ დასცალდა“, —გაიფიქრა ჯუმბერმა.

უეცრად შორიდან უცნაური ჟღრიალი მოესმათ ბავშვებს, ოთახიდან გამოცვივდნენ და ფერდობზე გადადგნენ. ქვემოთ, სიმინდის ყანისა და ტყის საზღვართან იდგა ამბაკო ბაბუა და რაღაცას საქმიანობდა — სწორედ იმ ადგილას, სადაც პირველად მოჰკრა თვალი ქალაქიდან ახლადჩამოსულმა დათომ და ტყის კაცად მოეჩვენა,

უცნაური ჟღრიალი კვლავ განმეორდა. ბავშვები ფერდობზე დაეშვნენ.

ბაბუას თითქოს არც შეუმჩნევია პატარები, დახრილიყო და ნაჯახის ყუით ახალგათლილ პალოს ასობდა მიწაში, მერე წელში გაიმართა, აქოშინებული ბავშვები შეათვალიერა და თქვა:

— რა მოგარბენინებდათ, ნელა ვერ წამოდიით?

მიწაში სამკუთხედად განლაგებული სამი პალო იყო დასობილი, ერთ-ერთ პალოს თავზე რკინის ფურცელი დაეჭედებია ამბაკო ბაბუას. პალოებს ხისგან გამოთლილი უზარმაზარი კოვზის მსგავსი სარაკუნო დაყრდნობოდა. ღარიდან მიშვებული წყალი ნელ-ნელა ავსებდა ამ „კოვზს“.

— რა არის ეს, ამბაკო ბაბუა? — ყველას მაგივრად ჰკითხა ვახტანგმა.

— საფრთხობელაა!

— ეს რა საფრთხობელაა, ვის შეეშინდება ამ საფრთხობელის?

თითქოს ვახტანგის საპასუხოდო, ხის დიდი კოვზი წყლით შეივსო, გადასძალა ტარის სიმძიმე, აყირავდა, მაგრამ აყირავებული კოვზიდან წყალი გადმოიღვარა, ახლა ისევ ტარმა გადასძალა და ხმაურითა და ჟღარუნით დაენარცხა რკინისთავიან პალოს — ისეთი საშინელი ხმა გამოიღო, რომ ვახტანგი შიშისაგან შეხტა.

ამბაკო ბაბუას გაეღიმა.

— ხომ არ შეგეშინდა, ბიჭო?

— არა, ბაბუა... არ გავიწუწო-მეთქი და.. მერე, ვინ უნდა დააფრთხოს ამ საფრთხობელამ?

— მაჩვები! — თქვა მოხუცმა და ღარის წყალში ხელები ამოიბანა, — შემოეჩვივნენ ყანას. ა, ხედავთ? — ამბაკომ ფეხსაცმლის წვერი დაადო მაჩვისაგან გადაღრღნილსა და წაქცეულ სიმინდს.

—ა, კიდევ... აგერ... ეგერ კიდევ. ამ ტყიდან შემოდიან გასაწყვეტლები!

ხის დიდი კოვზი წყლით აივსო, გადაყირავდა და ტარმა კვლავ მოადინა ჭახანი რკინისთავიან პალოზე.

ამ დროს მაღლიდან ვიღაცის ძახილი მოისმა:

— ამბაკო, უუ!

ამბაკოს სახლთან, ბორცვის თავზე, ორი კაცი გადმომდგარიყო.

—რომელი ხარ?!—ასძახა მოხუცმა.

კაცები დაღმართზე დაეშვნენ და მალე ყანისპირას გაჩნდნენ.

ერთი — გზის სამუშაოთა მწარმოებელი, ასლანი იყო, მეორე — ამბაკოს მეზობელი, მზეთელი ბარნაბა.

— გამარჯობათ, ამბაკო ბატონო!

— იცოცხლეთ, ჩემო ბატონო! — ხელი გაუწოდა მოხუცმა ასლანს.

— ხომ კარგად ბრძანდებით?

— ვარ ასე, აღარ ამომძვრა სული!

— რავა გეკადრებათ, — თქვა ბარნაბამ, — ჯერ კიდევ ჯობიხართ ბევრ ახალგაზრდას...

— ასე მტერმა გაჯობოს... — ჩაიბუტბუტა ამბაკომ და კაცები ყურადღებით შეათვალიერა. მიხვდა, საქმეზე იყვნენ მოსულნი.

ასლანსა და ბარნაბას რაღაც აწუხებდათ, რაღაცის თქმა უნდოდათ და ვერ გაებედათ, ხან ერთმანეთს გადახედავდნენ, ხან მოხუცს გაუშტერებდნენ თვალებს, მერე დამნაშავეებივით თავებს ძირს დახრიდნენ. ამბაკომ გუმანით იგრძნო ტკბილი სიტყვის სათქმელად არ იყვნენ მოსულნი.

— რაშია საქმე, რამე ცუდი ამბავი ხომ არაა? — შეშფოთებით იკითხა მან.

უხერხულობისაგან ბარნაბამ მიწა ჩატკეპნა ფეხსაცმლის ქუსლით, თითქოს გადაუდებელი რამ იყო სველი მიწის მოსწორება. მოხუცი უფრო აღელდა.



— თქვით, ბატონო ასლან, რაც მე უბედურება დამატყდა თავს, იმაზე უარესს რას მეტყვით?

— ღმერთმა დაგიფაროთ, ამბაკო ბატონო, მაგრამ...

—თქვი, ჰო, თქვი...

—მაგრამ ინჟინერმა გთხოვათ... არჩილმა... უჰ, რა კარგი საფრთხობელა მოგიწყვიათ! — უეცრად შეატრიალა სიტყვა ასლანმა, ეტყობა, მასაც უჭირდა სათქმელის გამჟღავნება, — ა, ბარნაბა, ავტომატივით არ მუშაობს ეს საფრთხობელა?

— კი, კარგია, — ჩაილაპარაკა ბარნაბამ და მიწის ტკეპნა განაგრძო.

„ ნეტავი, რას ღერღავენ? — გაიფიქრა ჯუმბერმა, — ასე რატომ იწურებიან, რა აქვთ სათქმელი?“

— არაფერია, ამბაკო ბატონო, არაფერია ისეთი, — დაიწყო ასლანმა, — ჩვენმა ინჟინერმა გთხოვათ... ხომ მოგეხსენებათ ... ახალმა გზამ თქვენი სახლის წინ უნდა ჩაიაროს და...

მოხუცი შეფიქრიანდა, მიწას დააცქერდა, მერე ხელები გაშალა და ასლანს მიმართა უკვე დამშვიდებული და წყნარი ხმით:

— მივხვდი, ბატონო... კარგ ადგილზე კი მაქვს სახლი, მაგრამ რას იზამ, თუ ახალ გზას უშლის ხელს, გადავდგათ. დამეხმარეთ და სხვა ადგილზე გადავიტანოთ, — თქვა ეს მოხუცმა და ხელახლა აეშალა სახე, რადგან ვერც ასლანის, ვერც ბარნაბას თვალებში ვერ ამოიკითხა მისი იოლი თანხმობისაგან გამოწვეული კმაყოფილება, პირიქით, უფრო მოეღუშათ წარბები მოციქულებს, უფრო მეტი უხერხულობა დაეტყოთ:

— სახლი არ უშლის, ამბაკო ბატონო, — ჩაილუღლუღა ბარნაბამ.

— აბა?! — განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა მოხუცს.

— ალვის ხე უშლის...

ამ დროს გაისმა საფრთხობელას შესაზარი ჭახანი და ბარნაბას პასუხიც უფრო შესაზარად ჩაესმათ ყურში ბავშვებს.

ამბაკოს თავზარი დაეცა, ერთბაშად ღონე გამოეცალა, ისე ჩაიკეცა მიწაზე, თითქოს კაცი კი არა, ხალათი დავარდნილიყოს, სადღაც შორიდან მოისმა მისი დაგუბული, მიმქრალი ხმა:

— ბარნაბა... შენ ხომ იცი მაგ ხე...

— როგორ გეკადრებათ... როგორ არ ვიცი, ასლანმაც იცის, ინჟინერსაც ვუთხარით... შეწუხდა ძალიან, მაგრამ რა ვქნა, ხე ზედ შუა გზაზე დგასო.

— ბარნაბა... შენ ხო იცნობდი ჩემ ბიჭს...

— ძალიან კარგად, ამბაკო ბატონო, ჩემი კბილა იყო, ერთად ვსწავლობდით...

— ბარნაბას ცრემლი მოებჯინა ყელში და სიტყვა გაუწყდა.

— ბარნაბა... ნუ გამაუბედურებთ, ბიჭო!

ჯუმბერმა ბავშვებს რაღაც ანიშნა, ისინი შეუმჩნევლად გაიკრიფნენ, ტყეში შევიდნენ და აჩქარებული ნაბიჯებით გაუყვნენ მშენებლობისაკენ მიმავალ ბილიკს.

გზის სამუშაოთა მწარმოებელი, ასლანი, თავს დაადგა მიწაზე ჩამჯდარ ამბაკოს, შეწუხებულიყო მისი წუხილით, განხნევება და იმედის მიცემა უნდოდა. აქაური არ იყო და ამ უცხო ბერიკაცისადმი ორმაგად დამნაშავედ გრძნობდა თავს.

— ბატონო ამბაკო, თუ მოვახერხეთ, გადავრგავთ ხეს, ცოტა ძნელი კია, საგანგებოდ უნდა გამოვუძახოთ ამის მცოდნე ხალხს... ერთი თხუთმეტი ტონა მიწა მაინც უნდა გავაყოლოთ ხეს, რომ არ გახმეს...

— რაღა მოჭრა და რაღა გადარგვა, — ამოიკვნესა ამბაკომ, — ხე იქ დარგო ჩემმა შვილმა და იქ უნდა დარჩეს...

— გზის მშენებლობა შეფერხდება, ამბაკო ბატონო, ყოველი დღე გათვლილი გვაქვს, რომ დავაგვიანოთ, ელსადგურის მშენებლობაც დაგვიანდება... თქვენ არ გესწავლებათ, ჩვენზე უკეთ იცით ეს...

მოხუცმა წამოდგომა დააპირა, ვერ შეძლო. ორივენი მისცვივდნენ, აქეთ-იქიდან ხელები ჩაავლეს და წამოაყენეს. ამბაკო შებრუნდა, უსიტყვოდ, გამოუმშვიდობებლად დაადგა ტყისკენ მიმავალ ბილიკს, ასლანმა და ბარნაბამ ერთმანეთს გადახედეს.

უეცრად მოხუცი შეჩერდა, ნახევრად შემობრუნდა მათკენ.

— მოსჭერით, — თქვა მან, — მოსჭერით!

ბარნაბამ თავში ხელები იტაცა, ეგონა, ამბაკომ საბოლოო უარი თქვა ჩვენს თხოვნაზეო, ლამის უხაროდა ეს ამბავი, ამ მოულოდნელმა თანხმობამ კი გული ატკინა, იცოდა რა ფასადაც დაუჯდებოდა ბერიკაცს ალვის ხის მოჭრა.

მძიმე, უთანაბრო ნაბიჯებით მიჰყვებოდა ტყეში შემავალ ბილიკს ამბაკო, ხელები ზურგს უკან შემოეწყო და თანდათან პატარავდებოდა.

სინდისი ქეჯნიდა ასლანს, მაგრამ რა მისი ბრალი იყო, არც არავისი ბრალი იყო ალვის ხის გარშემო დატრიალებული ამბავი. გზა ვერ ასცდებოდა წინასწარ გაანგარიშებულსა და დადგენილ მიმართულებას.

იმ საღამოს ბავშვებმა ვერსად ნახეს არჩილ ბიძია და შინ დაბრუნდნენ. ადრე დაიძინეს, ჯუმბერს კი თვალი არ ეხუჭებოდა, ეშინოდა, ვაი თუ ხვალ დილამდე მოჭრან ხე, აგონდებოდა კედელზე ჩამოკიდებული სურათი და მფრინავის გაღიმებული სახე, თითქოს ხელახლა ფურცლავდა ალბომს და ხელახლა ხედავდა იმ პატარა ბიჭს, რომელიც ფურცლიდან ფურცელში იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა და ბოლოს ქრებოდა ალბომიდან... და ჯუმბერს მოუნდა ალბომის გაგრძელება, უნდოდა იმ ცარიელ ფურცლებზეც ჩაეკრა მფრინავის სურათები. და მან ოცნებით განაგრძო უხილავი ალბომის ფურცვლა; აი, ომი დამთავრდა და ამბაკოს შვილი ჩამოვიდა სოფელში... აი, უკვე აღარ აცვია მფრინავის ფორმა... აგერ, შვილებთანაა გადაღებული ალვის ხესთან... აი, გზის მშენებლობაზე გადაღებული სურათიც— ჯუმბერს თავისი ურმით სადილი მოუტანია და ამბაკოს შვილი მადლობას უხდის ამისათვის... აი, ბიძია სანდრო და ამბაკოს შვილი, ექსკავატორთან გადაუღიათ სურათი... ფურცლები აღარ ილეოდა, სქელდებოდა და სქელდებოდა ალბომი, ბოლოს ისე გაიზარდა, რომ ჯუმბერმა ძლივს შემოდო ამბაკო ბაბუას განჯინის თავზე...

„ რატომ არ მოხდა მერე ასე? —ჰკითხა თავისთავს ჯუმბერმა, — იმიტომ, რომ ომი იყო და ამბაკო ბაბუას შვილმა ფაშისტების გემს დააჯახა თვითმფრინავი, გემიცააფეთქა და თვითონაც აფეთქდა... რატომ დააჯახა? იმიტომ, რომ ფაშისტების გემი ჩვენს ნავსადგურს ესროდა. რატომ ესროდა? იმიტომ, რომ მერე ჩვენს ნავსადგურსა და ქალაქებში შემოსულიყვნენ. რატომ უნდა შემოსულიყვნენ? ა?.., რატომ უნდა შემოსულიყვნენ ფაშისტები ჩვენს ქალაქებსა და ნავსადგურებში? რა უნდოდათ? მით უმეტეს, თუ წინასწარ დაანგრევდნენ, მერე რაღა უნდოდათ? არა, ჯუმბერი ისეთი უვიცი როდია, არ ესმოდეს რას ნიშნავს სამშობლოს დაცვა. როცა მტერი დაგესხმის, უნდა დაამარცხო — ამას ომი ჰქვია, ეს იცის ჯუმბერმა. მაგრამ ვერაფრით ვერ მიმხვდარა, რატომ უნდა დაგვესხას მტერი თავზე, რატომ უნდა შემოგვესიოს ტანკებითა და თვითმფრინავებით ან საერთოდ, რატომ არსებობს მტერი?..“

დილით ოთხივენი მშენებლობაზე იყვნენ, ვინ იცის, სადილობამდე რომ და-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეცადათ, რა მოხდებოდა, რას დამართებდნენ ხეს. ამიტომ ადრე მისვლა არჩია ჯუმბერმა და ბავშვებიც, რა თქმა უნდა, დაეთანხმნენ უფროსის აზრს.

ბულდოზერები აღმართს შედგომოდნენ და ძირფესვიანად თხრიდნენ ბუჩქებს, მათი გზა ალვის ხისაკენ მიემართებოდა. ბავშვებმა კანტორასთან მიაგნეს მთავარ ინჟინერს.

— რამ მოგიყვანათ ამ უთენია?! — გაუკვირდა არჩილს.

— ბიძია არჩილ, — დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდა ჯუმბერი,— დიდი სათხოვარი გვაქვს თქვენთან... ოღონდ ჯერ გვითხარით, რომ შეგვისრულებთ, რაც არ უნდა იყოს.

— დიდი სათხოვარი? რა უნდა მთხოვოთ ისეთი... — გაეღიმა არჩილს, რადგან ბავშვები უჩვეულოდ ღელავდნენ.

— შეგვისრულებთ? — გაიმეორა ჯუმბერმა.

მთავარი ინჟინერი დაფიქრდა. ასე ერთბაშად ვერ უპასუხებს ამ გამომწვევ კითხვას, თუ დაჰპირდი, სიტყვა არ უნდა გატეხო, უნდა შეუსრულო... მაინც რა უნდა თხოვონ?

ამ ფიქრებში მისი მზერა წააწყდა მაღლობზე მდგარ ალვის ხეს და უეცრად ყველაფერს მიხვდა.

—ა, ბიძია არჩილ, გვაძლევ პირობას? — შეკითხვას კი არა, უფრო მუდარას გამოხატავდა ჯუმბერის ხმა.

— ალვის ხე აუცილებლად უნდა მოვჭრათ. სხვა რაც გინდათ მთხოვეთ!

ბავშვები სახტად დარჩნენ. არჩილ ბიძია უსიტყვოდ მიუხვდა თხოვნას და ჯუმბერმა იგრძნო, რამდენად აუცილებელი იყო ხის მოჭრა.

— იქ რომ გაშლილი მინდორი იყოს, მაშინ სხვა საქმეა, — ამბობდა მთავარი ინჟინერი, — ხეს გვერდს ავუვლიდით, მაგრამ, ხომ ხედავთ, არ არის ასავლელი ადგილი. თუ გზა გვინდა, ხესაც უნდა შეველიოთ...

— უნდა მოჭრათ? —ცრემლი ყელში მოებჯინა ჯუმბერს. — ბიძია არჩილ, თქვენ ხომ იცით, რომ ის ხე ამბაკო ბაბუას შვილმა დარგო!

— ვიცი!

— მფრინავი იყო, დაიღუპა...

— ვიცი, ჯუმბერ, ყველაფერი ვიცი... მაგრამ მაშინ დავანებოთ თავი მშენებლობას და დავრჩეთ უგზოდ, — როგორც ტოლმა ტოლს, ისე უპასუხა არჩილმა ჯუმბერს.

— ამბაკო ბაბუა ჯავრით მოკვდება...

— მე ვიყავი ამბაკოსთან, — თქვა არჩილმა, — ყველაფერი ავუხსენი, განვუმარტე...

—იყავით და მაინც ჭრით?

— უნდა მოვჭრათ!

— მაშინ მე აღარ ვიმუშავებ თქვენს მშენებლობაზე, — მოულოდნელად წამოიძახა ჯუმბერმა, შეტრიალდა და წავიდა.

— არც მე! — თქვა ვახტანგმა და ძმას დაედევნა.

— აღარც მე დაგეხმარებით! —დაიწრიპინა ლიამ და დათოს მკლავში ხელი წაავლო. — წავიდეთ, დათო!

—არა, მე... მე... დავრჩები, — ხელი გააშვებინა დათომ, — მე არასოდეს მინახავს ხის მოჭრა.

ლიამ ერთ ხანს უყურა დათოს, მერე ენა გამოუყო და ძმებს დაედევნა. ბავშვები მალე თვალს მიეფარნენ.

მთავარი ინჟინერი კანტორაში შევიდა.

— ასლან, ხომ არაფერი დაურეკიათ ელსადგურიდან? — ჰკითხა მან სამუშაოთა მწარმოებელს.

— არაფერი, პატივცემულო არჩილ!

— როდის უნდა მოჭრათ? — ჰკითხა უხალისოდ არჩილმა.

— აი, მხერხავები გარეთ მელოდებიან, გაყოლა მთხოვეს, ჩვენ მარტო ვერ მივალთ და ვერ მოვჭრითო.

ასლანმა ქუდი დაიხურა და ინჟინერთან ერთად კანტორიდან გამოვიდა. დათო მიწაზე იჯდა, მათ დანახვაზე წამოხტა და შარვალი გულმოდგინედ ჩაიფერთხა. ბიძია არჩილმა ყურადღება არ მიაქცია დათოს, თავის მანქანაში ჩაჯდა და წავიდა... ასლანი კი მხერხავებთან ერთად ალვის ხისაკენ გაემართა. დათო შორიახლო გაჰყვა. როცა ქვისსამტვრევს ჩაუარეს გვერდით, ასლანმა გასძახა:

— ბარნაბა, თუ კაცი ხარ, მოდი ერთი წუთით!

ბარნაბამ მიირბინა.

— ვჭრით ახლა და უნდა წამოხვიდე, ვინ იცის, ხერხის ხრიალს რომ გაიგონებს, რა დაემართება მოხუცს... შენ უფრო ეტყვი სათქმელს, უფრო დაამშვიდებ.

ბარნაბას ხასიათი გაუფუჭდა.

— იმას რაღა დაამშვიდებს! —თქვა მან და ასლანს აედევნა უხალისოდ.

როცა ბორცვს აალწიეს, ბარნაბა ამბაკოს სახლს მიუახლოვდა, დააყურა, ჩამიჩუმი არ ისმოდა, მოხუცი შინ არ უნდა ყოფილიყო, თუ იყო, ალბათ, ეძინა. ბარნაბამ მხერხავებს ანიშნა, დაიწყეთო.

— ისე მოჭერით, რომ იქით არ წაიქცეს! — თქვა ასლანმა და ამბაკოს სახლისკენ მიუთითა.

ის იყო ბირდაბირი გამართეს და ხესთან ჩაიჩოქეს მხერხავებმა რომ, უეცრად მაღლიდან მოისმა ჩიტის ჭიკჭიკისებური უცნაური სტვენა. ყველამ განცვიფრებით აიხედა — ხის კენწეროზე ვიღაც ბავშვი ქანაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი ხარ მანდ? — ასძახა ასლანმა.

— მე ვარ ჩიტი-ჩიორა!

— ჩიორა კი არა, ყვავი იქნები შენ, ჩამოდი ამ წუთში ძირს!

— მე მიწაზე არ დავდივარ, — ჩაშოსძახა „ჩიტმა-ჩიორამ“, —მე ხეზე მიყვარს ჯდომა! — და ისევ დაუსტვინა.

— ეს ჯუმბერია! — წაილუღლუღა დათომ და გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა.

— ერთი დედამისმა ნახოს, აახევს ყურებს! — თქვა მხერხავმა.



ბარნაბას იმედის შუქი ჩაეღვარა გულში.

— წადი, დაუძახე პელაგიას, იქნებ მოუხერხოს რამე! — უთხრა მან დათოს. იცოდა, რომ ჯუმბერს დედამისი არ ჩამოიყვანდა ხიდან, ასლანს კი საქმის ერთგულად მოაჩვენა თავი.

ეტყობა, პელაგიას წესიერად ვერ აუხსნა საქმის ვითარება დათომ. ხეზე გასული ჯუმბერი რომ უხსენეს, იფიქრა, უბედურება დამატყდა, ხიდან გადმოვარდა, ალბათ, ჩემი ბიჭიო, და შორიდანვე ატეხა ვაი-ვიში, თმაგაწეწილი მოდიოდა ქალი და ლოყებზე ხელებს ირტყამდა. მაგრამ როცა შვილი ხეზე დაინახა და დარწმუნდა, ხიფათი არ ელისო, როცა გზის სამუშაოთა მწარმოებელსა და მხერხავებს მოჰკრა თვალი, მიხვდა პელაგია, რისთვის არ ჩამოდიოდა ჯუმბერი ხიდან და რატომ მოსულიყვნენ მხერხავები, მიხვდა და ემმაკობა მოიმველია:

— ჩამოეთრიე, ბიჭო ძირს! რავა გაბედე მაგ ხეზე შესვლა ტურტლიანი ფეხებით, ხომ იცი ვისი დარგულიცაა! ჩამოეთრიე-მეთქი ამ წუთში, თორემ ამბაკოს ვეტყვი, იცოდე, და მერე გაეცი პასუხი...

ასლანმა და ბარნაბამ ერთმანეთს გადახედეს, მხერხავებიც უხერხულად იდგნენ.

ჯუმბერს გაუკვირდა, რატომ ლაპარაკობს დედა ასე, რამე ხომ არ შეიცვალა, იქნებ აღარც აპირებენ ხის მოჭრასო, ერთი ორი ნაბიჯი ჩამოდგა, ჩამოიწია, პელაგიას ელდა ეცა, მართლა არ ჩამოვიდესო:

— გაჩერდი, ბიჭო, არ გაინძრე! — დაუყვირა შვილს, — არ გაინძრე, თორემ სულ დაატეხავ ტოტებს, მოიცა, ნუ ჩამოდიხარ, რამეს ვიღონებთ. კიბეს მოვიტანთ...

ჯუმბერმა თვალი მოჰკრა ამბაკო ბაბუას, რომელიც თავისი სახლის კარებში გამოლანდულიყო პერანგის ამარა და ხისაკენ იყურებოდა უაზრო თვალებით. ჯუმბერი შეჩერდა, მხერხავებს ჩამოხედა, მერე მზეზე ალაპლაპებულ ხერხს, წამით დედამისის მალულ ნიშანს წააწყდა მისი მზერა, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ ჩამოხვიდეო. და ასლანმა, რომელიც აგერ-აგერ ელოდა ჯუმბერის მიწაზე ჩამოხტომას, აიხედა და დაინახა, რომ ბავშვი ისევ კენწეროსკენ მიიწევდა.

— რა ვქნა, ბატონო, არ მიჯერებს, ხომ მოგეხსენებათ ახლანდელი ბავშვების ამბავი — თვალთმაქცურად აწუწუნდა პელაგია, გულში კი უხაროდა.

— ავალ და ჩამოვიყვან! —ყასიდად თქვა ბარნაბამ.

— დაანებე თავი, არ ჩამოვარდეს! — უპასუხა ასლანმა.

— ამ ბავშვს ხომ არ გადავყვებით დღეს? — თქვა მხერხავმა — სხვაც ბევრი გვაქვს საქმე!

— წადით! — ნება დართო ასლანმა, მერე ბარნაბას მიუბრუნდა, — თუ კაცი ხარ, დარჩი აქ, დაიღლება და ჩამოვა, აბა, რას იზამს. ეხოლოდ მეორე ძმა არ ავიდეს, თვალი გეჭიროს.

— მეც დავრჩები! — წამოიძახა დათომ.

და აი მარტონი დარჩნენ ბარნაბა და დათო, ზემოთ, ხეზე კი— ჯუმბერი.

უეცრად ბუჩქები შეინძრა და ვახტანგმა გამოჰყო თავი, შეთანხმებული იყვნენ, სადილობის შემდეგ უნდა მოსულიყო, ჯუმბერი შეეცვალა. ბარნაბამ თვალი მოჰკრა ვახტანგს, შეამჩნია მუნჯურად რომ ელაპარაკებოდა ხეზე გასულ ძმას. ბარნაბას ულვაშებში ჩაეღიმა. დათოს მიუბრუნდა და, ვითომც აქ არაფერიაო, საუბარი გააგრძელა, მერე უეცრად შესთავაზა:

—წამოდი, დათო, წყაროზე გავგრილდეთ, არ გწყურია?

— მერე ვახტანგი რომ ხესთან მოიპაროს და ჯუმბერი შესცვალოს?

— აქ არა ვართ?! წყაროდანაც დავინახავთ.

ისინი წყაროსთან მივიდნენ. ასლანი მიწაზე ხელებს დაეყრდნო და წყაროს დაეწაფა. დათო კი მალიმალ იყურებოდა ალვის ხისაკენ. მოულოდნელად ბუჩქებიდან ვახტანგი გამოვარდა, ალვის ხესთან მიირბინა და კატასავით შეახტა.

— ბიძია, ბარნაბა ბიძია, ჩქარა, ჩქარა, ვახტანგი ავიდა ხეზე! —ატეხა ყვირილი დათომ.

— ჩუმად! — მოულოდნელად გაბრაზდა ბარნაბა, სველ ტუჩებზე ხალათის სახელო გადაისვა, მერე გაუღიმა განცვიფრებულ დათოს, თავზე ხელი დადო, — ავიდეს, რა მოხდა მერე... ოღონდ კრინტი არ დაძრა ინჟინერთან და ასლან ბიძიასთან, ორივეს გაგვაგდებენ სამუშაოდან.

დათომ აღარ იცოდა რა ეფიქრა. ეს რა თქვა ბარნაბა ბიძიამ? ისიც ჯუმბერის მხარეზეა? მასაც გული შესტკივა ალვის ხეზე? ალბათ, მართლა ცოდვაა ამ ხის მოჭრა, რადგან დაღუპული მფრინავის დარგულია...

ჯუმბერი ხიდან ჩამოხტა, მუშტი დაუქნია დათოს და მიიმალა. სხვა დროს დათო იწყენდა ასეთ დამუქრებას, მაგრამ ახლა ყურადღება არ მიუქცევია. მისი გონება დაეპყრო ახალ ფიქრებს, ჯერ შეუცნობსა და ბუნდოვანს. რაღაც მნიშვნელოვანს ხვდებოდა და ვერც ხვდებოდა, რაღაც აზრისთვის მიეგნო და ხელიდან უსხლტებოდა, თითქოს დათო გამქრალიყო და მის ადგილზე სხვა ბიჭი იჯდა...

საღამოს, ვახშამზე, დათოს არც კი უკითხავს ლიასთვის, ხმას რატომ არ მცემ, რატომ მებუტებიო. გრძნობდა, რომ ღირსი იყო ამისა. წინასწარვე იცოდა, რომ ჯუმბერიცა და ვახტანგიც არ გასცემდნენ ხმას, თუმცა უკვე კარგა დაღამებული იყო და ძმები ჯერ არ ჩანდნენ. თითქოს დეიდა პელაგიაც დამდურებოდა დათოს, კატო ბებიაც ამრეზილად უყურებდა. უხმოდ მიუტანეს მაგი-



დაზე საჭმელი, უსიტყვოდ დაუგეს ლოგინი.

შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც დათო ძაღლების ყეფამ გამოაღვიძა. თვალები გაახილა დათომ და ყური მიუგდო:

—მოვიყვანეთ, მოვიყვანეთ! — ამბობდა ვიღაც კაცი.

— ხის ძირში ეძინათ, ქალბატონო!— თქვა მეორე ხმამ.

— ვაი, ჩემს მოსწრებას, რავა გამტანჯეს და გამაწამეს, — კაპასობდა დეიდა პელაგია, — როგორ მეგონა, ასე თუ შეაკვდებოდნენ იმ ალვის ხეს! — თან აბრაზებდა, თან ახარებდა ბიჭების საქციელი პელაგიას.

ეზოში ელექტროფარნის შუქმა გადაირბინა და გაქრა. დეიდა პელაგია და ძმები მეზობელ ოთახში შევიდნენ.

— რა ჰქენით?! — მოისმა კატო ბებიას ხმა.

— დღეს გადარჩა ხე, — თქვა ჯუმბერმა, — ხვალ ვნახოთ. დედა, ადრე უნდა გამაღვიძო, იცოდე!

— თენდება უკვე, შვილო, რაღას გაგაღვიძებ!

— არა, გამაღვიძე, თორემ მოჭრიან...

— დათოს სძინავს? — იკითხა ვახტანგმა.

— სძინავს, ალბათ.

— მაგის ბედი, თორემ გავაბრტყელებდი ერთი!

დათოს სუნთქვა შეეკრა, „ღირსი ვარ“... — გაიფიქრა მან.

— დაანებე, შვილო, თავი, პატარაა, ჯერ მაგდენი კი არ ესმის!

— კაი პატარაა, მეხუთე კლასში გადავიდა! — თქვა ჯუმბერმა, — მე რომ მაგოდენა ვიყავი, საქონელს ვუდექი!

თანდათან მიწყნარდა მეზობელი ოთახი და მალე კატო ბებიას ხვრინვა შემოესმა დათოს.

იმ ღამეს უცნაური რამ დაესიზმრა: უზარმაზარი, შავკბილება ხერხი სჭრიდა ხეს, ხე თანდათან იზნიქებოდა, მერე წამოვიდა და ზღართანით დაასკდა მიწას... მიირბინა დათომ ხესთან და რას ხედავს — ეს ხე კი არა, ამბაკო ბაბუაა, ხის ტოტები ბაბუას ხელებია, ხის ფოთლები — წვერები... უეცრად მიწაზე ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი დაჯდა, თვითმფრინავიდან ამბაკო ბაბუას შვილი გადმოვიდა, დაუბღვირა დათოს, მერე გადაჭრილ ხესთან მივიდა, გადანაჭერზე შედგა... ხელები მაღლა ასწია და ალვის ხედ იქცა... ისევ აშრიალდა ხე... დათომ სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყო, ხელი დაუქნია ალვის ხეს, თუ იმ მფრინავს, რომელიც ალვის ხედ იქცა...

როცა თვალი გაახილა, ოთახი მკრთალი ცისფერი ბინდბუნდით იყო განათებული, თენდებოდა, მეზობელ ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ეტყობა ყველას ეძინა, ისევ ხვრინავდა კატო ბებია.

დათომ ლოგინიდან წამოიწია და ფანჯარაში გაიხედა. არავინ მოჩანდა სოფლის გზაზე, ეზოც ცარიელი იყო, მხოლოდ წაბლა და ნახშირა იწვნენ და იცოხნებოდნენ. დათომ ფრთხილად ჩაიცვა შარვალი, ჩუსტებში ფეხები გაუყარა და, ლია რომ არ გაეღვიძებინა, კარების ჭრაჭუნით, ფანჯრიდან გადაიპარა, მალვა-მალვით გადირბინა ეზო, ღობეში გაძვრა და ტყიან ფერდობზე გაუჩინარდა.

იმ დღეს დილაადრიან გაეშურა მშენებლობისაკენ არჩილი, წუხელ საღამოს ფიქრებმა არ მოასვენეს. თითქოს უბრალო რამ იყო ერთი ხის მოჭრა, პირველ ხანებში უმნიშვნელო ამბად მიაჩნდა ეს არჩილს: „გზას ხელს უშლის, ესე იგი, უნდა მოიჭრას. მართალია, ზოგიერთისთვის ძვირფასია ის ხე, რადგან ახლობელი და ომში დაღუპული ადამიანის ხსოვნად დარჩენილა, მისი ძეგლივით მიაჩნია ხალხს... მაგრამ ხე მაინც ხეა, გზა კი — გზა“. გუშინ დილამდე ასე ფიქრობდა არჩილი, მაგრამ როცა წუხელ ამბაკოს ლოგინად ჩავარდნა და ავადმყოფობა შეატყობინეს, როცა ჯუმბერისა და ვახტანგის ხეზე ყარაულობის ამბავი აცნობეს და პელაგიასა და ბარნაბას ორჭოფული საქციელი აუწერეს, არჩილი მიხვდა, რომ ალვის ხის მოჭრით მთელ სოფელს აწყენინებდნენ, მთელ სოფელს მოიმდურებდნენ მშენებლები, რომელთა შორის ამბაკოს პატივისმცემლები და მოსიყვარულე მზეთელებიც იყვნენ. ამას ისიც დაემატა, რომ საღამოს საბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ეწვივნენ, სთხოვეს რო გორმე გადაერჩინათ ხე. ჩვენ მზად ვარ მთელ სოფელს დავაყენებთ ფეხზე დ დაგეხმარებითო. რა მოხდა, იმ ბორცვ ზე აღარ გადავა გზა, ბორცვს შემოუვ ლის, ერთი ოცი-ოცდაათი მეტრით რო დაგრძელდეს, დიდი ამბავია, სამაგიე როდ ხე გადარჩება და, რაც მთავარია საწყალი მოხუციო.

არჩილს ადრეც უფიქრია, ბორცვის შემოვლა შეიძლებაო, მაგრამ ეს ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა და ამის უფლება არ ჰქონდა. როცა საბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა მთელი სოფლის გამოყვანა და დახმარება აღუთქვეს, ბევრი აღარ უფიქრია, დაჯდა და წერილი მისწერა დიდი ელსადგურის მშენებლობის უფროსს, დაწვრილებით აუხსნა გზისა და ალვის ხის ისტორიის ამბავი, სოფლის სურვილი და დახმარების აღთქმა. უხსნიდა: მხოლოდ ოდნავ შეიცვლება გზის გეზიო. თხოვდა, თვითონ ჩამოსულიყო და საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი. ბოლოს სწერდა: ხომ მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ხალხის მომდურება და რას ნიშნავს ხალხის მადლობაო. წერილი წუხელ საღამოსვე გაგზავნა კაცის ხელით.

თუ ჩამოვიდოდა, ამ დილით უნდა ჩამოსულიყო ელსადგურის მშენებლობის უფროსი. იმიტომ ადგა ალიონზე არჩილი და სამუშაო უბნისკენ გამოსწია.

როცა ალვის ხეს გაუსწორდა, რაღაც ხმაურმა მიიქცია არჩილის ყურადღება,



ბუჩქის ტოტები გადასწია და რას ხედავს — ალვის ხის გარშემო დაწრიალებს დათო, ასვლას ცდილობს, მაგრამ ქალაქელ ბიჭუნას, ბუუქანსა და მოუქნელს, ეტყობა, არ ეხერხება ხეზე ასვლა. არადა, უნდა ასვლა. ო, როგორ უნდა! პერანგისამარა გამოქცეულა სახლიდან, არც ამ დილის სუსხსა და ნისლს შეშინებია, არც უფროსების გაჯავრებას, ტრიალებს და ტრიალებს ხის გარშემო, ეტყობა, რომ დაიღალა ბიჭი, სუნთქვა გახშირებია, მაგრამ მაინც თავს არ ანებებს. გაოცებული, მრავლისმეტყველი თვალებით გაჰყურებს ინჟინერი პატარა ბიჭუნას. არა, დათოსაგან არ მოელოდა ამას არჩილი, რაც მართალია მართალია, არ მოელოდა.

წვალობს დათო. მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა ხეზე, შეხტომა და ტოტზე ჩამოკიდება სცადა, მაგრამ არც ეს გამოუვიდა, ლამისაა ატირდეს ბიჭი, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, მართლა ატირდება...

და მოულოდნელად არჩილმა ისეთი რამ დაინახა, თვალებს არ დაუჯერა და ისეთი სიტყვები მოესმა, მეჩვენებაო, იფიქრა. დათომ ახედა ხეს, ასე იყო ერთ ხანს გაშეშებული, მერე მიუახლოვდა, შეჩერდა ხის წინ, გაიშვირა ხელები, თითქოს მოწყალებას თხოულობსო და ბუტბუტი დაიწყო:

— ხეო, ხეო, ამიშვი ხეო, ამიშვი, ლამაზო ხეო. ამიშვი, თორემ მოგჭრიან, აუცილებლად მოგჭრიან. მე ვიცი, ნაწყენი ხარ ჩემზე, მოსაჭრელად რომ გიმეტებდი... მაგრამ ახლა ხომ გითხარი, „ლამაზი ხარ-მეთქი". ამიშვი ხეო, ლამაზო ალვის ხეო..."

ინჟინერს გული აუჩვილდა, ფეხისწვერებზე გაემართა დათოსკენ. დაამთავრა თუ არა თავისი თხოვნა, დათო ნელნელა მიუახლოვდა ხეს, თითქოს ყოველ ნაბიჯზე ელოდა, რომ ხე აი ახლა, აი, ამ წუთში შეუსრულებდა თხოვნას. და აკი მართლაც „შეუსრულა"...

რაღაც ძალამ ბიჭი მაღლა შეაგდო და ხის ტოტებზე გააჩინა. თან შიშით, თან გაკვირვებით ჩამოიხედა ქვემოთ დათომ და ბიძია არჩილი დაინახა.

— ადი, დათო, ადი სულ მაღლა, ოღონდ ფრთხილად, არ ჩამოვარდე!

დათომ ხეზე ასვლა დაიწყო, ახლა უკვე ადვილი იყო საფეხურებივით განლაგებულ ტოტებზე ასვლა.

* * *

უჩვეულოდ გამოცოცხლებულიყო გზის მშენებლობის მიდამოები. ისედაც ხმაურიანი, მანქანების რახრახით გაყრუებული უბანი ახლა უზარმაზარ ფუტკრების სკას დამსგავსებოდა. მოსულიყვნენ ქალები, კაცები, მოხუცები და ბავშვები, მოეტანათ — თოხები, ბარები, წერაქვები, წალკატები, ნაჯახები, წალდები, რკინის ძელები, უროები, წამოეყვანათ ხარ-ურემი, წამოეღოთ მთელი დღის საგზალი, წამოესხათ ბალღები, მთელი მზეთა გადმოსახლებულიყო გზის მშენებლობაზე. აქ იყო არჩილი და ელსადგურის მშენებლობიდან ჩამოსული ინჟინერი, რომელსაც გვერდით თეთრკაბიანი გოგონა დაჰყვებოდა.

საქმე ის იყო, რომ ელსადგურის მშენებლობის უფროსმა თანხმობა შემოუთვალა არჩილს: თუ სოფელი დაგეხმარება, არაფერი მაქვს საწინააღმდეგოო, დაანებეთ ხეს თავი და შემოუარეთ ბორცვს. მართალია, გზა გაგრძელდება, მაგრამ მანქანები აღმართზე აღარ ივლიანო. უფროსი ვერ წამოსულიყო და მეთვალყურე ინჟინერი გამოეგზავნა, ეს მანანას მამა იყო. თეთრკაბიანი გოგონა კი თვითონ მანანა გახლდათ.

გაიხარა ყველამ, ამბაკოსთან ერთად გაიხარა მთელმა სოფელმა და ერთი კაცივით გამოცხადდა მშენებლობაზე, რომ პირობა შეესრულებინა და დიდი გზის პატარა მონაკვეთი საკუთარი ძალებით გაეყვანა.

ვინ არ მიხვდება, როგორ გაახარა ამ ამბავმა ჯუმბერი, როგორ გაუცისკროვნდა ლიას სახე და სიამაყით აევსო დათოს გული. სიამაყითო? ჰო, აბა, როგორ! განა მათ არ გადაარჩინეს ხე? განა ამბაკო ბაბუას მათ არ გადაუყარეს გულიდან ჯავრი? ასე იყო, ჯუმბერ?.. დიახ! ვახტანგ, შენ რას იტყვი?.. ასე იყო!.. თქვენ, დათო და ლია?.. აბა, რა, ჩვენ გადავარჩინეთ!

როდესაც ბავშვები ახმაურებულ მშენებლობის უბანზე ამოვიდნენ, ჯუმბერმა პირველად არჩილ ბიძიას დაუწყო ძებნა, უნდოდა შერიგებოდა და კვლავ შეეთავაზებინა თავისი სამსახური და თავისი ხარ-ურემი. ამ ძებნა-ძებნაში მან თვალი შეავლო თეთრკაბიან გოგონას და სიხარულისაგან გული ჩიტივით აუფართხალდა. „ეს ხომ მანანაა, — გაიფიქრა მან, — რა უნდა აქ? საიდან გაჩნდა?" — და ჯუმბერს უეცრად შერცხვა, გაწითლდა, იმიტომ კი არა, რომ მანანა დაინახა, არა, მიზეზი სხვა იყო — რამდენი ხანია აღარ გახსენებია მანანა, აღარ უფიქრია მასზე, თითქოს მისი არსებობა დაავიწყდაო. ჰოდა, ახლა დამნაშავედ იგრძნო თავი, ეგონა, მანანა ამას მიხვდებოდა და თუ არ გაამჟღავნებდა, გულში მაინც ეწყინებოდა.

ბოლოს მანანამაც შეამჩნია ჯუმბერი, ხელი დაუქნია. მერე მამას მიუბრუნდა და ჯუმბერისკენ ანიშნა.

ჯუმბერი მიუახლოვდა, დაბნეულად გაუწოდა ხელი მანანას.

— მამა, აი, ეს არის ჯუმბერი!

— გამარჯობა, ყმაწვილო! — თქვა მანანას მამამ, — აქ რა ამბავი დაგიწევია, ამდენი ხალხი აგვაწრიალე! — მერე გაიღიმა და მხარზე ხელი დაჰკრა, — ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილხარ!

— მართლა მთელი ღამე გაატარე ხეზე? — ჰკითხა მანანამ და ჭკვიანური თვალები აუციმციმდა.

— არა, მარტო მე არ ვყოფილვარ, — დაიმორცხვა ჯუმბერმა და ხელი ბავშვებისაკენ გაიშვირა.

— ესენიც? — გაიკვირვა მანანამ, — მამა, ესენიც ყოფილან...

— როდის ჩამოხვედი? — ჰკითხა ჯუმბერმა, რომ უხერხულობა დაეფარა.

— ამ დილით. რამდენი ხანია დაგეძებ, ვეღარ გიპოვნე! ისე, შენი ნათქვამა კი ყოფილხარ!

— რატომ?

— არ ჩამოვალ თქვენთანო და მართლა არ ჩამოხვედი, — მანანა იღიმებოდა.

— ჩამოვალ, აი, გზას გამოვყვები და ჩამოვალ!

— უჰ, ეგ როდის იქნება! იცი, მე რა წიგნები მაქვს შინ?! მე მგონი, შენ წაკითხული არ გექნება.

— შეიძლება, — თქვა ჯუმბერმა.

— თუ გინდა, მთხოვე და გათხოვებ!

— კარგი, — თქვა ჯუმბერმა.

— აბა, მთხოვე! — მანანამ ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

— მანანა, მათხოვე რა წიგნი! გეხვეწები! — გაიღიმა ჯუმბერმა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



— კარგი, ჯუმბერ, რადგან მეხვეწები, გათხოვებ, ოღონდ არ დამიკარგო!

ორივეს გულიანად გაეცინათ.

—არ გინდა ჩვენი სოფლის დათვალიერება? — ჰკითხა ჯუმბერმა.

— მინდა, ძალიან მინდა... მამა! — დაუძახა მანანამ და მიირბინა მამასთან, რომელიც ასლანს ელაპარაკებოდა, —მამა, ჩვენ ხომ საღამომდე დავრჩებით აქ?

— ჰო, მერე?

— წავყვები რა ჯუმბერს, სოფელს დავათვალიერებ!

— საღამომდე?

— არა, მალე მოვალ!

ჯუმბერმა გადაწყვიტა აღარ ეძებნა ბიძია არჩილი და თავისი ურმით დღეს ისევ ქვები მოეზიდა მშენებლობაზე, ბავშვები გააფრთხილა: მანანასთან არ წამოვცდეთ, სადილებს რომ ვეზიდებითო.

მალე ისინი სოფლის თავდაღმართს დაადგნენ. მანანა პატარა გოგოსავით მიხტუნაობდა და გზადაგზა კითხულობდა:

— ეს რა ხეა?.. ის?.. იმის იქით?.. ამას რა ჰქვია? ღელე ღრმაა? თევზები არი?.. შენ რა გქვია? დათო?.. შენ? ვინაა ამ წისქვილის მეწისქვილე? ის მოხუცი? ამბაკო? რას ამბობ!.. ეს ექსკავატორიც მშენებლობას ეკუთვნის? რაო? ისევ აქ გამოვიდით?.. ეს ტაძარი ძველია? აღადგინეს? ეს სოფლის ყველაზე დიდი ქუჩაა? მართლა? ის ხომ არაა თქვენი სახლი?... არც ის?

— აი, ეს არის ჩვენი სახლი, —თქვა ჯუმბერმა და ჭიშკარი შეაღო.

კატო ბებიასა და პელაგიას დანახვაზე მანანამ დაიმორცხვა, უეცრად გაჩუმდა. ჯუმბერმა გააცნო სტუმარი უფროსებს, თბილისი და ოლიმპიადა უხსენა, მერე ელსადგური და ინჟინერი, რომელიც დღეს მზეთაში ჩამოვიდა და მანანაც ჩამოიყვანა.

ჯუმბერმა ხარები ურემში შეაბა და ბავშვები ისევ შარას დაადგნენ.

შესვენება იყო, სანდროს ექსკავატორი დუმდა, თვითმცლელებიც არსად ჩანდნენ. ჯუმბერს გაეხარდა, რიგში აღარ მოგვიწევს დგომაო. ექსკავატორი შუა ღელეში იწვა და თავისი დიდი ისარი ძირს დაეხარა, თითქოს ამ სიცხეში წყალს უნდა დაეწაფოსო. სანდრო ექსკავატორის ჩრდილში წამომჯდარიყო, დიდ ბრტყელ ქვაზე საუზმე გაეშალა და მადიანად ილუკმებოდა.

— ო, გმირებს გაუმარჯოს! — წამოიძახა სანდრომ და ბავშვებს მიესალმა.

— ჩვენ რა გმირები ვართ! —არ მიიღო შექება ჯუმბერმა.

— რა ვიცი, მთელი სოფელი თქვენზე ლაპარაკობსა და... ეს ვინღაა? შეიმატეთ ახალი წევრი? — თქვა სანდრომ და მანანას ხელი ჩამოართვა. აბა, მოდით, დამეწვიეთ ღარიბულ სუფრაზე.

— არა, ბიძია სანდრო, ჩვენ ქვები უნდა წავიღოთ!

— ქვები? ბიჭოს, ისევ ჩემთან დაბრუნდით? კაი გიქნიათ, აბა, ქალები ხომ არ ხართ, რომ...

ჯუმბერმა ისე სწრაფად მიიდო ტუჩზე თითი და ისე სწრაფად ანიშნა მანანაზე, რომ სანდროს სიტყვა შუაზე გაუწყდა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— ბიძია სანდრო, აგვივსე ურემი!

სანდროს შეეზარა ექსკავატორის ამუშავება.

— ბიჭო, მაგ ურემს ხელითაც ავავსებთ, ნუ ამიყვან ახლა ექსკავატორზე!

— ბიძია სანდრო! — შეშფოთებით წამოიძახა ჯუმბერმა და ისევ მანანასკენ მიუთითა.

— უჰ, ახლავე, ახლავე, ჩემო ჯუმბერ... შენ როგორ გეტყვი უარს... ამ წუთში, ა! — დაფაცურდა სანდრო. ექსკავატორისკენ მიდიოდა და სიცილს ძლივს იკავებდა.

* * *

იმ ღამეს ჯუმბერს თვალი არ ეხუჭებოდა, იგი შეჰყურებდა ფანჯარაში მოციაგე ნამგალა მთვარეს და ფიქრობდა.

და თვალწინ ედგა მანანა.

რა გაოცებული შეჰყურებდა ჯუმბერს გამომშვიდობებისას, თითქოს უცხო იყო და პირველად ხედავდა თავის სიცოცხლეში, რა დამუნჯებული იყო, რა ნაღვლიანი თვალები ჰქონდა...

...ჯუმბერს უეცრად მანანას ხმა მოელანდა.

—ამსვი! — თქვა მანანამ.

— სად? — გაუკვირდა ჯუმბერს.

მანანამ გაიღიმა, ცისკენ გაიშვირა ხელი. აიხედა ჯუმბერმა და აღტაცებისაგან კინაღამ შეჰყვირა: ნამგალა მთვარე წაგრძელებულიყო, წაგრძელებულიყო, ერთი კიდიდან მეორემდე გაშლილიყო და საქანელასავით ეკიდა ცაზე. არაჩვეულებრივად კაშკაშებდა არე-მარე! ზღაპრული ფერები ილვრებოდა დედამიწაზე.

— ამსვი! — გაიმეორა მანანამ.

ჯუმრებმა წელში ჩასჭიდა ხელები.

მანანამ ოდნავ აჰკრა ფეხი მიწას და მთვარეს ჩამოეკიდა, ზედ შემოჯდა და ოცნებიანი თვალებით გახედა უსაზღვრო სივრცეს. მერე ფეხი ჩამოუწვდინა ჯუმბერს, ჯუმბერმა ქუსლში თითები ჩაავლო და ტრიალ მინდორზე გაირბინა, მერე ხელი უშვა მანანას.

... ქანაობდა მანანა ქვეყნის დასაწყისიდან დასასრულამდე და მიწაზე ილვრებოდა მისი კისკისი...

და უეცრად გაფრინდა ჯუმბერიც, გაფრინდა ისე შორს, რომ დედამიწა პატარა წითელ ბურთივით მოჩანდა, შეაგროვა კაშკაშა ვარსკვლავები ჯუმბერმა და ცაზე იმ ვარსკვლავებით მანანას სახელი დაწერა... ჩუმდებოდა მანანა და ვარსკვლავებით დაწერილი სახელი ქრებოდა, აკისკისდებოდა და — ისევ ინთებოდა...

...ნელ-ნელა მოიპარებოდა დილა და დედამიწას თავზე აფხრეწდა ღამის შავ სუდარას.




ბავშვებო! ჟურნალის სექტემბრის ნომერში იმაზე გესაუბრეთ, თუ როგორ ჩაატაროთ თქვენი დაბადების დღე. აღნიშნული მასალის საპასუხოდ რედაქციაში შემოვიდა 51-ე საშ. სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის გულნარა ჩიკვაიძის წერილი. გულნარა რჩევისათვის მოგვმართავს. რასაკვირველია, შეგვეძლო პირადად მისთვის გაგვეცა პასუხი, მაგრამ ჩვენი რჩევები შესაძლოა ბევრ თქვენგანსაც გამოადგეს, ამიტომ გადავწყვიტეთ საჯაროდ, ჟურნალის ფურცლებზე ვუპასუხოთ გულნარას.

ვბეჭდავთ, როგორც ჩიკვაიძის წერილს, ასევე ჩვენს პასუხსაც...

„ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად, — გვწერს გულნარა ჩიკვაიძე,— დედა და მამა ყოველწლიურად აწყობდნენ დიდ წვეულებას, შლიდნენ ძვირფას სუფრას. მე არასოდეს არ მიმიღია მონაწილეობა ამ დღისათვის სამზადისში. ჩემი დაბადების დღეზე უფრო მეტად უფროსები იკრიბებოდნენ. ისინი გვიანობამდე ისხდნენ სუფრასთან, მე კი უფრო ადრე ვიძინებდი. მართალია, უფროსების მოსვლამდე ჩვენს ოჯახში ერთი-ორი თანაკლასელი და ჩემი ტოლი მეზობლისა თუ ნათესავების ბავშვები იყრიდნენ თავს, მაგრამ მათთან ერთად არც თუ ისე მხიარულად ვატარებდი დროს.

თქვენს მიერ ამ საკითხზე დაბეჭდილმა წერილმა ძალიან დამაფიქრა და დამარწმუნა, რომ ჩემს პატარა სტუმრებს თურმე ვერ ვუწევდი კარგ მასპინძლობას. მე მთელი ყურადღება საჭმლისა და ტკბილეულის მირთმევაზე გადამქონდა, თამაშობების წამოწყებასა და სტუმრების გართობაზე კი ნაკლებად ვზრუნავდი.

ახლოვდება ჩემი დაბადების დღე. გადავწყვიტე ამ დღის შესახვედრად დედ-მამა ნაკლებად შევაწუხო. სუფრა ბუტერბროდებითა და ნამცხვრით გავაწყო და იმაზე ვიზრუნო, რომ ჩემი სტუმრები რაც შეიძლება კარგად გავართო და გავამხიარულო.

წერილს თან ვურთავ წვეულებისათვის ჩემ მიერ შედგენილ გეგმას. თუ შეიძლება, მასწავლეთ, როგორ დავამზადო ბუტერბროდები. ძალიან კარგი იქნება თუ მომცემთ თუნდაც ერთი-ორი გემრიელი და ადვილად გასაკეთებელი ნამცხვრის რეცეპტს".

გულნარას გეგმას გავეცანით. იგი საინტერესო აღმოჩნდა. სუფრაზე მისატანად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განზრახული აქვს დაამზადოს ბუტერბროდები, რამდენიმე ნამცხვარი, შეიძინოს კამფეტი და ლიმონათი. უკვე შერჩეული აქვს ჩვენს მიერ რეკომენდებული ზოგიერთი თამაში. მეტად სასიამოვნოა, რომ ჩვენთვის უცნობი რამდენიმე გასართობისათვისაც მიუგნია. წინასწარ შეიძლება ითქვას, — მისი სტუმრები ნასიამოვნები დარჩებიან.

ძალიან კარგია, რომ გულნარას ბუტერბროდების დამზადება განუზრახავს, რადგან იგი გემრიელი და ამავე დროს ყველასათვის ხელმისაწვდომი საუზმეა. მისი დამზადება არ მოითხოვს დიდ შრომას, არ საჭიროებს სუფრაზე თეფშების ცვლას. ამავე დროს ბუტერბროდი იაფიც ჯდება, თუმცა იგი განსაკუთრებულ გაფორმებას მოითხოვს.

## ბუტერბროდის დამზადება

ბუტერბროდის დასამზადებლად უპირველესად საჭიროა პური ან ფუნთუშა. პურს აჯობებს ოთხკუთხი ფორმა მისცეთ ისე, რომ სიგრძით — 10, სიგანით — 5-6 და სისქით — $1^1/_2$ სანტიმეტრი იყოს.

ბუტერბროდის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ: მოხარშული ან შემწვარი ხორცი, ლორი, საქონლის მოხარშული ენა, ძეხვი, ქათმის ხორცი, მოხარშული კვერცხი, თევზი, თევზის კონსერვი, ნიგვზიანი ფხალი, კარაქი, ყველი და სხვ.




ბუტერბროდისათვის პროდუქტი წინასწარ უნდა გაასუფთაოთ, ასე მაგალითად: ძეხვი —კანისაგან, ლორი, თევზი, ხორცი — ძვლებისაგან, და სხვა. დასუფთავებული პროდუქტები დაახლოებით პურის სიდიდეზე უნდა დაჭრათ. პური თუ სხვა პროდუქტი სუფრის გაშლამდე ორი საათით ადრე უნდა გაამზადოთ მხოლოდ, რადგან ისინი ხმებიან და გემოსაც კარგავენ.

პროდუქტებით გაფორმების წინ, ბუტერბროდის დასამზადებლად, პურს პირველ რიგში კარაქი უნდა წაუსვათ. კრემისდაგვარად რომ წაესვას პურს, იგი მომინანქრებულ თასში, ან ღრმა თეფშში წინასწარ კოვზით აზილეთ.

იმისდამიხედვით თუ რა პროდუქტით აპირებთ ბუტერბროდის გაფორმებას, კარაქს შეგიძლიათ შეურიოთ: ყველი, მწვანილი, ტომატი, მდოგვი, პირშუშხა და სხვ. ასე მაგალითად: ძეხვეულობას, ხორცს, ძროხის ენას მოუხდება მდოგვიანი ან ტომატიანი კარაქი, თევზს —მწვანილიანი, ტომატიანი ან პირშუშხიანი კარაქი. დაგისახელებთ ამდაგვარად შეზავებული კარაქის რამდენიმე ნიმუშს და მის დასამზადებლად საჭირო მასალას.

**მწვანე კარაქი:** 100 გრ. კარაქზე — 20 გრ. წვრილად დაჭრილი მწვანილი.

**ტომატიანი კარაქი:** 100 გრ. კარაქზე — 1 სუფრის კოვზი ტომატი. ცოტა მარილი.

**ყველიანი კარაქი:** 2 სუფრის კოვზ კარაქზე — 100 გრ. ყველი. შეგიძლიათ დაამატოთ 1 სუფრის კოვზი ტომატიც.

**მდოგვიანი კარაქი:** 100 გრ. კარაქზე — 1 სუფრის კოვზი გამზადებული მდოგვი.

**პირშუშხიანი კარაქი:** 100 გრ. კარაქზე — 2 სუფრის კოვზი გამზადებული პირშუშხა და ცოტა მარილი.

ბუტერბროდის გასაფორმებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახმარეთ ოხრახუში. ნედლი ან მჟავე კიტრი, პამიდორი, წითელი ბოლოკი, ლიმონი, მოხარშული კვერცხი და სხვა.

მაგალითად: თუ პურზე დადეთ ნიგვზით შეზავებული ფხალი, მის გარშემო შემოაწყვეთ წითელი ბოლოკის ან მოხარშული კვერცხის პატარ-პატარა ნაჭრები, აქა-იქ შეჭრილ პურში დაამაგრეთ ოხრახუში.

თევზს შეუხამეთ წვრილად დაჭრილი ლიმონის ნაჭრები და მწვანილი, შესაძლოა მოხარშული კვერცხის ნაჭრებიც. ხორცი თუ ლორი ლამაზად დაჭრილი ნედლი კიტრით ან პამიდვრით შეალამაზეთ. ყველაფერ ამას ქვევიდან თეფშზე შეგიძლიათ დეკორატულად დაუფინოთ მწვანე სალათის ფოთლები, აქა-იქ დაუწყოთ მთელ-მთელი პამიდვრები, კიტრი, ბოლოკი, სტაფილო, მწვანილი და სხვ.

გაფორმებისას ეცადეთ ზედმეტი



არ მოგივიდეთ, ბუტერბროდი არ გადატვირთოთ მწვანილით ან ბოსტნეულით. პროდუქტები არა მარტო გემოთი, არამედ ფერწერულადაც შეუხამეთ ერთმანეთს, ისე, რომ თვალს ეამოს.

გამზადებული ბუტერბროდი ცალცალკე ნაჭრებად დააწყვეთ დიდდიდ თეფშებსა თუ ლანგრებზე და ისე მიიტანეთ სუფრაზე.

გაძლევთ ნამცხვრისა და კამფეტის რეცეპტსაც.

## ფხვიერი ნამცხვარი

ეგრეთწოდებული ფხვიერი ნამცხვრისათვის მასალად დაგჭირდებათ: 3 ჩაის ჭიქა თეთრი ფქვილი, 1 ჩაის ჭიქა შაქარი, 150 გრ. კარაქი, 2 ცალი კვერცხი, 6 სუფრის კოვზი არაჟანი, 1-2 ჩაის კოვზი საჭმლის სოდა, მარილი.

მოშინანქრებულ თასში კარაქი მოათავსეთ, ზედ შაქრის ფქვილი დააყარეთ, და ხის კოვზით ურიეთ, სანამ არ გათეთრდეს. ჩათქვიფეთ მასში ორივე კვერცხის გული, დაამატეთ არაჟანი და განაგრძეთ რევა. ცალკე ფქვილში მშრალად კარგად შეურიეთ აღნიშნული რაოდენობის საჭმლის სოდა და ოდნავ მარილი, მერე გაცერით. გახსოვდეთ, ხმარების წინ განაცერი ფქვილიც კი ხელმეორედ უნდა გაცრათ აუცილებლად. ფქვილის ეს ერთგვარი „განიავება" ხელს უწყობს მისგან დამზადებული ცომის გაფუება-ამოსვლას გამოცხობისას.

გაცრილ ფქვილს კარაქისა და შაქრისაგან გამზადებული მასა შეურიეთ და ხელით სწრაფად აზილეთ, დაახლოებით 1-3 წუთის განმავლობაში. მიღებული ცომი 30 წუთით ცივ ადგილას გააჩერეთ, შემდეგ ფიცარზე გაათხელეთ. ზემოდან დაადეთ მუყაოსაგან წინასწარ გამოჭრილი ცხოველისა და ფრინველის გამომსახველი კონტური-შაბლონი და დანით ყოველი მათგანი გამოკვეთეთ.

„ჩუდოს" ძირში ოდნავ კარაქი მოუსვით, ზევიდან მსუბუქად ფქვილი მოაყარეთ და შიგ პატარ-პატარა დაშორებით გამოსაცხობი ცომი ჩააწყვეთ. თავდახურული „ჩუდო" ნავთქურაზე შედგით და 20-25 წუთი ზედ გააჩერეთ. მიღებთ ფხვიერ ნამცხვარს.

ნამცხვრის ნაწილი შეგიძლიათ კრემით, მურაბითა და მოხალული, წვრილ-წვრილად დაჭრილი ნიგვზით გააფორმოთ, ზოგიერთ მათგანს მურაბა ან პოვიდლო წაუსვათ და ზევიდან ისეთივე ფორმის ნამცხვარი დაადოთ. ასე შელამაზებული ნამცხვარი ლანგარზე ლამაზად განალაგეთ და სუფრაზე ისე მიიტანეთ.

## წაბლის ბურთი შოკოლადის ქერქში

1 ჭიქა რძეში 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი ჩაყარეთ და წამოადუღეთ. როცა რძე კარგად გაცივდება, შეურიეთ საკეპ მანქანაში გატარებული მოხარშული 300 გრამი წაბლი და ძალიან წვრილად დაჭრილი, მოხალული ნახევარი ჭიქა ნიგოზი. ყველაფერი ეს კოვზით კარგად აურიეთ ერთმანეთში. შემდეგ აიღეთ ერთი ფილა შოკოლადი, წვრილად გახეხეთ და წაბლის გამზადებული გუნდები შოკოლადის ფხვნილში ამოავლეთ. მერე ისინი სპეციალურ ლანგარზე დააწყვეთ გასაშრობად.

შოკოლადის ფხვნილში ამოვლებამდე თუ წაბლისგან მომზადებული მასა თხელი აღმოჩნდება, მას ცოტა მოხალული ნიგოზი დაამატეთ და თუ, პირიქით, მაგარი — მაშინ ოდნავ რძით შეარბილეთ.

## ნიგვზის ბურთი შოკოლადის ქერქში

საკეპ მანქანაში გატარებული 1 ჭიქა ბერძნულ ნიგოზს 4 სუფრის კოვზი თაფლი შეურიეთ და ნავთქურაზე ქვაბით წამოადუღეთ. მიღებულ მასას ერთი ფორთოხლის გამონაწური წვენი, ერთი სუფრის კოვზი რომი და ერთი ფორთოხლის კანის ნახეხი შეურიეთ. მიღებული მასისაგან ხელით პატარ-პატარა გუნდები დაამზადეთ. შემდეგ გუნდები შოკოლადის ფხვნილში ამოავლეთ და გასაშრობად ლანგარზე დააწყვეთ.

• • •

ბავშვებო! ყველაფერი, რაც აქ ჩამოვთვალეთ და აღვწერეთ, არა ერთ, არამედ რამდენიმე სუფრას გაავსებდა. ხოლო დაბადების დღე იქნება თუ სხვა რამ საყმაწვილო დღესასწაული, მოსწავლეთა სუფრა რაც უფრო ზომიერად და თავდაჭერილად გაიწყობა, მით მეტი ქება მის გამწყობს! მთავარია, როგორც ზემოთაც ვთქვით, მასპინძლობა! ხოლო კარგ მასპინძლობად მდიდრული სუფრა კი არა, პირველ ყოვლისა საინტერესო გართობა-დროსტარება და სუფრაზე შექმნილი ხალისიანი ატმოსფერო ითვლება.

**ც. ელიგულაშვილი,**
**ლ. პაიჭაძე**

ნახ. **ედ. ამბოკაძისა**



## ჩემს მასწავლებლებს

**მურთაზ ნაკუდაშვილი**

გავხედავ დღეებს გაფრენილს,
თან ფიქრით გავეკიდები,
მიხმობენ დღენი ბავშვობის
და სკოლის ეზო-კიდენი.

ვიხსენებ ნათელ სახეებს,
ფიქრით თქვენს შორის დავდივარ;
ჩემო მეორე მშობლებო,
ვიცი, მეც თქვენი დარდი ვარ.

იქ გვახარებდა პატარებს
მკაცრი, თოვლუხვი ზამთარი,
იქვეა ჩემი ბავშვობაც,
თქვენი ალერსით გამთბარი.

შემხვდებით, გული დამწყდება,
ჩანს, შორმა გზებმა დაგღალათ,
რარიგად დაუთოვიხართ
წელთა სიმრავლით ჭაღარას!

მე თქვენმა ზრუნვამ ჩამიდგა
მუხლებში ძალა მთებური
და სიყვარული მამულის,
გულს ცეცხლად შემონთებული.

დაგიფასდებათ ამაგი,
ნერგმა თუ ფესვი გაშალა...
წარბშეუხრელად გავყვები
ცხოვრების ფართო გზა-შარას.

## მსაჯი

**ბაგუ მებურიშვილი**

თმაქოჩორა ანზორი
მიწას სულ არ აჩნია,
მაგრამ დიდი ხანია
შეუცვლელი მსაჯია.

არ ეშლება კუთხური,
არც ჯარიმა ეშლება
და არ უყვარს, როცა სხვა
მის საქმეში ეჩრება.

აი, კარგად გაიჭრა
თავდამსხმელი ომარი,
მაგრამ ატყობს ანზორი,
თამაშგარე რომ არის.

უმალ სასტვენს ჩაბერავს
და თამაში ჩერდება.

ყურადღებას არ აქცევს
ვის რა ცეცხლი ედება.

გააგორეს ჯარიმა
სწრაფად, შეუსვენებლად.
მაგრამ კარგი შეტევა
კვლავ ჩაშალეს მცველებმა.

არის ერთი ყიჟინა:
— მომაწოდე, არიქა!
მაგრამ გოლის გატანა
არ იქნა და არ იქნა...

თმაქოჩორა ანზორი
მიწას სულ არ აჩნია,
მაგრამ დიდი ხანია
შეუცვლელი მსაჯია.

## ჩემს ბინაშიაც გელი!

**ბერდია ბერიაშვილი**

მაღალ მთებს ლაშქრავ თოვლიანს,
ნორჩი ახალი წელი;
კარგი მარხილი გქონია:
გზა არ გაშინებს გრძელი,
მოპქრი და მოგიხარია,
გზას გითმობს წელი ძველი.

შენს მოსვლას ვინ არ გაიგებს,
ხარობს სამშობლო მთელი;
თეთრი ნოხები დაგიგე,
ჩემს ბინაშიაც გელი;
თუმცა სტუმარი ერთი ხარ,
ბევრი გყავს მასპინძელი.





# გამარჯვებისთვის იბრძვიან

ჭაღარა ექთანი გაოცებული იყო — მთელი კვირა, დილა-საღამოს საავადმყოფოში მოდიოდნენ ბავშვები, ხელში პატარა თაიგულები ეკავათ, მორიდებით აწვდიდნენ სამკუთხა ბარათებს და თხოვდნენ... თუმცა მათი თხოვნის გარეშეც იცოდა დეიდა თებრომ, ვის ეკუთვნოდა ყვავილებიც და ბარათებიც. იცოდა და უხაროდა, იმწამსვე მიუტანდა მარჯვენა ფანჯარასთან მწოლიარე გოგონას. ერთი რამ უკვირდა ჭაღარა ექთანს: თითქმის სულ სხვადასხვანი მოდიან — რამდენი გულისხმიერი, მზრუნველი მეგობარი ჰყოლიაო პატარა ავადმყოფს!

მთელი კლასი შემდეგაც მორიგეობით დადიოდა მარინესთან ოჯახში. ნაოპერაციევი ჭრილობის გართულების გამო ექიმი სკოლაში წასვლის ნებას არ აძლევდა მარინეს და აი, სასთუმალთან ჩამოუკიდეს მომცრო დაფა, პატარა მასწავლებლები ახალ-ახალ გაკვეთილებს უხსნიდნენ ამხანაგს.

როდესაც კარგა ხნის შემდეგ მარინე სკოლაში მივიდა, ყველა გაკვეთილი იცოდა და თამამად ასწია ხელი. უხაროდა მარინეს და არც ნანის, დიმიტრის, ნინელის და ყველა მეშვიდეკლასელებს უხაროდათ ნაკლებად. ისინი ხომ კარგი ამხანაგები, ნამდვილი მეგობრები არიან. ეს მათი დამსახურებაა, რომ მარინე არ ჩამორჩა კლასს.

### რისთვის ჯავრობენ ტოლები

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, მეგობრებს გაბრაზებაც სცოდნიათ. აბა რა იქნება! სწორედ მაშინ, როდესაც რაზმმა შვიდწლედის თანამგზავრის სახელი მოიპოვა, რეზო ზლაზვნით წამოდგა ინგლისური ენის გაკვეთილზე და... ისე დაჯდა, რომ არაფერი უთქვამს.

ასე იყო ერთხელ, მაგრამ როცა მეორედაც კაუჭა ორიანით „ისახელა“ თავი, გაკვეთილების შემდეგ გარეთ არ გაუშვეს — ბიჭებმა გზა გადაულობეს. რეზომ პირველად იხტიბარი არ გაიტეხა, ეგონა ხუმრობენო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ტოლებთან არასასიამოვნო საუბარი ექნებოდა.

„გამოვსწორდებიო!“ — ამას არ დასჯერდნენ — შენ სამიანებზე უფრო კარგი სწავლა შეგიძლია და უნდა ისწავლო კიდეცო.

ეს ახალი სიო იყო, რამაც გააკვირვა რეზო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ამხანაგები მართლები იყვნენ. ახლა ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ყველგან, საბჭოთა მუშისა და გლეხის ღირსებაზე, სინდისიერ შრომაზე ლაპარაკობენ. ეს კი მოსწავლეებსაც ბევრს აკისრებს. კეთილსინდისიერად სწავლაც ხომ იმას ნიშნავს, რომ არ დაკმაყოფილდე მიღწეულით და, თუ შეგიძლია, კარგად ისწავლო. ეს ხომ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვების მთავარი პირობაა!

ამიტომ ახლა უფრო მეტ ხანს უზის რეზო წიგნებს და უფრო ნაკლებად ჯავრობენ ტოლები.



აი ასე ერთად გასწევენ ხოლმე ხეების გარშემო ნიადაგის გასაფხვიერებლად. უხარიათ ბავშვებს — ჩვენმა დარგულებმა სიმაღლეში გაგვასწრესო.

ესეც ჩვეულებრივი ამბავია — პიონერები ავადმყოფ მეგობარს სახლში ამეცადინებენ.

### „დამზადებულია სკოლის სახელოსნოში“

ბევრი ლამაზი ოთახია სკოლაში, მაგრამ, მიხეილსა და მის მეგობრებს რომ ჰკითხოთ, ყველას ფიზიკის კაბინეტი სჯობნის. მრავალი ხელსაწყო-იარაღი ჩამწკრივებულა კარადების თაროებზე. ბავშვები პირველად აქ გაეცნენ ნიუტონის კანონებს, პირველად საკუთარი ხელით მიიღეს ელექტრული მუხტი, პირველად მიიღეს პასუხი მრავალ კითხვაზე.

აი, ამ საინტერესო საკითხებზე საუბრის დროს მასწავლებელი მრავალ ხელსაწყო-იარაღს იყენებს. ბევრი მათგანი ქარხნის საამქროებშია დამზადებული, ზოგიერთებს კი ამშვენებს პიონერული ნიშნიანი მარკა: „დამზადებულია სკოლის სახელოსნოში“.

ვინ მოთვლის, რამდენ ჩანაფიქრს შეასხეს ფრთები ბავშვებმა დაზგებთან და ჩარხებთან. ყველგან, ყველა კლასში გამოიყენებს მასწავლებელი დახრილი სიბრტყის სადემონსტრაციო ხელსაწყოს, რომელიც მიხეილ ლოქაბიძემ დაამზადა. ასევე ითქმის ვატერპასის, შვეულის და მრავალი სხვა ხელსაწყოს შესახებ.

რაზმეულში მრავლად არიან ხელმარჯვე ბავშვები. ცის ლაჟვარდს სერავს დალი გუდაძის დამზადებული პლანერი. ყოჩაღი გოგონაა დალი,



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბავშვებმა ბევრი ჯართი შეაგროვეს. სულ მალე რკინის ეს ძველმანი პიონერულ ელექტრომავლად იქცევა.

ნორჩ ლენინელთა რაზმი ოქტომბრელების უფროსი ძმაა. აი ახე მხიარულად ართობენ პიონერები პატარებს.



ყოჩაღი! მაგრამ აბა თეიმურაზ ალანიას სახლში შეიხედეთ — ლიანდაგებზე დარბიან პატარა ვაგონები, წინ პატარა ელმავალი უბია. ლამაზია ნორჩი კონსტრუქტორის ნახელავი. რადიომიმღები და კიდევ ბევრი რამ დაუმზადებია მომავალ ინჟინერს. ასეთები კი რაზმეულში ბევრნი არიან.

## იქნება „პიონერული საამქრო"

პლასტმასის ქარხანაში პიონერებს კარგად იცნობენ. გუშაგი ალერსით უღებს ჭიშკარს ბავშვებს, საამქროებშიც ღიმილით ხვდებიან მუშები: პიონერები მოვიდნენ, ჩვენი პიონერებიო! და ისინიც დროს უქმად როდი აცდენენ — ნიჩბებით დაუვლიან ხეებს, გაუფხვიერებენ ნიადაგს, მორწყავენ კიდეც. შემდეგ კი ქარხნის კლუბში ყველანი სიამოვნებით შესცქერიან ბავშვების თვითშემოქმედებას.

სულ პირველად ქარხანაში მოწყობილი ექსკურსიის დროს დამეგობრდნენ პირველი რაზმის პიონერები და ანა სანიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები. დამეგობრდნენ და საერთო გახდა ერთმანეთის „ჭირ-ვარამი". როცა თინა აჭარაძეს რუსულ ენაში გაუჭირდა, მას ქარხნის კომუნისტი ბრიგადირი ამეცადინებდა, ხოლო ზარიფა ოციანცი სხვა საგნებში ამეცადინებდა ფ. ასლამაზოვსა და ე. წიკლაურს. უფროსი მეგობრების დახმარებამ სულ მალე კარგი შედეგი გამოიღო.

კომუნისტი მეგობრები კიდევ ერთი ჩანაფიქრის განხორციელებას ჰპირდებიან ნორჩ მეგობრებს — ქარხანაში შეიქმნება „პიონერული საამქრო". იქ პიონერები ისწავლიან პლასტმასის დამუშავებას, დეტალების დამზადებას, გამოუშვებენ მარტივ პროდუქციას.

## არტეკის გამოძახილი

კიდევ ბევრი საინტერესო საქმის აღმნიშვნელი წრე და ნახატი ამშვენებს პიონერთა ოთახში გაკრულ არაჩვეულებრივ რუკას—კარგი პიონერული ზონა აქვს რაზმეულს. მის შესახებ არაერთი და ორი საუბარი ჰქონდა ნანი ტონიას არტეკში, როცა იგი საკავშირო შეკრებაზე გაგზავნეს.

ბევრი ახალი საქმე და წამოწყება ჩამოიტანა არტეკიდან რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ. და აი, არტეკის გამოძახილია, რომ ახლა რაზმეულში იხსნება ხელოვნების მოყვარულთა და სპორტული კლუბები, ეწყობა დიდი ლენინის მუზეუმი. ბავშვები პიონერულ რეიდებს მართავენ იმის შესამოწმებლად, თუ ვინ როგორ იცავს დღის რეჟიმს.



ამ პიონერმა იზარმაცა. ახლა ამხანაგები კიცხავენ მას, შემდეგ კი მეცადინეობაშიც დაეხმარებიან.

უნგრეთიდან მიღებული დროშა, არტეკიდან ჩამოტანილი ალბომი, გერმანელ პიონერთა ნაჩუქარი წიგნი... ასე იყრება საფუძველი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბს.





სკოლის სახელოსნო თინა აჭარაძისა და გულნარა ძიძიშვილის საყვარელი ადგილია.

რაზმეულის საბჭომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო სასწავლო ხელსაწყოს დასამზადებლად—სკოლის სახელოსნო ბავშვებით არის სავსე.

მომავალი წლის აგვისტოში ზეიმით აღინიშნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვანი 60 წლისთავი. თბილისის მე-14 სკოლის პიონერებმა გადაწყვიტეს გულდასმით შეისწავლონ რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ისტორია, შეადგინონ ალბომები და მატიანეები.

მრავალფეროვანი, საინტერესო პიონერული საქმეებით იბრძვის ყოველი რაზმი შეჯიბრებაში გასამარჯვებლად. ლენინურად ცხოვრებასა და შრომას სწავლობენ ნორჩი ლენინელები.

გურამ ბახტაძე

ფოტო დ. იაკობაშვილისა და ნ. ყირიმნიშვილისა





# მოხუცი მზარეული

კ. პაუსტოვსკი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

1786 წლის ზამთრის ერთ ღამეს, ვენის განაპირას, ხის პატარა სახლში, სულს ღაფავდა ბრმა მოხუცი — გრაფინია ტუნის ყოფილი მზარეული. კაცმა რომ თქვას, ეს სახლი კი არა, ბაღის სიღრმეში ჩადგმული ძველთაძველი ჯიხური იყო. ბაღი ქარის მიერ ჩამომტვრეულ გამხმარ ტოტებს დაეფარა. ტოტები ფეხის ყოველ დაბიჯებაზე ტკაცუნებდა, რის გამოც ხულაში შეყუჟული ძაღლი ხმადაბლა იღრინებოდა; იგი სიბერეს პატრონივით დაეუძლურებინა და ყეფა უკვე აღარ შეეძლო.

მზარეული რამდენიმე წლის წინ ღუმელის სიმხურვალით დაბრმავდა. გრაფინიას მოურავმა იმ დღიდან ჯიხურში გადმოასახლა და ხანგამოშვებით რამდენიმე ფლორინს აძლევდა.

მზარეულთან მისი თვრამეტი წლის ქალიშვილი მარია ცხოვრობდა. ჯიხურის მთელ მორთულობას საწოლი, ფეხმოქცეული სკამები, ტლანქი მაგიდა, დაბზარული ქაშანურის ჭურჭელი და, ბოლოს მარიას ერთადერთი სიმდიდრე — კლავესინი შეადგენდა.

კლავესინი ისე დაძველებულიყო, რომ მისი სიმები ყოველგვარ ხმაურზე წყნარსა და ხანგრძლივ ბგერებს გამოსცემდა. მზარეული მას „ჩვენი სახლის დარაჯს" ეძახდა სიცილით. სახლში ისე ვერვინ შემოვიდოდა, რომ კლავესინი მთრთოლვარე, დაძაბუნებული გუგუნით არ შეხვედროდა.

როცა მარიამ მომაკვდავი დაბანა და გრილი, სუფთა ხალათი ჩააცვა, მოხუცმა უთხრა:

— მღვდლები და ბერები არასოდეს მყვარებია. მოძღვარს ვერ დავუძახებ, თუმცა სიკვდილის წინ სინდისის განწმენდა მინდა.

— როგორ მოვიქცე? — შიშნეულად იკითხა მარიამ.

— გადი ქუჩაში და პირველივე შემხვედრს სთხოვე, აქ მოვიდეს, რომ მომაკვდავის აღსარება მოისმინოს. შენ უარს არ გეტყვიან, —თქვა მოხუცმა.

— ჩვენი ქუჩა ისეთი უკაცრიელია... — წაიჩურჩულა მარიამ, თავშალი მოიხურა და გარეთ გავიდა.

ქალიშვილმა ბაღი გადაირბინა, ჩაჟანგული ჭიშკარი გაჭირვებით გააღო და იქვე გაჩერდა. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ქარი მოათამაშებდა ფოთლებს, ჩამოქუფრულ ციდან კი წვიმის ცივი წვეთები ცვიოდა.

მარია დიდხანს იცდიდა და აყურადებდა. ბოლოს მოეჩვენა, რომ ვიღაც ღობე-ღობე მოდიოდა და მოღიღინებდა. ქალიშვილმა მის შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, უეცრად უცნობ კაცს შეეჩეხა და შეჰყვირა. უცნობი შეჩერდა.

— ვინ არის? — იკითხა მან.

მარია ხელზე მოებღაუჭა და აკანკალებული ხმით მამის სათხოვარი გადასცა.

— კარგი, — მშვიდად წარმოთქვა უცნობმა. — მე მღვდელი არა ვარ, მაგრამ არა უშავს, წავიდეთ.

შევიდნენ სახლში. მარიამ სანთლის შუქზე დაინახა, რომ უცნობი დაბალ-დაბალი, გამხდარი კაცი იყო. მან სველი ლაბადა გაიძრო და სკამზე დააგდო. სანთლის შუქი მის შავ გულისპირზე, ბროლის ღილებსა და მაქმანის ნაოჭებიან საყელოზე აციაგდა. მას უბრალოდ, მაგრამ მოხდენილად ეცვა.

უცნობი ძალზე ახალგაზრდა ჩანდა. მან ბავშვურად გააქნია თავი, გაისწორა დაპუდრული პარიკი, სკამი სწრაფად მიიდგა საწოლთან, ჩამოჯდა, დაიხარა და ყურადღებითა და მხიარული იერით დახედა მომაკვდავს.

— ილაპარაკეთ, — თქვა მან. — ხელოვნებისაგან მონიჭებული ძალით შეიძლება უკანასკნელი წუთები შეგიმსუბუქოთ და სიმძიმილი ავხსნა თქვენს სულს.

— დაბრმავებამდე მთელი სიცოცხლე მუშაობაში გავატარე, — დაიჩურჩულა მოხუცმა და უცნობი თავისკენ მისწია. — ვინც მუშაობს, იმას დრო არ რჩება ცოდვების ჩასადენად. როცა ცოლი — მართა ერქვა — ჭლექით დამისნეულდა, ექიმმა სხვა და სხვა ძვირფასი წამალი გამოუწერა და დაგვარიგა: ნაღები, ლეღვი და შემთბარი წითელი ღვინო არ მოაკლოთო. გრაფინია ტუნის ჭურჭლეულიდან ოქროს პატარა სინი მოვიპარე, დავტეხე და ნაწილ-ნაწილ გავყიდე. ახლა ძალიან მიმძიმს ამის გახსენება და ქალიშვილთან ჩემი ავკაცობის დამალვა: მე მას ვასწავლე, რომ სხვის მაგიდაზე ნამცეცსაც არ მიკარებოდა.

— გრაფინიას მსახურთაგან ხომ არავინ დასჯილა ამის გამო? --- იკითხა უცნობმა.

— გეფიცებით, არავინ, ბატონო, — მიუგო მოხუცმა და ტირილი დაიწყო. — რომ მცოდნოდა, ოქრო ვერაფერს უშველიდა ჩემს მართას, განა შემეძლო მომეპარა?!

— რა გქვიათ? — კითხა უცნობმა.

— იოჰან მეიერი, ბატონო.

— იოჰან მეიერო, — წარმოთქვა უცნობმა და მოხუცის ბრმა თვალებს ხელის გული დაადო. — ადამიანების წინაშე არავითარი ბრალი არ მიგიძღვით. რაც თქვენ ჩაიდინეთ, ცოდვა არ არის და ქურდობადაც არ ჩაითვლება. პირიქით, შეიძლება იგი სიყვარულისთვის თავდადებად ჩაგვეთვალოთ.

— ამინ! — წაიჩურჩულა მოხუცმა.

-- ამინ! — გაიმეორა უცნობმა. — აბა თქვენი უკანასკნელი სურვილი მითხარით.

—მინდა მარიაზე იზრუნოს ვინმემ.

— მე შევგისრულებთ ამ თხოვნას. კიდევ რას ისურვებთ?

მომაკვდავმა მოულოდნელად გაიღიმა და ხმამაღლა თქვა:

— ვისურვებდი, კიდევ ერთხელ მენახა მართა ისეთი, როგორსაც ახალგაზრდობაში შევხვდი. მენახა მზე და ეს ძველი ბაღი, გაზაფხულზე აყვავებული. მაგრამ ეს შეუძლებელია,

ბატონო, ნუ გამიჯავრდებით ამ სულელური სიტყვებისათვის. როგორც ჩანს, ავადმყოფობამ სულ ამირია გონება.

— კარგი, — თქვა უცნობმა და წამოდგა, — კარგი, — გაიმეორა მან, კლავესინთან მივიდა და სკამზე დაჯდა, — კარგი! — მესამედ ხმამაღლა წარმოთქვა და უეცრად სწრაფი ქღერა მოედო ჯიხურს, თითქოს იატაკზე ათასობით ბროლის ბურთულა დაყარესო.

—უსმინეთ თქვა უცნობმა, — უსმინეთ და დაინახეთ.

მარია შემდეგში იმ წამს იგონებდა, როცა პირველმა კლავიშმა დაიჟღერა: უცნობს უჩვეულოდ გაუფითრდა შუბლი, მის ჩაბინდულ თვალებში კი სინათლის შუქი აკიაფდა.

კლავესინი მრავალი წლის მანძილზე პირველად აჟღერდა სრული ხმით და ამ ხმამ მთელი ბაღი და ჯიხური აავსო. ბებერი ძაღლი ხულადან გამოძვრა, თავდახრილი ჩაჯდა და ყურებდაცქვეტილი ნელა აქნევდა კუდს. ციდან თოვლი წამოვიდა, ძაღლი კი ისევ იჯდა და ყურებს აბარტყუნებდა.

— ვხედავ, ბატონო! — თქვა მოხუცმა და წამოიწია. — ვხედავ იმ დღეს, როცა მართას შევხვდი და მან რძით სავსე დოქი გატეხა შეკრთომისაგან. ეს მოხდა ზამთარში, მთებში. ცა იყო მინასავით ლურჯი, გამჭვირვალე და მართა იცინოდა, იცინოდა, — გაიმეორა მან.

უცნობი უკრავდა და ჩაბნელებულ ფანჯარაში იყურებოდა.

— ახლა თუ ხედავთ რამეს? — იკითხა მან.

მოხუცი უსმენდა და დუმდა.

—ნუთუ ვერ ხედავთ? — თქვა უცნობმა და დაკვრა განაგრძო. — ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ღამე შავიდან ლურჯ ფერად იქცა, შემდეგ მტრედისფრად, საიდანღაც მაღლიდან მკრთალი სინათლე ეცემა, თქვენი ხეების გამხმარ ტოტებზე კი თეთრი ყვავილები იშლებიან. მგონი, ეს ვაშლის ყვავილებია, თუმცა აქედან, ოთახიდან, დიდ ტიულპანებს გვანან. შეხედეთ: აგურის ყორეს დაეცა პირველი სხივი, გაათბო იგი, ორთქლი აადინა. ალბათ, გალღობილი თოვლით დაფაოული ხავსი შრება. ცა მაღლა იწევს, უფრო ლურჯი, უფრო დიდებული ხდება, და ჩვენი ძველი ვენის თავზე ჩრდილოეთისაკენ უკვე მიფრინავენ ფრინველთა გუნდები.

— ყველაფერს ვხედავ! — წამოიყვირა მოხუცმა.

პედალმა წყნარად დაიჭრიალა და კლავესინმაც საზეიმოდ დაიჟღერა, თითქოს ის ერთი კი არა, ასობით ხალისიანი ხმა მღეროდა.

— არა, ბატონო, — უთხრა მარიამ უცნობს,—ეს ყვავილები სრულებით არ გვანან ტიულპანებს. ეს — ვაშლები აყვავილდნენ მხოლოდ ერთი ღამით.

— დიახ, — მიუგო უცნობმა, — ეს ვაშლის ყვავილებია, მაგრამ მათ ძალიან დიდი ფურცლები აქვთ.



— ფანჯარა გამოაღე, მარია, — ითხოვა მოხუცმა.

მარიამ ფანჯარა გააღო. ოთახში ცივი ჰაერი შემოიჭრა. უცნობი ძალიან ნელა და წყნარად უკრავდა.

მოხუცი ბალიშზე გადაესვენა, ხარბად სუნთქავდა და საბანზე ხელებს აფათურებდა. მარია მივარდა მას. უცნობმა დაკვრა შეწყვიტა. იგი გაუნძრევლად იჯდა კლავესინთან, თითქოსდა საკუთარი მუსიკით მოჯადოებული.

მარიამ შეჰკივლა. უცნობი წამოდგა და საწოლს მიუახლოვდა. სულშეგუბებულმა მოხუცმა წყნარად წარმოთქვა:

-- მე ისე ნათლად ვხედავ ყველაფერს, როგორც მრავალი წლის წინ. მაგრამ არ მინდოდა ისე მოვმკვდარიყავი, რომ არ გამეგო... სახელი, სახელი!..

— მე მქვია ვოლფგანგ ამადეი მოცარტი, — უპასუხა უცნობმა.

მარია საწოლს მოსცილდა და იატაკს კინაღამ მუხლებით შეეხო, ისე დაბლა დახარა თავი დიდი მუსიკოსის წინ. როცა გასწორდა, მოხუცი უკვე მკვდარი იყო. ფანჯრებთან განთიადი ეშვებოდა, რომლის შუქზეც სველი თოვლის ყვავილებით დაფარული ბაღი ილანდებოდა.

თარგმნა **მზია ლომსაძემ**





* * *

ორი წლის წინ, 19[illegible] ოქტომბერს, ჩვენი ქვეყ[illegible] პიონერი დადგა პიონერული ორწლედის სტარტზე დევიზით — „პიონერები სამშობლოს!" და აი, დღეს, როცა რაზმეულები უპატაკებენ საკავშირო პიონერულ საბჭოს თავიანთი მიღწევების შესახებ სწავლასა და შრომაში, თბილისის მე-4 საშუალო სკოლის 750 პიონერიანი რაზმეულიც სხვებთან ერთად მოვიდა პატაკის ჩასაბარებლად პიონერული ორწლედის ფინიშზე.

ორწლედის მანძილზე რაზმეულმა ბევრი კარგი და სანაქებო საქმით ისახელა თავი. მის ყველა წევრს სიამაყის გრძნობით შეუძლია თქვას: — პირობა პირნათლად შევასრულეთ!

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტარტი და ფინიში

## „სამშობლო და დედაენა"

„დედაენა" ცოდნის სამყაროში შესასვლელი პირველი კარია. ეს კარგად იციან რაზმეულის პიონერებმა და ამიტომ დიდ პატივს სცემენ „დედაენის" შემდგენლებს ეკ. ბურჯანაძესა და ნ. ბოცვაძეს. პიონერული ორწლედის პერიოდში რაზმეულმა მოაწყო დიდი ზეიმი, — „სამშობლო და დედაენა", რომელზედაც მოიწვიეს პატივცემული შემდგენლები. ნორჩმა ორატორებმა ილაპარაკეს საყვარელ „დედაენაზე", წიგნის შემდგენლებზე, ქართული ენის სიმდიდრესა და სიწმინდეზე. ნორჩმა დეკლამატორებმა ტერეზა სუარესმა, ნანა ჩინჩალაძემ, თემურ ბუხრაშვილმა და სხვებმა წაიკითხეს „დედაენაში" შესული ნაწარმოებები. ზეიმის დასასრულს წარმოდგენილ იქნა „ოთხა და გიგოს" ინსცენირება. ზარმაც გიგოს როლს თემურ ბუხრაშვილი ასრულებდა, წვერცანცარა თხის როლში კი ნამდვილი. კოცხალი თხა გამობაკუნდა სკოლის სცენაზე.

## დეიდა ნინო 90 წლისაა

ახლოვდებოდა პატარების საყვარელი მწერლის, დეიდა ნინო ნაკაშიძის დაბადების 90 წლისთავი. ამ თარიღის შესახვედრად მთელი საქართველო ემზადებოდა. ემზადებოდნენ პატარებიც. რაზმეულის საბჭოს მორიგ სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: მოეწყოთ შეკრება, რომელიც მიეძღვნებოდა დეიდა ნინოს, და შეკრებაზე უსათუოდ მოეწვიათ თვითონ მწერალიც. მაგრამ...

—რას ამბობთ! — შეუტია ყველას ციური ლობჟანიძემ. — რით ვერ გაიგეთ, რომ დეიდა ნინოს მთელი ოთხმოცდაათი წელი უსრულდება და, სამწუხაროდ, ხანდაზმულობის გამო შორ მანძილზე წასვლა აღარ შეუძლია!

— ციური მართალს ამბობს! — გაისმა აქეთ-იქიდან. — რაღაც სხვა უნდა ვიღონოთ!

— ჩვენ ვეწვიოთ. მასთან მოვაწყოთ შეკრება! — თქვეს პატარებმა, და ასეც მოიქცნენ.

დეიდა ნინომ ჯერ კი გაიოცა, როცა წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები დაინახა თავისი კარის ზღურბლთან, მაგრამ, რაკი მათი მოსვლის მიზეზი გაიგო. ძლიერ გაიხარა,

სტუმრებმა მასპინძელს დაბადების 90 წლისთავი მიულოცეს და კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე უსურვეს. შემდეგ ციური ლობჟანიძემ მწერლის ბიოგრაფია გააცნო დამსწრეთ. მარინე გაბუნიამ და ვაჟა ებიაშვილმა საკუთარი ლექსები წაუკითხეს საყვარელ მწერალს. დოდო ქორქოლიანმა „კოტეს დანაშაული" გაარჩია, ცისანა გემაზაშვილმა მწერლის შემოქმედებაზე გაამახვილა ყურადღება, თემურ კუნჭულიამ კი ოსტატურად წაიკითხა დეიდა ნინოს „წყარო".

შეკრების დასასრულს სტუმრებმა და მასპინძლებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს. გოგონებმა სახე დაუკოცნეს დეიდა ნინოს, ბიჭებმა ხელი ჩამოართვეს და შთაბეჭდილებებით აღსავსენი შინისაკენ წავიდნენ.

## „დაუპატიჟებელი სტუმრები"

იმ დღესაც ჩვეულებრივად აჰყვა სკოლის კიბეს ჟურნალ-გაზეთებითა და გზავნილებით დატვირთული ფოსტალიონი; ჩვეულებრივად შეაღო კანცელარიის კარი, შემდეგ პიონერთა ოთახს მიაშურა, უფროსი პიონერხელმძღვანელი იკითხა, ფოსტა გადასცა და დაემშვიდობა.

ტანმორჩილმა ბიჭუნამ ერთ-ერთ კონვერტს დახედა:

წერილი გერმანიიდან იყო. — ბიჭოს, ნუთუ ასე სწრაფად გვიპასუხეს! — გაიოცა მან. უმალ ტოლ-ამხანაგები შემოეხვივნენ.

ნოდარ ხონელიძემ გაბრწყინებული თვალებით დაიწყო წერილის კითხვა და როცა ჩაათავა, მის თვალებში სიხარულის ნაპერწკლები ჩაქრა.

— რა მოხდა? — შესძახეს აქეთიქიდან.

— ეჰ, რაღა რა მოხდა! — ნაღვლიანად თქვა მან. — ჩვენი კომპოზიტორის ალექსანდრე ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები" გერმანელ პიონერებს თავიანთ სასკოლო სცენაზე წარმატებით დაუდგამთ, ჩვენ კი აზრადაც არ მოგვსვლია მისი დადგმა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თავ-თავის ფიქრს გაჰყვა. დუმილი ზურაბ მანჩხაშვილმა დაარღვია: — რა მოგივიდათ, რა ჩამოგტირით სახეები? — ომახიანად შესძახა მან. — მართალია, ეს ქართული ბალეტი ჩვენზე უწინ გერმანელმა პიონერებმა დადგეს, მაგრამ ხომ გაგიგიათ — „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო" — ჰოდა, ჩვენც...

— მართალია, მართალი! — აღარ დაამთავრებინეს ზურაბს, — ჩვენც დავდგათ „დაუპატიჟებელი სტუმრები" და მერე ყოველივე ამის შესახებ ჩვენს გერმანელ მეგობრებს მივწეროთ. —თქვეს მათ და სიტყვა საქმედ აქციეს. „დაუპატიჟებელი სტუმრების" პირველი მოქმედება გულდაგულ შეისწავლეს, მოამზადეს და მერე, სკოლის სცენაზე თავიანთი მაყურებლების წინაშე წარმატებით გამოვიდნენ. ყაყაჩოს როლი ნესტან ქორიძემ იკისრა, თინიკოს — ლეილა ყანჩაშვილი ასრულებდა, გვის კიდევ — ზურაბ მანჩხაშვილი ანსახიერებდა.

## ჩვენი „ნონა მასწავლებელი"

პიონერული ორწლედის სტარტის ალების დღეს, როცა რაზმეული საზეიმო ვითარებაში ვალდებულებებს კისრულობდა, პიონერებმა პირობა დადეს, რაზმეულის არც ერთ რაზმში არ ყოლოდათ ოროსნები და კარგი სწავლითა და სასახელო საქმეებით „შვიდწლედის თანამგზავრი" რაზმების სახელის მოსაპოვებლად ებრძოლათ.

მეხუთეკლასელები დალი და მანანა თედოზაშვილები თავიანთი აკადემიური ჩამორჩენილობით რაზმს უკან ეწეოდნენ. ეს ამბავი ყველას აწუხებდა. გადაწყვიტეს მოეწვიათ რაზმის სპეციალური შეკრება და ამ საკითხზე ემსჯელათ. ასეც მოიქცნენ. დალისა და მანანას აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება ნონა კაკაურიძემ იკისრა და, გაჩაღდა სწავლა.

ნონამ კარგად იცოდა, რომ დები თედოზაშვილები განსაკუთრებით რუსულსა და არითმეტიკაში კოჭლობდნენ და, ამიტომ, მთელი ყურადღება აქეთკენ გაამახვილა. ჯერ იყო და, შინ ესტუმრა დალისა და მანანას, მეგობრებმა მომდევნო დღის გაკვეთილები ერთად მოამზადეს. მერე თავისთან მიიწვია დები და ასე, ყოველდღე სისტემატურმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო.

— თედოზაშვილი დალი! — გამოიძახა ერთ დღეს რუსული ენის მასწავლებელმა ქეთევან ჩანთაძემ დალი და ის იყო, ჩვეულებრივად მოემზადა ჟურნალში ორიანის ჩასაწერად, რომ დალიმ გაკვეთილის თხრობა დაიწყო. ქეთევან მასწავლებელმა ყურებს არ დაუჯერა, წუთით შეჩერდა, გოგონას მიაპყრო თვალები, დალი შეუცდომლად ყვებოდა გაკვეთილს...

— ყოჩაღ დალი! სწავლა შეგძლებია. — კმაყოფილებით თქვა ქეთევან მასწავლებელმა და დალის გვარის გასწვრივ ორიანის ნაცვლად ამჯერად დინჯად ჩაწერა „ოთხიანი". რა იცოდა მასწავლებელმა, რომ ამ ნიშნის მიღება ნონა კაკაურიძის დამსახურებაც იყო.





ნონა კაკაურიძე სკოლის ორანჟერეის ხშირი სტუმარია, იგი გულმოდგინედ უვლის ნარგავებს.

დები თედოზაშვილები ყურადღებით უსმენენ ნონა „მასწავლებელს".

სიხარულს სიხარული მიემატა. იმ დღეს მანანაც გაიწვია დაფასთან არითმეტიკის მასწავლებელმა და, როცა გოგონამ უშეცდომოდ გამოიყვანა მაგალითი, თომა მასწავლებელი გაოცდა, — ხომ არ მეჩვენებაო. მანანას გამოყვანილ მაგალითს თვალი გადაავლო და, რაკი მის სისწორეში დარწმუნდა, ახლა მან ჩაწერა ჟურნალში მანანას გვარის გასწვრივ მაღალი შეფასების ნიშანი.

ახლა მანანა და დალი კარგად სწავლობენ, გაკვეთილებს სისტემატურად ამზადებენ, ნიშნებსაც კარგებს ღებულობენ. ყველა კმაყოფი-

ლია, განსაკუთრებით კი — „ჩვენი მასწავლებელი“ — ნონა კაკაურიძე. — ამბობენ დები თედოზაშვილები.

## პატაკი და ახალი ვალდებულებანი

გათენდა 1962 წლის 2 ოქტომბრის დილა — პიონერული ორწლედის ფინიშის დღე. რაზმეულმა ამ ხნის მანძილზე ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ყოველივე ამის შესახებ კი ილაპარაკა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ხონელიძემ.

— მართალია, პიონერული ორწლედი დავამთავრეთ, — თქვა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ. — მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დღეიდან გულხელდაკრეფილნი ვისხდებით. რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით, წინადადება შემოგვაქვს ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ რაზმში არ გვყავდეს არც ერთი ოროსანი, მინიმუმამდე დავიყვანოთ სამოსანთა რიცხვი.

ყოველი რაზმი ვალდებულია თვალისჩინივით მოუაროს სახელმძღვანელოებს და სასწავლო წლის დასასრულს წიგნები გადასცეს სახელმძღვანელოების სასკოლო ფონდის საგუშაგოს.

ჩვენი სკოლის ცალკეული რაზმები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

შეისწავლიან სკოლის პიონერული ორგანიზაციის ისტორიას.

პიონერული მოქმედების ზონებში რაზმეული უნდა იცავდეს სანიმუშო პიონერულ დისციპლინას, უფრთხილდებოდეს გაზონებს, იცავდეს სახელმწიფო ქონებას, ეხმარებოდეს მოხუცებს, პენსიონერებს.

თბილისის მე-4 სკოლის მე-4 რაზმეულის პიონერებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ პარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრში — „ვისი რაზმია უკეთესი“, აქტიურად ჩაებმებიან და ყველა რაზმი სასახელოდ უპატაკებს:

ვსწავლობთ, ვცხოვრობთ და ვშრომობთ ისე, რომ ყოველ მოწოდებაზე ვუპასუხოთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად მზად ვართ!

**თემურ ცაგარელი**

ფოტო ავტორისა

## ექსკურსია მოსკოვსა და ლენინგრადში

საზაფხულო არდადეგებზე უფროსებმა რუსეთში წაგვიყვანეს სამოგზაუროდ. ბევრი ვისიამოვნეთ! იმდენი რამ ვნახეთ, რომ ტომები დასჭირდებოდა ყველაფრის დაწვრილებით აღწერას. განსაკუთრებით კი მოსკოვმა და ლენინგრადმა გაგვაოცა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით გაგვამდიდრა.

ვერ მოვითმინეთ და ეს დღიური დავწერეთ.



* * *

მოუთმენლად ველით 9 ივლისს. დღეს მოსკოვის მატარებლით გავდივართ თბილისიდან. მოთმინება აღარ გვყოფნის, როდის ვნახავთ მოსკოვს...

და ჰა, მიჰქრის მატარებელი. გათენებისას სარკმელში კავკაზსკაია მოჩანს. დედამ გაგვახსენა ეს ნაცნობი სადგური. სტავროპოლში რომ მივიდოდით ორი წლის წინათ, სწორედ აქ გადავსხედით მეორე მატარებელში. ლამაზი ქალაქია სტავროპოლი; სწორი, განიერი ქუჩები, უამრავი ყვავილი.

10 ივლისი ტუაპსეში გავჩერდით. ჩვენ სადგურში გემები დგანან. ზღვიდან ქალაქი ძალიან ლამაზი ჩანს. გავიარეთ დიდი ქალაქები: როსტოვი, ხარკოვი, კურსკი. თითქმის ყველა სადგურში ჩავდიოდით და ვათვალიერებდით.

11 ივლისს უკვე მოსკოვში ვართ. აგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა. ვნახეთ ჩვენი დედაქალაქი. მოსკოვი ხალხმრავალი, დიდი, სიცოცხლით აღსავსე ქალაქია. აუარებელი უცხოელი ტურისტია მოსკოვში. იმ დღეს ქალაქი დავათვალიერეთ. მანქანის მძღოლი გზადაგზა გვიჩვენებდა ღირსშესანიშნავ ადგილებს. 12 ივლისს დილით სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა დავათვალიერეთ. ძალიან კმაყოფილი დავრჩით საქართველოს პავილიონით. შემდეგ ვნახეთ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი. ვინატრეთ: ნეტავი ახლა აქ ვსწავლობდეთ! განა არ არის სანატრელი?

ამაღამ ლენინგრადში მივდივართ. ვჩქარობთ.

13 ივლისი. ლენინგრადში ვართ. მცირე დასვენების შემდეგ მანქანით მოვიარეთ მთელი ქალაქი. დავათვალიერეთ ზამთრის სასახლე გარედან, ვნახეთ სასახლის წინა მოედანი, რომელზედაც 1905 წლის 9 იანვარს სისხლიანი კვირა მოუწყო უიარაღო მშრომელებს მეფემ. გადავიღეთ სურათი და საღამოს დავბრუნდით შინ. თუმცა რა საღამოა! ღამის თორმეტი საათია და დღესავით სინათლეა: თურმე ლენინგრადის თეთრ ღამეებს ჩამოვუსწარით!

მეორე დღეს წავედით პეტრე პირველის საზაფხულო სახლ-მუზეუმის სანახავად. როგორც ექსკურსიის ხელმძღვანელმა გვითხრა, „ლეტნი დვორეცი“ აუშენებიათ 1709 წელს პეტრე პირველისათვის. იგი დროდადრო მოდიოდა ამ სასახლეში და აქედან ნევის მეორე მხარეს უთვალთვალებდა — აკონტროლებდა პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის შეიარაღებას და მზადყოფნას. ზედა სართული ეკუთვნოდა მის მეუღლეს — ეკატერინე პირველს, პირველი სართული კი თვითონ პეტრე პირველისა ყოფილა. აქ არის მისი საწოლი ოთახი. როგორც ამბობენ, პეტრე პირველს ცხელი საჭმელები უყვარებია, ამიტომ სამზარეულო სასადილო ოთახის გვერდითაა. მათ შორის ფანჯარაა, საიდანაც ცხელ კერძებს მიართმევდნენ იმპერატორს.

პეტრე დიდის კაბინეტში, სამუშაო ნივთებისა და წიგნების გარდა, ათასგვარ ხელსაწყოს ნახავთ. პეტრეს 14 სხვადასხვა სახის ხელობა სცოდნია. განსაკუთრებით ხარატობა ჰყვარებია.

16 ივლისი. დავათვალიერეთ პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრე. ამ ციხის საძირკვლის ჩაყრით (1703 წლის 16 მაისს) საფუძველი ჩაეყარა ქალაქ პეტერბურგს. ეს ციხე-სიმაგრე იცავდა ქალაქს შვედებთან ბრძოლაში, რომელიც 21 წელი მიმდინარეობდა.

# მოსწავლეთა შემოქმედება

სიმაგრე ყოფილა სამხედრო ცენტრი, მაგრამ შემდეგ მისთვის პირველობა ჩამოურთმევია კრონშტადტს. ციხე-სიმაგრე-შემოღობილია მაღალი კედლით. აქ არის მოსკოვის კრემლის ტაძარზე მაღალი პეტრე-პავლეს მდიდრული ტაძარი. შიგნით ადგილი, სადაც წირვა მიმდინარეობდა, მოპირკეთებულია ოქროთი დაფერილი დაჭრილი ხით. ტაძარში გამოყოფილია გადახურული ტახტრევანი მეფისათვის. პეტრე პირველი გარდაიცვალა 1725 წელს და აქვე არის დასაფლავებული. ამ ტაძარში რუსეთის თითქმის ყველა მეფეა დამარხული. ტაძრის გარდა, ეზოში არის ციხე-სიმაგრე, რომელიც დროთა ვითარებაში ყველაზე დიდ საპატიმროდ გადაქცეულა და მეორე ბასტილია გამხდარა თავისი სისასტიკით. ამ ციხეში დაპატიმრებულნი ყოფილან დეკაბრისტები. აქ ისხდნენ აგრეთვე ჩერნიშევსკი, გორკი, ჟელიაბოვი, მოროზოვი, ლენინის ძმა ალექსანდრე ულიანოვი და სხვები. ვნახეთ მათი საკნები, სადაც ამჟამად მუზეუმია.

შემდეგ იქიდან წამოვედით და დავათვალიერეთ ისაკის ტაძარი — ერთ-ერთი დიდი ტაძარი ლენინგრადში. ტაძრის შემკობა-მოოქროვებაზე თურმე 800 კილოგრამი ბაჯაღლო ოქრო დახარჯულა.

კიბით ავედით ტაძრის თავზე, საიდანაც ჩვენ წინ გადაიშალა ლენინგრადი.

17 ივლისი. დღეს წავედით მეტროს დასათვალიერებლად. ვადარებთ მოსკოვის მეტროს. ყველა სადგური ვნახეთ. ძალიან მოგვეწონა. სადგურების დათვალიერების შემდეგ წავედით ზოოპარკში. ვნახეთ ამურის ვეფხვი, ლომი ვასაკა, რომელიც გადაღებულია კინოფილმებში: „დონ კიხოტი", „ჩექმებიანი კატა", „მას თქვენ უყვარხართ", „ჭრელი არენა".

18 ივლისი. დღეს ვნახეთ ერმიტაჟი. ამ მუზეუმს ზამთრის სასახლის შენობა უჭირავს. მისი აღწერა ძალიან ძნელია, დაახლოებით 1500 დარბაზი ყოფილა. ოთახები სულ სხვადასხვანაირია. აქ არის გამოჩენილი მხატვრების ნამუშევრები, ავეჯი, ჭურჭელი, ქანდაკებები და ვინ მოთვლის კიდევ რა. ორი დღე ვათვალიერეთ ერმიტაჟი. თავი სიზმარში გვეგონა. ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს.

20 ივლისი. დღეს დილით ნევაზე გემით ვიმოგზაურეთ. დავათვალიერეთ მთელი ნევის სანაპირო. ნევის მარჯვენა ნაპირზეა კიროვის სახელობის მხოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონი, პეტრე პირველის სასახლე პეტერგოფი, ქალაქი ლომონოსოვი — ცნობილი პარკებითა და სასახლეებით, ხაზღვაო ციხე-სიმაგრე კრონშტადტი, დაარსებული პეტრე პირველის მიერ. გავიარეთ „შალაშში", სადაც 1917 წელს თავს აფარებდა ლენინი. ვნახეთ დეკაბრისტების მოედანი, პეტრე პირველის ცნობილი ქანდაკება —ბრინჯაოს მხედარი, სასახლის ხიდი, ზამთრის სასახლე, პეტრე პირველის ციხე-სიმაგრე, სუვოროვის მოედანი, პეტრე პირველის სასახლე, მივუახლოვდით შლისელბურგის ციხეს, რომელსაც შემდეგ პეტრეს ციხე ეწოდა. „შლისელბურგი" ნიშნავს გასაღებ ქალაქს, რადგან იგი დასავლეთ ევროპაში გასასვლელი კარი იყო. ციხის ეზოში ეკიდა სახრჩობელა. აქ ჩამოახრჩვეს ლენინის ძმა ალექსანდრე, რომელიც აქვე. ძმათა სასაფლაოზეა დასაფლავებული. ექსკურსიის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ ლენინი ხშირად მოდიოდა ძმის საფლავზე — მას ხომ ძალიან უყვარდა ძმა. 1905 წელს აქ ასახლებდნენ პოლიტიკურ დამნაშავეებს, განსაკუთრებით სამხრეთელებს —აქაურ ჰავას ვერ აიტანენ და მალე დაიხოცებიანო. აქვე იყო გადასახლებული სერგო ორჯონიკიძე.

22 ივლისი. დავათვალიერეთ სმოლნი. ვნახეთ ოთახი, სადაც ცხოვრობდნენ ლენინი და კრუპსკაია. ოთახში დგას რკინის საწოლები, ტახტი, ორი სავარძელი, მაგიდა, ზედ — ნავთის ლამფა, ტელეფონი, გაზეთები. იქიდან წავედით და ვნახეთ კრეისერი „ავრორა", რომელმაც ხალხს ამცნო ზამთრის სასახლის აღება. ვნახეთ ის ჯავშნოსანი, საიდანაც 1917 წლის 3 აპრილს სიტყვა წარმოთქვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა.

23 ივლისი. დღეს დავათვალიერეთ პუშკინო, „ცარსკოე სელო", სადაც სწავლობდა პუშკინი. დავათვალიერეთ მისი ოთახი, ეკატერინე მეორის სასახლე და ბაღი, სადაც ხშირად სეირნობდა პუშკინი. „ცარსკოე სელოს" ამჟამად „დეტსკოე სელო" ეწოდება. იქიდან ლენინგრადში რომ დავბრუნდით, ვნახეთ ადგილი, სადაც დუელში მოკლეს პუშკინი. აქ ობელისკი დგას.

25 ივლისი. დღეს გემ „კატლინით" გავედით ფინეთის უბეში. დავათვალიერეთ პეტრეს სასახლე — „პეტრო დვორეცი", შადრევნების ქალაქი. მივდივართ ლამაზი, კომფორტაბელური ხომალდით. ჩვენთან ერთად მოგზაურობენ უცხოელი ტურისტები, ეტყობათ, აღფრთოვანებულნი არიან ლენინგრადით.

ასე დავათვალიერეთ ლენინგრადი და გამოვწიეთ სიმფეროპოლისაკენ. 30 ივლისს ჩამოვედით სიმფეროპოლში და ისიც დავათვალიერეთ. შემდეგ მანქანით გავემგზავრეთ ფეოდოსიაში. ფეოდოსია ლამაზი ადგილია. პლაჟიც შესანიშნავია — სულ წვრილი ქვიშაა. ვბანაობთ, ვშავდებით მზეზე, ვკაფდებით. აუარებელი ხალხია. — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კომიდან, შორეული აღმოსავლეთიდან. ბევრი მეგობარი გავიჩინეთ.

5 აგვისტო. ვნახეთ აივაზოვსკის სახლ-მუზეუმი. ეს სახლი და მთელი ნახატები აივაზოვსკის ქალაქისათვის უჩუქნია. ვნახეთ გმირი პარტიზანი პიონერის ვიტია კოროპკოვის სახლი, სადაც მოწყობილია მუზეუმი. პიონერებს შეუგროვებიათ ჯართი და ძეგლი დაუდგამთ გმირი მეგობრებისათვის.

7 აგვისტო. დღეს დილით გემ „ალუშტათი" დავიძარით ფეოდოსიიდან. მარცხნივ ხელისგულივით გადაიშალა ზღვა, მარჯვნივ — ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპირო. ჩავედით ევპატორიაში, იქიდან კი ისევ ფეოდოსიაში დავბრუნდით. გზადაგზა გემი ჩერდებოდა. გადმოვდიოდით და ვათვალიერებდით ღირსშესანიშნავ ადგილებს. საერთოდ, ყირიმის სამხრეთი ნაწილი საქართველოს ჩამოჰგავს. ლამაზია კურორტი საკი. ალუპკაში დავათვალიერეთ ვორონცოვის სახლ-მუზეუმი, ვნახეთ ის დარბაზი, სადაც მიმდინარეობდა ისტორიული ყირიმის კონფერენცია. აქ ახლა სანატორიუმია და ათასი კაცი ისვენებს ერთდროულად. ვნახეთ იალტაში ჩეხოვის სახლ-მუზეუმი, კურორტები ალუშტა, გურზუფი, მასანდრა, იალტა, ბახჩისარაი, ნავსადგური სევასტოპოლი, ცნობილ ნიკიტინის ბოტანიკურ ბაღს ჩვენთან ერთად ათვალიერებდნენ უცხოელი ტურისტებიც და ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას. მართლაც შესანიშნავი სანახავია ეს ბაღი.

ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ ისევ გემ „ალუშტათი" დავბრუნდით უკან ფეოდოსიაში.

24 აგვისტოს დავტოვეთ ფეოდოსია. ორი დღის შემდეგ გადმოვლახეთ ქერჩის სრუტე. მატარებლის შემადგენლობას დგამენ ბორანზე და ისე გადააქვთ მეორე ნაპირზე. ეს სილამაზე თვალით უნდა ნახოს ადამიანმა, მისი გადმოცემა ძნელია.

ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი ვისიამოვნეთ. შთაბეჭდილებებით აღსავსენი დავბრუნდით ჩვენს საყვარელ თბილისში.

ოთარ არეშიძე,
დათო რამაზაშვილი,
თბილისის 67-ე სკოლის მოსწავლეები.



ეროვნული

# სახალხო გმირი სოლოღა სოლოღაშვილი

ქართველი სახალხო გმირი სოლოღა ქვემო ქართლის ცნობილი გვარეულობის სოლოღაშვილთა შტოს ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ XIII–XIV საუკუნეებში სოლოღაშვილები გმირულად ებრძოდნენ მონღოლთა ურდოებს, რომლებიც საქართველოში შემოიჭრნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ქავთარ სოლოღაშვილი, რომლის პატივსაცემად მისი გვარი მის შთამომავლობაში სახელად დამკვიდრებულა.

თვითონ სახალხო გმირი სოლოღა XVII საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. სოლოღა ბავშვობიდანვე ეჩვეოდა მშვილდ-ისრის სროლას და მალე ისე გაიწაფა, რომ ასპარეზობაზე, ყაბახი იყო თუ ისინდი, ვერავინ სჯობნიდა და ყოველთვის პირველი გამოდიოდა ხოლმე. იგი ამავე დროს ძალიან დახელოვნებულა ისრის შორ მანძილზე სროლაში და ცხენით ჯირითში. ფიზიკურად ძლიერ, ლომგულ ვაჟკაცს თვალზომა იშვიათი ჰქონდა; გადმოცემით, მისგან ნასროლი ისარი ერთ კილომეტრამდე მიდიოდა.

სოლოღას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩანს, იგი გიორგი სააკაძის თაობის კაცი იყო და შეიძლება მის ლაშქარშიც იბრძოდა.

საქართველოს მატიანემ როგორც სხვა ბევრი გმირის, ისე სოლოღას საქმეებიც ნაკლებად შემოგვინახა, მაგრამ ხალხმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეშივე შექმნა ბალადა, რომელსაც გმირის სახელი „სოლოღა" უწოდა. ეს ბალადა, ცნობილი ქართველი მეცნიერის, ვახტანგ კოტეტიშვილის მოწმობით, საკმაოდ გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ბალადა „სოლოღა", რომელმაც უკვდავყო გმირის სახელი, პირველად ილია ჭავჭავაძემ მიაკვლია, ჩაიწერა და გამოაქვეყნა 1877 წელს თავის გაზეთ „ივერიაში".

სოლოღას გმირობის ამბავი საქართველოდან შორს — ირანსა და თურქეთშიც ყოფილა ცნობილი. ბალადაში დაცულია სოლოღას ერთი გმირობის ამბავი, რაც მიზეზი გამხდარა გმირზე ხალხური ბალადის წარმოშობისა.

სოლოღა სოლოღაშვილი ერთხელ თურქეთის ხონთქრის კარზე გაგზავნეს რაღაც დიდი საქმის გამო. სტამბოლში რომ ჩავიდა, ხონთქარი იქ არ დახვდა. ხონთქრის ვეზირმა კეთილად მიიღო გმირი და კარგადაც გაუმასპინძლდა. როდესაც სოლოღამ ვეზირს თავისი სათქმელი უთხრა, ვეზირმა, რომელმაც კარგად იცოდა თავისი სტუმრის გმირობა და მამაცობა, სთხოვა: შენ მთელ საქართველოში განთქმული ხარ როგორც მოჯირითე და მსროლელი, ერთი თხოვნა შეგვისრულე და რასაც გვთხოვ შეგისრულებთო. სოლოღამ ჯერ შორს დაიჭირა ვეზირის თხოვნა: აბა, მე ჯირითისა რა ვიციო და არც ამისათვის მოვსულვარო! ვეზირმა სოლოღას უთხრა: ხონთქარს ერთი არაბი ჰყავს, განთქმულია ჯირითსა და სროლაში, მისი ბადალი არ მოიპოვებაო. ვინც იმას ჯირითში შეეჯიბრება, თავზე ჯილდას დავადგამთო. სოლოღამ ახლა ცხენი მოიმიზეზა: ჩემი ცხენი დაღლილიაო. ვეზირმა ამაზე უპასუხა: სულ ერთია, არ დაგიჯერებენ, ხვალ-ზეგ არაბს ჯირითში უნდა შეეჯიბროო.

მაშინ აღარ დააყოვნა სოლოღამ და უთხრა ვეზირს: ისეთი ცხენი მომგვარეთ, შვიდ მეჯინიბეს ძლივს ეჭიროს, და ისეთი ისარი მიბოძეთ, — წამწამს ილებდეს თვალიდანო.

დანიშნულ დღეს სოლოღას ცხენიც მოჰგვარეს და ისარიც მოუტანეს. ორშაბათი იყო. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქვე მობრძანდა ხონთქარი თავისი ამალით. მოედანზე გამოვიდა ზვიადი არაბი მოჯირითე. სოლოღამ არაბს სალამი მისცა. თავხედმა არაბმა სალამი არ მიიღო და უთხრა: შენი სალამი რად მინდა, ცხენი გააჭენე, ისარი უნდა გესროლოო. სოლოღამ დიდი სისწრაფით გააჭენა ცხენი, ესროლა არაბმა, — ისარი სოლოღას მხარზე გადაევლო. სტყორცნა არაბმა მეორედ, — ისარი სოლოღას ცხენის უნაგირს მოხვდა. მესამე ისარიც სოლოღას ჯავშანმა აირეკლა და ჰაერში ავარდა.

ახლა არაბის გაქცევისა და სოლოღას ისრის ტყორცნის ჯერი მოვიდა. ქართველმა გმირმა არაბს უთხრა: შენ ხომ სამჯერ მესროლე, მე მხოლოდ ერთხელ გესვრიო.

მოჯირითე-მოისარმა არაბმა ცხენი გააჭენა. უკან მიჰყვა სოლოღაც. როცა არაბი დიდი მანძილით დაშორდა, ესროლა სოლოღამ ისარი და „დაასვა ბეჭის თავზედა". არაბი მაშინვე ცხენიდან გადმოვარდა და სული განუტევა. ეს რომ ხონთქარმა გაიგო, ბრძანა, სოლოღა აქ მომგვარეთო. უშიშარი გმირი ამაყად გაემართა. ხონთქარმა სოლოღა კეთილად მოიკითხა, უბოძა მოკლული არაბის მშვენიერი ცხენი ოქროს უნაგირით, ვერცხლის ჩიბუხი და ფოლადის ხმალი. გამარჯვებული სოლოღა სამშობლოში დაბრუნდა.

ხალხმა შეაქო თავისი გმირი:

„თემში განთქმულა სოლოღა,
ცხენზე ზის არაბისასა,
სამკლავე ჯაჭვი აცვია,
ხმალს ხმარობს ფოლადისასა,
ისეთი სამართალი აქვს,
ბეწვს შუა ჰყოფდა თმისასა".

სამწუხაროდ, არა ჩანს, რა ბედი ეწია შემდგომში სანაქებო სახალხო გმირს სოლოღა სოლოღაშვილს.

ვ. სიდამონიძე

ნახ. რ. თორდიასი



ჩვენი კულტურის ძეგლები

# ლაგურკა



საქვეყნოდაა განთქმული სვანეთის ბუნება, მისი მქუხარე მდინარეები, ასწლოვანი ტყეებით დაფარული ბუმბერაზი მთები, შესანიშნავი მინერალური წყლები. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ საქართველოს ამ პატარა კუთხეში მრავალი უნიკალური ისტორიული ძეგლია შემონახული, ყოველი დაბა, ყოველი სოფელი თავისი ეკლესიით თუ სხვა რაიმე ისტორიული ძეგლითაა ცნობილი. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნაგებობაშიც კი ჭედური ხელოვნებისა და კედლის მხატვრობის ისეთი ნიმუშებია დაცული, რომლებიც ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში წარუშლელ კვალს ტოვებენ.

მესტიიდან აღმოსავლეთით, მდინარე ენგურის ვიწრო ხეობას რომ შევყვებით, სოფელ ხესთან მაღალი მთის თხემზე რამდენიმე ნაგებობას შევამჩნევთ. ესაა მთელ სვანეთში განთქმული კვირიკესა და ივლიტეს სახელობის ეკლესია, რომელიც ხალხის თავშეყრისა და წმიდა დღესასწაულთა ადგილი იყო.



კვირიკესა და ივლიტეს ხატი

ლაგურკას ეზოდან (ლაგურკა სვანურად კვირიკეს ნიშნავს) დიდებული სურათი იშლება. ჩრდილო-დასავლეთით მარად ყინულოვანი მრისხანე უშბა, ქვემოთ კი, — ენგურის ვიწრო, კლდოვანი ხეობის ფერდობებზე გაშლილი, კალის საბჭოში შემავალი სოფლები და სვანური კოშკების იშვიათი სანახაობაა.

ეს ეკლესია იმდენად პოპულარული იყო სვანეთში, მისდამი ხალხის პატივისცემა და მოკრძალება იმდენად დიდი იყო რომ მისი აგების შესახებ ხალხმა ლეგენდებიც კი შექმნა.

აი, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ლეგენდაც: მეფე ბაგრატს გეგუთის ველის მოსათიბად სვანეთიდან ასი კაცი დაუბარებია. ჩამოსულ სვანებს გამომყოფია ერთი ბრგე ვაჟკაცი გვარად შალიანი, და მეფისათვის მოუხსენებია: დიდო მეფეო, ამ ველის მოთიბვას ასი კაცი რად უნდა, მარტო მე მოვთიბავ, ოღონდ ერთი თხოვნა უნდა შემისრულოო. შალიანს სათიბი მართლაც მალე მოუთიბავს და მეფისათვის ოქროს ხატი უთხოვნია.. მეფეს მისთვის სურვილი შეუსრულებია. შალიანს ძვირფასი ხატი ტყავში შეუხვევია და სვანეთში წაუღია. კალასთან მას უამრავი ხალხი დახვედრია. ხატი ჩამოურთმევიათ, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილან, რადგან ასეთი ძვირფასი ნივთისათვის წინასწარ ადგილი არ ჰქონიათ შერჩეული. მაშინ ერთ მოხუცს ხალხისათვის ურჩევია: შეაბით უღელში ორი ბუღა, უღელზე ბოძი გამოაბით, ზედ ხატი დააკარით, ხარები თავის ნებაზე მიუშვით და სადაც შეისვენებენ, ეკლესიაც იქ ააგეთო. ასეც მოქცეულან. ხარებს ენგური გადაულახავთ, აღმართს შედგომიან და იქ შეჩერებულან, სადაც დღეს ეს დიდებული ტაძარია აგებული.

იმ დღიდან ხატი იქ ასვენია.

ასეთია ლეგენდა ლაგურკას ეკლესიის აგებაზე და მინანქრიან ხატზე, რომელსაც დღესაც შალიანის ხატს ეძახიან. ლეგენდა კონკრეტულად არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ იყო ეკლესიის ამგები ან მომხატავი. ეს საკითხი მეცნიერებმა გაარკვიეს.

როგორც იქ დაცული აღწერა მიუთითებს, ეკლესიის მოსახატავად 1111 წელს მოუწვევიათ დავით აღმაშენებლის კარის სახელგანთქმული მხატვარი თევდორე. სადაური იყო თევდორე — ჩვენ არ ვიცით, შესაძლოა იგი სვანი იყო. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ სვანეთშია შემონახული თევდორეს მიერ მოხატული ოთხი ძეგლი. ლაგურკა — თევდორეს მეორე ნამუშევარია. მასზე მუშაობის დროს იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული, უაღრესად დახვეწილი გემოვნების მხატვარი ყოფილა.

რა არის თევდორეს შემოქმედებაში განსაკუთრებული და ახალი? უპირველესად სწორედ ის, რომ რელიგიური თემა ახლებურადაა გადაწყვეტილი. მასში მხატვარმა შეიტანა ადამიანური განწყობილებები და იგი ცხოვრების სინამდვილეს დაუკავშირა.




შალიანის ხატის გარეთა ნაწილი (XII საუკ.)

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა შობის კომპოზიცია, სადაც ღვთისმშობელი ჩამდვილი დედობრივი გრძნობით ეხვევა ჩვილ ქრისტეს, ან კიდევ ჯვარცმის კომპოზიცია, სადაც ჯვარცმული ქრისტეს გვერდით მდგარი იოვანეს და მარიამის სახის გამომეტყველება უსაზღვრო მწუხარებას გამოხატავს.

რატომ მოხდა, რომ სწორედ თევდორეს შემოქმედებაში იჩინა თავი ამ სიახლემ? ეს, ცხადია, იმის ბრალია, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურეკონომიურ ვითარებაში დიდი ძვრები მოხდა. ... სახელმწიფოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ... ლიერებამ წინა პლანზე წამოსწია საერო ხელისუფლება, ამან კი გარკვეულად იმოქმედა მაშინდელ რელიგიურ შეხედულებებზედაც. თევდორე ამ ეპოქის შვილი იყო და რა გასაკვირია, რომ მის შემოქმედებაშიც თავი ეჩინა ქვეყანაში მომხდარ სიახლეს!

აქვე უნდა ვთქვათ, რომ თევდორე თავისი საქმის დიდოსტატი ყოფილა. მისი კომპოზიციები თავისუფლად იშლება კედლის სიბრტყეზე, ანგელოზთა ფიგურები ლამაზად არის დაყენებული. დიდი სიზუსტით არის გადმოცემული წმიდა კვირიკეს და ივლიტეს წამების სცენები. მხატვარს ამ ფრესკებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია — ეკლესიას ხომ ამ წმინდათა სახელი უწოდეს!

კვირიკეს ეკლესიაში დაცულია ჭედური ხელოვნების რამდენიმე შესანიშნავი ნიმუში: მეთერთმეტე საუკუნის წმიდა კვირიკესა და ივლიტეს ხატი, მთავარანგელოზის ფერწერული ხატი და სხვ. ქართულმა ხელოვნებამ მაშინ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და იმ ეპოქის ყველა ძეგლი მეტად დიდი მნიშვნელობისაა ჩვენთვის.

ავირან ჩხარტიშვილი,

ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.




* * *

— ტომ, რა ატირებს შენს ძმას? —ჰკითხა დედამ შვილს.

— ის ატირებს, რომ ჩემს ნამცხვარსა ვჭამ და მაგას კი არ ვაჭმევ. —უპასუხა ტომმა.

— თავისი ნამცხვარი რაღა იყო?

— იჰ, მაშინაც ტიროდა, მაგის ნამცხვარს რომ ვჭამდი.

* * *

პოლიციელმა კაცი დააკავა და გვარი და სახელი ჰკითხა.

— ჯონ სმითი, — უთხრა დაკავებულმა.

— თქვენი ნამდვილი გვარი და სახელი მიბრძანეთ! — უბრძანა პოლიციელმა.

— რას იზამ,—მიუგო დაკავებულმა,—ჩაწერეთ, რომ უილიამ შექსპირი ვარ.

— ასე არა სჯობია?—უთხრა პოლიციელმა.—თორემ რაღაც სმითების ჩმახვით მე ვერ გამაცურებთ!

* * *

— იცი, მამა, ცირკში ერთი კაცია, ცხენს ზურგზე მოახტება, მერე ძირს ჩამოსრიალდება, მერე კუდზე მოებღაუჭება და ბოლოს კისერზე მოექცევა.

მ ა მ ა:—ადვილია, შვილო. ეგ ყველაფერი მე ცხენზე რომ პირველად შევჯექი მაშინ გავაკეთე.

* * *

— თუ დირექტორმა თავისი სიტყვა უკან არ წაიღო, მე ვტოვებ სკოლას.

— მაინც, რა გითხრა დირექტორმა?

— სკოლა დატოვეო!

* * *

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი: — რა შეგიძლიათ მითხრათ მეჩვიდმეტე საუკუნის გამოჩენილ ქიმიკოსებზე?

მ ო ს წ ა ვ ლ ე:—ისინი ყველანი დაიხოცნენ.

* * *

— რაო, ჯიმ, თევზაობ?

— არა, ჭიაყელებს ვაღრჩობ.

* * *

კაცმა მდინარის პირად მეთევზე დაინახა და ხიდიდან ჩასძახა:

— როგორ მიგდით საქმე, ბედი თუ გიმართლებთ?

— მიმართლებსო? რა ბრძანებაა! გუშინ აქ ერთი ორმოცი ქარიყლაპია მაინც დავიჭირე.

— აჰა! მერე, იცით, ვინა ვარ მე?

— არა,—მიუგო მეთევზემ.

— აქ მე მთავარი მოსამართლე გახლავართ და ეს მამულიც მე მეკუთვნის!

— კეთილი, მაგრამ თქვენ თუ იცით, მე ვინღა ვარ?!—სასწრაფოდ ჰკითხა მეთევზემ.

— არა...

— ყველაზე დიდი მატყუარა მთელ ქვეყანაზე!

ინგლისურიდან თარგმნა

ც. თოფურიძემ

[illegible]

## სირენა

დღეს სირენას უწოდებენ სასიგნალო საყვირს, რომელსაც გამყივარი ხმა აქვს და ხმარობენ გემებზე, ქარხნებში, სახანძრო მანქანებზე... ეს სახელწოდება ბერძნული მითოლოგიიდან მოდის. ბერძნები სირენას ეძახდნენ ზღვის ნიმფებს—გრძნეულ არსებებს, რომლებიც თითქოსდა ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე ცხოვრობდნენ, ტკბილი ხმით თავისთან იტყუილებდნენ ზღვაოსნებს და შემდეგ ღუპავდნენ. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა მრავალი საუკუნეა, რაც ჩვენშიაც დამკვიდრდა.

ჰომეროსის «ოდისეა» მოგვითხრობს, თუ როგორ გადაირჩინა ოდისევსმა თავი სირენებისაგან, როდესაც ერთ-ერთ მოგზაურობის დროს მათ კუნძულს ჩაუარა. ოდისევსმა ცვილით ამოულესა ყურები ყველას, ვინც ხომალდზე იყო, თვითონ კი თანამგზავრებს უბრძანა ანძაზე მიმაკარითო. როდესაც კუნძულს მიუახლოვდნენ, ოდისევსი ისე მოიხიბლა სირენების საოცარი გალობით, რომ დაავიწყდა საშიშროება და ახსნა მოითხოვა. მაგრამ მეზღვაურებს ახსოვდათ ოდისევსის გაფრთხილება და კიდევ უფრო მაგრად მიაკრეს ანძაზე. სირენები კი, რომლებსაც სიცოცხლე მხოლოდ იქამდე შეეძლოთ, სანამ ვინმე გაუძლებდა მათ გალობას, ზღვაში გადაცვივდნენ და გაქვავდნენ. მეცნიერები დღემდე დაობენ, თუ რას განასახიერებენ ალეგორიულად სირენები: ოკეანის მოღალატეობრივ სიმშვიდეს, თუ სიმღერისა და ენამზეობის მაგიურ ძალას.

ასეა თუ ისე, სირენის ხმა რაღაც საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს სახელი დაარქვეს საყვირებს, კერძოდ კი—შუქურებზე დადგმულ საყვირებს.

## კლასიკოსი

საყოველთაოდ ცნობილ მწერალს, კომპოზიტორს, რომელმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, კლასიკოსს უწოდებენ.

ამ სიტყვის ისტორია ფრიად საინტერესოა.

როგორც ცნობილია, ძველ რომში საზოგადოება ხუთ კლასად იყო დაყოფილი და ეს დაყოფა ქონების მიხედვით ხდებოდა.

ადამიანის ადგილი ამ კლასიფიკაციაში იმის მიხედვით ისაზღვრებოდა, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა იგი. ის მოქალაქეები, რომლებიც პირველ კლასში შედიოდნენ, პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ—ფაქტიურად ისინი წყვეტდნენ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ საქმეებს. ამ უმაღლეს კლასში შემავალთათვის დამკვიდრდა განსაკუთრებული სახელი—«კლასიკოსი».

შემდგომ, როდესაც ბერძენმა ფილოსოფოსებმა, რომლებიც ჰომეროსისა და სხვა მწერალთა ტექსტებზე მუშაობდნენ, მწერალთა სიები იგივე სახით შეადგინეს, როგორც რომში ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს, ყველაზე გამოჩენილი და სახელოვანი მწერლები პირველ კლასში—«კლასიკოსებში» შეიყვანეს.

ასე დამკვიდრდა ჯერ ბერძნულში, შემდეგ კი სხვა ენებში, მათ შორის ქართულშიც, სიტყვა «კლასიკოსი».



# ალო! ალო!

(ფელეტონი)

თამაზ მინდელმა არითმეტიკის სახელმძღვანელო გადაშალა კალამს წვერი გაუსინჯა და, ის-ის იყო მელანში უნდა ჩაეწო რომ, უცებ... თვალში ტელეფონი მოხვდა.

— მოდი ერთი, ანზორ ვაშაძეს დავურეკავ, იმას უკვე ამოხსნილი ექნება ამოცანები...

ანზორის ტელეფონი დაკავებული იყო. თამაზი გულმოდგინედ კრეფდა და კრეფდა ნომერს, ცივი ხმით გაჰკიოდა: — ალო! ალო! ალო!

როგორც იქნა ყურმილში ანზორის ხმა გაისმა.

—გისმენ! შენ ხარ, თამაზ? გამარჯობა! რაო? არა, არ ამომიხსნია. ნახევარ საათში დარეკე და მზად მექნება. იცი რა...

მაგრამ თამაზი აღარ უსმენდა, საჩვენებელი თითი უკვე „3"-იანში ჰქონდა ჩაყოფილი და ახალ ნომერს ჰკრეფდა.

გადაწყვიტა სერგო ომანიძისათვის დაერეკა. სერგომ იმ წამსვე უპასუხა:

— კი, ამოვხსენი! მაგრამ, მგონი შესამოწმებელია, დიდამ მითხრა, სწორად არა გაქვსო...

თამაზმა არც სერგოსთან დაამთავრა საუბარი.

— მოდი, ნინოს დავურეკავ, ჩვენი არითმეტიკის მასწავლებლის შვილს, იმას კი ნამდვილად გამოყვანილი ექნება!.. გაიფიქრა და ყურმილი აკრიფა.

ყურმილში წყვეტილი ზუმერი გაისმა — ტელეფონი დაკავებული იყო. თამაზი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, მინაზე დააორთქლა, მერე თითით ოვალი მოხაზა, შუაზე პატარა ხაზი ჩამოუსვა, აქეთ-იქით ორი წერტილი დასვა, ქვემოთ ორი პარალელური ხაზი გაუკეთა და —ადამიანის სახე მზად იყო...

ბოლოს ტელეფონმა ხმა ამოიღო, მაგრამ ძალზე ცუდად ისმოდა.

— მე ვარ, მინდელი, თამაზ მინდელი! შენი ხმა არ მესმის, — იძაჭებოდა თამაზი. — გესმის, გოგო, ჩემი ხმა? აბა დამიდასტურე, დამიკაკუნე ყურმილზე. გესმის ხომ? მაშინ ყური მიგდე. მე შეგეკითხები, შენ კი კარნახით მიპასუხე. ვერასგზით ვერ ამოვხსენი მაგალითები, მთელი საათია ვრეკავ. ვის არ დავურეკე, არავის გამოყვანილი არა აქვს. მიშველე რაღაც... რა? არ მესმის, რატომ არ აკაკუნებ? რარ, წულია? არა, ნული არ შეიძლება იყოს. აბა იანგარიშე, პირველი რიცხვი — 75 რომ მეორეზე — 95-ზე გავამრავლო და შემდეგ გავყო, არა კი არ გავყო, ჯერ მივუმატო ჯამს, შემდეგ გავყო. ხომ სწორედ ვმსჯელობ? აბა დამიკაკუნე ორჯერ, თუ მართალი ვარ. ესე იგი, შემდეგ ისევ გავამრავლო და მივიღებ ოცს? ვაშა! მზად არის... გამოვიყვანე...

ყურმილში უკვე კარგად ისმოდა ხმა.

ტელეფონის მეორე ბოლოში გარკვეულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს ნანას ხმა როდი იყო, ყურმილიდან ნანას დედის, თამაზის არითმეტიკის მასწავლებლის ხმა ისმოდა.

—სწორი ხარ, თამაზ, პასუხი მართლაც ოცია. მაგრამ ერთი ეს მითხარი, თუ ასე იოლად შეგეძლო მაგალითების ამოხსნა, რას შეაწუხე შენი მეგობრები, ჰა?

თამაზს ყურმილი ხელში შეაცივდა, ტელეფონიდან კი კარგა ხანია წყვეტილი ზუმერი ისმოდა.

# ხარბი და გულუხვი

(ქართული ხალხური ზღაპარი)

იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ქმარი დღე და ღამ ჯარასავით ტრიალებდა, მის მუშაობას ბარაქა მაინც არა ჰქონდა. ითმინა ცოლმა, ითმინა, ბოლოს ველარ მოითმინა და გაანჩხლებულმა ქმარს შეუტია:

— კაცო, გაბრიელ, მომბეზრდა მარტო ხმელა პური და ცივი წყალი! ხომ ხედავ, ჩვენობაზე ოთხრით მაჭალი კბილი არ კნავის! ადე, წადი სადმე, სამუშაო იშოვე, მთელი ქვეყანა ჩვენ დაგვცინის, როდემდე ვისხდეთ ასე გაცრეცილ კერაზედ.

— კარგი, წავალო, —უთხრა ქმარმა, —ოღონდ სამი პური გამომიცხვეო.

ცოლმა ქმარს მაშინვე გამოუცხო სამი პური. ქმარმა სამივე იღლიაში ამოიჩარა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და, კარგა მანძილი რომ გაიარა, ერთი ცხენოსანი წამოეწია. გაიცნეს ერთმანეთი. ცხენოსანმა უთხრა: პეტრე მქვიან, რაკი ორივენი ბედის საძებრად მივდივართ, ერთი გზა გვქონია, ჩვენი ჭირი და ლხინი საზიარო იყოს, დღეიდან მეგობრები გავხდეთო.

ცოტა გზაც რომ გაიარეს, ცხენოსანმა უთხრა: — რაღა ხელით ზიდო, ბარემ ეგ პურები აქ მომეცი, ხურჯინში ჩავაწყობ და შენც უფრო ხალვათად იქნებიო.

გაბრიელმა პურები მიაწოდა, ცხენოსანმა სამივე პური ხურჯინში ჩაალაგა და დაწინაურდა. დაღმართი რომ ჩაათავეს და გაივაკეს, გაბრიელმა თვალი შეასწრო, პეტრე პურსა ჭამდა, მაღა გაეხსნა და უთხრა: — მოდი, შევისვენოთ, პური ვჭამოთ, მეც მომშივდაო.

ცხენოსანი დათანხმდა. გასწიეს და წყაროს მიადგნენ. პეტრე ცხენიდან ჩამოხტა, ხურჯინიდან პურები ამოიღო, ერთი გაბრიელს მიაწოდა, ერთს თვითონ შეექცა.

ჭამა რომ დაამთავრეს, გაბრიელმა უთხრა:

—რა ვქნა, შიმშილს ისე შევუწუხებივარ, ამ ერთმა პურმა ნაწლავის ყურშიც არ გამიარა. რაც იყოს — იყოს, მოდი, ის ერთი პურიც ამოიღე, ბარემ ისიც ზედ მივაყოლოთო.

პეტრე აჰტა და დახტა: — რას მიედმოედები, გიჟი ხომ არა ხარ, სად იყო სამი პური, შენ ხომ ორი პური ჩამაბარეო?!

გაბრიელი შეეხვეწა: — ხომ სამი პური მოგეცი, ოღონდ გამოტყდი და უსაყვედურო იყოს შენზე ის მესამე პურიო.

გაჯიუტდა პეტრე, მოჰყვა ფიცს, დედ-მამა აღარ დატოვა საფლავში: — არა, ღმერთი, რჯული, მარტო ორი პური იყოო!

მეტი რა გზა იყო, დაანება გაბრიელმა თავი და განაგრძეს სიარული. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ სოფელს. ერთ ოჯახში ბალღი უკვდებოდათ. ყველას ერთი წიოკი და ვაი-ვაგლახი უდგას. ექიმებსაც ხელი აუღიათ. სულ ერთია, აღარ გადარჩებაო.

გაბრიელს ექიმის ხელობა მდიდრების კარზე მოჯამაგირეობაში ესწავლა და ახლა მოუხდა მისი გამოყენება. მივიდა ავადმყოფი ბავშვის მამასთან და მოახსენა: — ნუ წუხხართ, დამშვიდდით, მაგ ბავშვს ახლავე მოვარჩენო.



მამა სიხარულით ცას ეწია და გაბრიელს შეეხვეწა: — ოღონდ ეგ ბავშვი მომირჩინე და, რას იტყვი, რომ არ მოგცე, ქვას ქვაზე დავადნობ და ჩემ სიტყვას არ გავტეხო.

გასინჯა გაბრიელმა ავადმყოფი, გაჰკვეთა მუცელზე, ამოსჭრა რაღაც და გაჰკერა ხელახლა. ბავშვი მაშინვე შველივით წამოხტა და სიხარულისაგან ცეკვა დაიწყო.

ეს რომ იქ შექუჩებულმა ხალხმა დაინახა, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, ვინ ხელს ართმევდა, ვინ ჰკოცნიდა, ვინ ეხვეოდა... — რამდენი ტომარა ოქროთი დაგასაჩუქროო? — ჰკითხა გაბრიელს ბავშვის მამამ, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო და თავი სიზმარში ეგონა.

—ნახევარი ტომარა ოქროც მეყოფაო, — უპასუხა გაბრიელმა.

—აგრე მცირე საჩუქარი რა სათქმელია, როცა სულთმობრძავი ბავშვი სიკვდილს გადამირჩინე! ჰა, მითხარ, რამდენ ტომარა ოქროს წაიღებ, — აღარ ეშვებოდა ბავშვის მამა. მაინც რომ ვერ დაიყოლია, რაღას იზამდა, ადგა და ნახევარი ტომარა ოქრო გაატანა.

გზას გაუდგნენ, გაბრიელი — ფეხით, პეტრე — ისევ ცხენით. სოფელს რომ გასცდნენ, პეტრემ უსაყვედურა და უსაყვედურა: — არაფრის შნო შენ არ გაქვს, ექვსი ტომარა ოქრო მაინც ღირდა იმ ბავშვის მორჩენა, შენ კი ნახევარ ტომარას დასჯერდი. მთელი შენი წუთისოფელი ჭურში იჯექი, ხეპრევ! ჩიტირეკიავ! ჩქარა გამიყავი ჩემი წილი ოქრო, შენისთანა რეგვენთან მგზავრობა რა ხელს მომცემს, მე ჩემთვის წავალ, ექიმობა ხომ მეც ვისწავლეო!

დათანხმდა გაბრიელი, მისცა თავისი წილი ოქრო და ერთი—ერთი მხრით წავიდა, მეორე — მეორე მხრით.

მაგრამ თავისი გზიდან მალე მობრუნდა გაბრიელი: მოდი, ერთი იმ ცხენოსანს გავყვები, ვნახავ, როგორ მოარჩენს ავადმყოფს, ასე მალე როგორ ისწავლა ექიმობაო, — გაიფიქრა გულში და ცხენოსნის გზას გაუდგა.

იარა და იარა. შუადღისას ერთ დიდ ქალაქს მიაღწია, მაგრამ რას ხედავს: ქალაქის ნაპირას უშველებელი მოედანი ხალხითაა გაჭედილი, დგას ერთი ფაციფუცი, ყველას სახეზე შიში და განცვიფრება ალბეჭდილა. უფრო ახლოს რომ მიიწია, მოედნის შუაგულში აღმართულ სახრჩობელას მოჰკრა თვალი. იქვე მეფე და ვეზირები ბრძანდებიან. აგერ ჯალათმა ვილაც კაცს მარყუჟში გააყოფინა თავი.

გაბრიელმა აქა-იქ იკითხა: — რაშია საქმე, ვინ არის ეგ კაცი, ან რისთვის სჯიან სიკვდილითო?

— ხელმწიფეს დაჰპირდა, ქალს მო-

გირჩენო, ვერ მოარჩინა და მაგიტომაო, — უპასუხეს გაბრიელს.

მიაშტერდა გაბრიელი სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს: ეს ხომ პეტრეაო, — გა-უელვა თავში. არც აცია, არც აცხელა, იმ წამსვე მეფის ვეზირებთან გაჩნდა და შე-ეხვეწა:

— ძალიან გთხოვთ, ეგ კაცი ჩამოხს-ნათ, ჩემი ძველი ნაცნობია, რაღაც უნდა ვუთხრა, თუ დამთანხმდა, თქვენს ქალს ორივენი მოვარჩენთ, თუ არა და სად გა-გექცევათ, მერე ჩამოახრჩეთო.

მეფემ და ვეზირებმა გაბრიელის თხო-ვნა შეისმინეს და პეტრე ჩამოხსნეს. გა-ბრიელმა პეტრე განზე გაიხმო და უთხ-რა: — ოღონდაც თქვი, რომ სამი პური იყო, და სიკვდილისგანაც გადაგარჩენ, ეს ქალიც ორივემ ერთად მოვარჩინოთ და აღებული ფულიც შუაზე გავიყოთო.

პეტრე მაინც თავისას არ იშლიდა: — არა, ორი პური იყოო! — რა არა სცადა გაბრიელმა, მაგრამ არ იქნა და პეტრეს სიმართლე ვერ ათქმევინა. — მე ჩემი სათქმელი ვუთხარი ახლა თქვენ თვითონ იცითო, — მოახსენა გაბრიელმა ვეზი-რებს, თან მოუბოდიშა: — დრო წაგარ-თვითო.

ადგნენ და პეტრეს ისევ გააყოფინეს მარყუჟში თავი.

— ახლა მაინც გამოტყდი, რომ სამი პური მოგეცი, და სიკვდილისაგან გიხ-სნიო, — ასძახა გაბრიელმა სახრჩობე-ლაში თავგაყოფილს.



— სამი კი არა, ორი იყოო! — ჩამოს-ძახა პეტრემ.

ოხ, შენ თუ სიმართლე არ გათქმევინე, კაცი ნუ ვყოფილვარო, — გაიფიქრა გა-ბრიელმა და ვეზირებს მოახსენა: — ჩა-მოხსენით ეგ რეგვენი, ავადმყოფს მე მო-ვარჩენო.

ვეზირებმა გაბრიელს თხოვნა შეუს-რულეს, პეტრე ისევ ჩამოხსნეს.

გაბრიელმა სასწრაფოდ მოარჩინა ავა-დმყოფი, — ხელმწიფის ქალს ისევ ის სილამაზე და ლაზათი ეწვია.

ხელმწიფეს სიხარულით ფრთები შე-ესხა, მივიდა გაბრიელთან და ჰკითხა: — რა მოგცეო.

— ორი ტომარა ოქრო, მეტი არ მინ-დაო, — მიუგო გაბრიელმა.

ხელმწიფე რამდენს არ ეჩიჩინა: — მეტი აიღე, დღეს ჩვენთვის ამომავალი მზე ხარო. — მაგრამ არაფერმა არ გაჭ-რა.

აიღეს საფასური და გზა განაგრძეს. ცხენოსანი ისევ წაეჩხუბა: — ეგ ოქრო გინდა ცალ ყურში ჩამაყარე, რატომ მეტი არ გამოართვი, მომეცი ჩქარა ჩემი წილი, მე ისევ ჩემთვის წავალო! — ღა-რიბი უარს როგორ ეტყოდა, გავიდნენ თუ არა ვაკეზე, გაბრიელმა წამოყარა ოქროები და გაყოფა დაუწყო. უყურებს პეტრე და გუნებაში უკვირს: ჩვენ ხომ ორნი ვართ და ამ ოქროს სამად რადა ჰყოფსო?

— აბა, ახლა გავიყოთო, — უთხრა გაბრიელმა და დაიწყო: — ეს ერთი გროვა — მე, ეს ერთი გროვა — შენ, ეს მესამე კი...

— მესამე გროვა ვილასო? — ვეღარ მოუთმინა გულმა პეტრეს.

— მესამე გროვა იმას, ვინც მესამე პური შეჭამაო! — უპასუხა გაბრიელმა.

— მესამე პური მე შევჭამე და ეგ მე-სამე გროვაც მე მერგებაო! — გამოტყდა პეტრე.

* * *

აქ წყდება ზღაპარი, ბავშვებო! ოღონდ ორიოდ სიტყვა ჩვენც დავუმა-ტოთ. მისცა თუ არა ორი წილი ოქრო გაბრიელმა პეტრეს, — კარგად არ ვიცი. ერთი კი ნათელია: კოკა წყალზე გატ-ყდება და, კიდეც რომ ოქრო მიცემული ჰქონდეს, შემოხვდება ვინმე ჯანიანი ბი-ჭი ხარბსა და რეგვენს, ხათრსა და რიდ-ზე ცოტა უკაცრავად იქნება, შემოჰკრავს ერთს კაი ალიყურს, არმად ნახვეჭს და-აყრევინებს, შეჯდება იმის ცხენზე და თითივით დასტოვებს შუა გზაზედ...

ამას გვასწავლის ეს ჩვენი ზღაპარი.

ჩაწერა და დაამუშავა

გიორგი შეთეკაურმა

ნახ. კ. ყარაშვილისა

## საინტერესო თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 80 დღე-ღამე კოლბაში

როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაძლებს ცოცხალი არსება ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში? ყოველი თქვენგანი დაუფიქრე-ბლად გვიპასუხებს: რა თქმა უნდა, ცოტა ხანს, სანამ ჟანგბადი ეყოფა!

აი, თურმე თაგვმა კი 80 დღე-ღამე გაძ-ლო და შეეძლო კვლავაც ეცოცხლა, სასმე-ლი წყალი მთლიანად რომ არ [illegible]. სრულებით არ გრძნობდა თავს ცუ-დად. კიდევაც წონაში მოიმატა [illegible] ოთხი გრამით, რაც არც თუ ისე ცოტაა თაგვისათვის, იგი სულ რაღაც [illegible] გრამს იწონიდა.

გარდა ამისა, ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ცდის დასასრულს ჟანგბადი [illegible] ჭურჭელში, ხოლო ნახშირორჟანგი [illegible] ნაკლები, ვიდრე ცდის დასაწყისში.

რა საოცარი იყო ასეთი? საიდუმლო ადვილი ასახსნელია: თაგვთან ერთად მეც-ნიერებმა ჭურჭელში მოათავსეს [illegible] რა ქლორელას მიკროსკოპული წყალმცე-ნარე, რომელიც თაგვის მიერ ამოსუნთქულ მავნე ნახშირორჟანგა აირს შთანთქავდა და მას ნახშირბადად და ჟანგბადად შლიდა. ნახ-შირბადისაგან ქლორელა [illegible] თავის ახალ უჯრედებს და იზრდებოდა, ჟანგბა-დით კი თაგვი სუნთქავდა.

რა თქმა უნდა, მეცნიერები ცდებს თაგ-ვის საკეთილდღეოდ არ აწარმოებენ. ისინი ეძებენ საიმედო საშუალებებს კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟებისა და სხვა მუშაკე-ბისათვის, რომელთაც მთვარესა და სხვა პლანეტებზე, კოსმოსურ სადგურებზე მო-უხდებათ ხანგრძლივი ყოფნა.

თაგვზე წარმოებულმა ცდებმა [illegible], რომ ქლორელა და სხვა წყალმცენარეები გამოსადეგია ამ მიზნით.

### ორთავიანი ანკარა

ცოცხალ ანუ ორგანულ ბუნებაში, რო-მელიც ფლორისა და ფაუნისაგან შედგება, ბევრ საოცარ სურათს პოულობენ ნატურა-ლისტები. ყოველ ჩვენგანს სმენია ცხოვე-ლები, რომლებიც გველს [illegible], მათ შო-რის არიან ისეთებიც, რომლებიც ჩვენთვის არც იმდენად საშიშნი არიან, მაგრამ მაინც არ გვიყვარს ისინი. ასეთია ანკარაც. ნატუ-რალისტებს აღწერილი აქვთ შემთხვევა, ან-კარას ერთი თავის ნაცვლად ორი თავი ჰქონდა.

სურათზე აღბეჭდილია ორთავიანი ანკა-რა, რომელიც შეხებისა და [illegible] ორივე თავს მაღლა სწევდა და ორივე ენას გადმოაგდებდა.

# გაქვავებული ტყე

წარსული წლის ზაფხულში მდინარე აჭარისწყალზე თევზების გამოკვლევის დროს ავედით ამ მდინარის სათავეში. იქვე, საზაფხულო საძოვრების ქვევით, ტყეში, მდინარეზე გადასასვლელთან შევისვენეთ. მდინარის კალაპოტი გზის ზევით საკმაოდ დაქანებული იყო, ნაპირებზე დიდი მეწყერი გაეჩინა, ეტყობოდა ახალი წარმოქმნილი იყო. გაშიშვლებული, შავი თუ ნაცრისფერი ქვა-ქვიშიანი, გაფხვიერებული ქანები იმჟამადაც ეშვებოდა თავქვე...

ერთმა ჩვენმა აჭარელმა თანამგზავრმა მიმიყვანა მეწყერთან. ტალახიდან ამოიღო სველი, შლამიანი, კარგა მოზრდილი რაღაც შავი ქვის ნატეხი, გადმომცა და თან დააყოლა:

— აბა, დააკვირდით, ასეთი ტოტებიანი ქვა თუ გინახავთ სადმე?

მე გაოცებული დავრჩი — ქვა იყო ნამდვილი და ამავე დროს ტოტები ჰქონდა...

— ამას აჭარაში სოჭის ქვას ეძახიან. ხეა გაქვავებული, ალბათ, სოჭის ხე, რაკი ასე ეძახის ხალხი, — განაგრძო მან, — აქ იგი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი, ხმარობენ სალესად, განსაკუთრებით ცელის გასაფხავებლად. გავრცელებულია მხოლოდ ამ ადგილებში — აქედან დაწყებული, სამხრეთით, გოდერძის უღელ-ტეხილამდე. აქედან მიაქვთ შორეულ კუთხეებშიც კი. ზოგი ისეთი მაგარია, — მინასაც ჭრის.

გამახსენდა ჩვენი ცნობილი მეცნიერების გამოკვლევები გოდერძის გადასასვლელის განამარხებული ტყის შესახებ. წაკითხულის შემდეგ, რაკი საკუთარი თვალით ვნახე, უფრო მიმიზიდა. ის ახლა მორღვეული ქანებით, გაქვავებული ტყის ნარჩენებით, ჩვენს წინ იდგა როგორც უხსოვარი დროის უბადლო სანახაობა... აქა-იქ ეყარა გაქვავებული ხეების ნამსხვრევები, ნაშეწყალში ჩანდა წაქცეული, გადახრილი, ვერტიკალურად მდგარი, ზოგან ერთი მეორეზე მიყრილი ტოტებიანი ხის ღეროები. ერთ მათგანს ფესვებიც შერჩენოდა, ეტყობოდა ისევ თავის პირვანდელ ადგილზე იდგა.

ზოგი ისეა გაქვავებული და კაჟის ხსნარით გაჟღენთილი, რომ დაუკარგია ძველი ხის ღეროს შემადგენლობა და ნამდვილი ქვის გარეგნობა აქვს. ჩაქუჩის დარტყმით ზოგი ადვილად ტყდება, ზოგი ისეთი მაგარია, დიდი ძალაა საჭირო ნაპირი ჩამოსტეხო. ასე ძლიერ გაქვავებული ნატეხი მინას ფხაჭნის და ზედ კვალს სტოვებს. ასეთია შავი ქვა-ხე, რომელიც მართლა წიწვიანებს წააგავს. გვხვდებოდა ისეთი რბილი, ნაცრისფერი ნატეხებიც, რომლებიც ხელში ადვილად იფშვნებოდა.

გაქვავებული ხეების ნატეხები სხვადასხვა ფერისაა: შავი, ყვითელი, ნაცრისფერი, მოწითალო, ნახევრად გამჭვირვალე, ან მთლად ნახშირისფერი. სჭარბობს ყვითელი და შავი ფერისა.

ზოგი ნატეხის მერქანს კარგად ემჩნევა გულის სხივები, ნათლებად ემჩნევა წლიური რგოლები. გარეგნულად ზოგი ნეკერჩხალს წააგავს, ზოგი წიფელს, ზოგი მუხას, წიწვიანი ხის ჯიშების აღნაგობა გარკვევით ჩანს.

ამ მოგზაურობის შემდეგ კიდევ უფრო დაწვრილებით გავეცანი გაქვავებული ტყის ამბავს და გადავწყვიტე ბავშვებსაც ვუამბო მისი თავგადასავალი.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იმ ადგილებში, სადაც მიწის ქვეშ განამარხებული გაქვავებული ტყეა, ახლანდელი აჭარის ქედის წარმოქმნამდე უნდა ყოფილიყო საუკუნოვანი სუბტროპიკული ტყით დაფარული მცირე მაღლობები. ზღვის დონიდან დაახლოვებით 400-1300 მეტრის სიმაღლეზე. ჰავა იყო თბილი. ტყე შედგებოდა ძირითადად მარადმწვანე მცენარეებისაგან, უმეტესად დაფნის ხეებისაგან, იყო აგრეთვე წიწვიანები და ახლანდელი ტყის ზოგიერთი სხვა ჯიშები...

მოხდა ძლიერი მიწისძვრები, წარმოიქმნა ვულკანი, იქიდან ამოფრქვეული ცეცხლიანი მდუღარე ტალახისა და ფერფლის ღვარები ეშვებოდა ტყიან ფერდობზე, ანგრევდა, სწვავდა, თან მოჰქონდა ყველაფერი და ფარავდა ყველაფერს. მდუღარე ტალახის დიდი ფენების ქვეშ მოქცეული ტყე იმარხებოდა, განიცდიდა სწრაფად გაჟღენთვას, გაკაჟებას, ხდებოდა ფოთლების ანაბეჭდების წარმოქმნა.

ამგვარად, სქელი ვულკანური ფენების ქვეშ, გარესამყაროსგან სრულიად მოწყვეტილი, დღემდე შემონახულ იქნა უძველესი განამარხებული, გაქვავებული ტყე.

იმ ხნიდან, იმ ადგილებში, მიწისძვრებით, ვულკანური ამოფრქვევებით გადასხვაფერდა დედამიწის ზედაპირი — წარმოიქმნა უფრო მაღალი მთაგრეხილები, შეიცვალა ჰავა; დროთა განმავლობაში განამარხებული, გაქვავებული ტყის ადგილას გაჩნდა სხვა ჯიშებისაგან შემდგარი ტყე, რომელიც ამჟამად არსებობს. ახლა რომ იმ გაუვალ ტყეს აკვირდებით, გგონიათ, აქ არაფერი მომხდარა, ხოლო ამავე დროს თვალს გტაცებთ გაქვავებული ტყის ნამსხვრევები და უნებლიედ გადადიხართ შორეულ წარსულში.






## მოდერნიზებული სათვალე

რა მოუვიდა ამ ადამიანს? რომელმა მძიმე ავადმყოფობამ დაუზიანა თვალები? არა, ამ ახალგაზრდა ამერიკელ ინჟინერს თვალები სულაც არ სტკივა. იგი რეკლამას უკეთებს თავის გამოგონებულ სათვალეს, საწმენდი მოწყობილობით. არ შეიძლება არ აღფრთოვანდე ინჟინრის გონებამახვილობითა და შრომისმოყვარეობით, მაგრამ დათანხმდება კი ვინმე ატაროს ასეთი მძიმე და მოუხეშავი მოწყობილობა?



ხომ არ სჯობს სათვალის მინა ისევ ძველი მეთოდით, ცხვირსახოცით ან ხელთათმანით გაწმინდოს კაცმა?!

## წყალსაცავი

რა არის ეს? უზარმაზარი საყვავილე თუ სატელევიზიო სადგურის ანძა?

არც ერთი და არც მეორე. ასე გამოიყურება საფრანგეთის ქალაქ აიმენში ამას წინათ აგებული წყალსაცავი. მასში 400 კუბური მეტრი წყალი ეტევა. ბოლო ხანებში ასეთი წყალსაცავები საფრანგეთის ბევრ ქალაქში ააგეს. ფრანგ ინჟინრებს თავისებური შეჯიბრი აქვთ გამართული:



ცდილობენ წყალსაცავების რაც შეიძლება ფანტასტური ფორმა მოიგონონ, მაგრამ ისე, რომ არ დაამახინჯონ ქალაქის ხედი.

## „მფრინავი თეფშები"

უკანასკნელ ხანებში ბევრ ქვეყანაში ცდილობენ ააგონ მანქანა, რომელიც ბორბლების გარეშე, „ჰაერის ბალიშზე» დაყრდნობით იმოძრავებს. მაგრამ ამ მანქანებს ერთი საერთო ნაკლი აქვს: მიწის ზედაპირს დიდზე ვერ სცილდებიან და უსწორმასწორო რელიეფზე სვლა უჭირთ. კონსტრუქტორები ცდილობენ ისე გააუმჯობესონ ახალი მანქანა, რომ გზაზედაც თავისუფლად იმოძრაოს და თან მაღლა, ჰაერში აფრენის უნარიც ჰქონდეს.

ერთი ასეთი მანქანა — «ავრიკარი» ახლახან კანადაში დაამზადეს.

ორი რეაქტიული მოტორი ჰაერის ნაკადს ისეთი ძალით გამო[illegible] რეთ, რომ მანქანა ჰაერში [illegible] იქ ჰკიდია. აპარატის კორპუსი კი ისეა მოწყობილი, რომ იგი მთლიანად ფრთის მოვალეობას ასრულებს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარეა 415 კილომეტრი საათში, საშუალო —270. მას უნარი აქვს 3000 მეტრზე ავიდეს მაღლა. არც წონა აქვს მაინც და მაინც დიდი—2,5 ტონაა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდამ ინჟინრები რამდენიმე ახალ, ჯერჯერობით გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დააყენა, მაინც ფიქრობენ, რომ ამ მანქანას დიდი მომავალი ექნება.

შესაძლოა ზოგიერთმა თქვენგანმა იკითხოს, რატომ აქვს მანქანას თეფშისებური ფორმა. საქმე იმაშია, რომ ბადროს ფორმა ყველაზე ხელსაყრელია, ატმოსფეროს გახშირებულ ფენებში, ე. ი. დედამიწის ზედაპირის სიახლოვეს ფრენისათვის.

## უჩინარი რადიომიმღებები

სავსებით სხვადასხვაგვარ საგნებს რომლებსაც თქვენ სურათზე ხედავთ, ერთი საერთო თვისება აქვთ—ისინი რადიომიმღებები არიან. იაპონიის მრეწველობა მცირე ზომის რადიომიმღებებს ამზადებს; ეს რადიომიმღებები ისე თავსდება საათში, ტელეფონში, კალენდარში, სურათში, ელექტრონათურაში და სხვა საგნებში, რომ გარეგნულად მათი შემჩნევა შეუძლებელია.

ასე რომ, ყოველი ეს ნივთი თავის ძირითად დანიშნულებასთან ერთად, რადიომიმღების მოვალეობასაც ასრულებს.



# მოკლედ ყველაფერზე

## „მოცეკვავე ტყე"

— ტყე! — ვიტყვით ამ სიტყვას და რამდენი სიკეთე დაგვიდგება თვალწინ!

შუა რუსეთის მცხოვრებთაგან მრავალგზის ნაქები და ხოტბაშესხმულია არყის ტყე, ლამაზი წერწეტი არყის ხეებით.

მაგრამ არა ყველგან და არა ყოველთვის შევხვდებით არყის ხეებს მწყობრად და ლამაზად აღზრდილთ. სურათზე თქვენ ხედავთ არყის ხის ტყეს, სადაც ხეები უშნოდ დაგრეხილან, თითქოს ცეკვავენო.

ასეთი არყის ტყეები ამახინჯებენ ბოროვოეს ტბის ნაპირებს ჩრდილოეთ ყაზახეთში.



თოვლსა და ნამქერთან, მკაცრ კლიმატურ პირობებთან ახალგაზრდობიდანვე არსებობისათვის ბრძოლამ ასე დაამახინჯა სილამაზით განთქმული არყის ხეები.

სწორედ ასე გონჯად აღზრდილ არყის ხეებს უწოდა ხალხმა „მოცეკვავე ტყე".

## ატომური მეტეოსადგური

აქსელ ხაიბერგის კუნძული კანადის ჩრდილოეთით, ყინულოვან ოკეანეში მდებარეობს. იგი უკაცრიელი და უდაბურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანადის ნაპირებზე იქიდან ყოველ სამ საათში ღებულობენ ამინდის ბიუროს ცნობას.

ვინ გადმოსცემს ცნობებს? ავტომატური მეტეოსადგური! სადგურის მოწყობილობა და რადიოგადამცემი რადიოაქტიური სტრონცის ატომური ენერგიით იკვებებიან. სტრონცის დაშლისას განუწყვეტლივ გამოიყოფა სითბო, ხოლო რადიოგამტარის სამოცი პაწაწინა ელემენტი ამ სითბოს ელექტროენერგიად გარდაქმნის.

ატომური სათბობი მეტად ეკონომიურია: ნახევარი კილოგრამი სტრონცი-90-ის ენერგია, სპეციალისტების გამოანგარიშებით, ყინულოვანი უკაცური სადგურის მუშაობას მთელი ორი წლით უზრუნველყოფს.

## სათვალეები

სათვალეები გამოიგონეს ვენეციაში, შვიდი საუკუნის წინათ, მეცამეტე საუკუნეში. რასაკვირველია, მაშინდელი სათვალეები არ გავდა ახლანდელს. ჩარჩოს ხისას, ან სპილოს ძვლისას უკეთებდნენ ამიტომ, სიმძიმის გამო, მათი ცხვირით ტარება წარმოუდგენელი იყო. სათვალეს იმაგრებდნენ ქუდზე, ბერეტზე, შლიაპაზე.

იყო იმ დროს სხვადასხვაგვარი სათვალეებიც: გამადიდებელ მინას გრძელტარიან ხის ჩარჩოში ათავსებდნენ და თან დაჰქონდათ, როცა რაიმეს უკეთ დანახვა დასჭირდებოდათ, — თვალებთან მიიტანდნენ.

საუკუნეებმა განვლო, ვიდრე სათვალე თანამედროვე სახეს მიიღებდა. სათვალეების გამომგონებლის სახელს ჩვენამდე არ მოუღწევია, იგი საუკუნეებში მიიკარგა.

## მცენარე-გველი

ვინ დაიჯერებს, მცენარე-გველი არსებობსო, მაგრამ, თუ ამ სურათზე აღბეჭდილ მცენარეს დავაკვირდებით, იგი თავისი გარეგნობით მართლაც რომ მახრჩობელა გველს მოგვაგონებს.

მას ეწოდება გლიცინია. გლიცინია საუკეთესო დეკორატიულ მცენარედ ითვლება. დიდი წარმატებით გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში — ტალავრების ანუ ფანჩატურებისათვის.





## პატეფონის ბუნებრივი ნემსები

პატეფონის ფირფიტებისათვის, ყველამ ვიცით, არსებობს მეტალის ნემსები, რომლებიც დიდი-დიდი ორი-სამი ფირფიტის მოსასმენად გვყოფნის. მაგრამ არის მცენარე, რომლის ეკლები პატეფონის ნემსებს სცვლის, უფრო კარგ ხმას გამოსცემს და უფრო გამძლეც არის, ვიდრე მეტალის ნემსები.

ეს გახლავთ მცენარე გლედიჩია, რომელიც გარდა იმისა, რომ პატეფონის ნემსებით გვამარაგებს, ბაღ-პარკებს ლობეებად ავლია და დარაჯად გვემსახურება.

## ფული ზღვის ფსკერზე

ამერიკელმა არქეოლოგ-აკვალანგისტებმა თურქეთის სანაპიროსთან ხმელთაშუა ზღვის ფსკერი გამოიკვლიეს და ოცდარვა ჩაძირული ხომალდი აღმოაჩინეს. ხომალდების უმრავლესობა ძველბერძნული და ბიზანტიურია.

ყველაზე საინტერესო აღმოჩენა — ბრინჯაოს ხანის ხომალდია, რომელზედაც ბრინჯაოს ხანის იარაღია ნაპოვნი. იმ იარაღს სამი ათას ხუთასი წლის წინათ ატარებდნენ კუნძულ კვიპროსის მკვიდრნი.

რა მიჰქონდა ხომალდს კვიპროსიდან დასავლეთისაკენ? ტვირთის უმეტეს ნაწილს წარმოადგენდა სპილენძის ზოდები, რომლებსაც ხარის ტყავის ფორმა ჰქონდათ. საქმე იმაშია, რომ ძველად პირუტყვი და ტყავი — ფულის როლს თამაშობდა. შემდეგში, როცა ლითონის ფული შემოიღეს, იმ ლითონს ძველი ფულის — მაშასადამე, ტყავის ფორმას აძლევდნენ პირველ ხანებში.

კუნძულ კვიპროსის სპილენძის მაღაროები განთქმული იყო ძველ სამყაროში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბევრ ევროპულ ენაში სპილენძის სახელწოდება ამ კუნძულის სახელწოდებიდან წარმოიშვა.

ჩვენი მისამართი:
თბილისი,
პლეხანოვის, 91
ტელ. 5-07-43.

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული". უე 09684 ტირ. 27.000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 7/XII-62 წ.
სტამბის შეკვ. 2004. გამომც. შეკვ. 898. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ [illegible].
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

# უცხო ფრინველები




## ფრინველებს ზრდილობა აქვთ

პოლარულ ქვეყნებში ცხოვრობენ საინტერესო ფრინველები, რომლებსაც პინგვინებს ეძახიან. პინგვინები ფერით და სიდიდით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ამის მიხედვით წარმოშობენ სხვა და სხვა სახეობას. სიდიდით ერთნი მეტრამდე აღწევენ, მეორე სახეობისანი კი ჩვეულებრივი იხვის ოდენები არიან. მოკლე ფრთები აქვთ და ფრენა არ შეუძლიათ. წყალში კარგად ცურავენ დიდი ღელვის დროსაც. ხმელეთზე მოძრაობა მხოლოდ ვერტიკალურ მდგომარეობაში შეუძლიათ და ისიც ზანტად. ცხოვრობენ ერთად ათიათასები, ხშირად მილიონობით შეიყრიან ერთად თავს, მაგრამ წესრიგი აქვთ, მოხუცები ცალკე სხდებიან და ახალგაზრდები ცალკე. ძალიან უყვართ ერთად სეირნობაც, ყოველ ჯგუფს თავისი წინამძღოლი ყავს.



როცა მოსეირნე პინგვინების ჯგუფები ერთმანეთს შეხვდებიან, ჯგუფების მეთაურები ერთმანეთს თავის დაბლა დახრით ესალმებიან და თავთავის გზას განაგრძობენ.

თუ მოხდა შემთხვევა და ერთი ჯგუფის მეთაურს მეორე ჯგუფის მეთაურმა სალამზე არ უპასუხა, მეორედ დაუკრავს თავს, მესამედაც, და თუ არც ახლა უპასუხეს სალამზე — ატყდება ერთი ამბავი, აურზაურით მიცვივდებიან ერთმანეთს და მიბეგვავენ უზრდელს.

ზრდილობიანმა პინგვინებმა ერთხელ კარგად მიბეგვეს მკვლევარ შეკლტონის ერთ-ერთი მეზღვაური, რომელმაც თავი არ დაუკრა პინგვინების ჯგუფის მეთაურს.

პოლარული ექსპედიციის წევრებმა ჭკუა ისწავლეს და, რაკი პინგვინების ხასიათი გაიგეს, შემდეგში პინგვინების ჯგუფს რომ შეხვდებოდნენ, ერთ-ერთი მათგანი წინ მიეგებებოდა და თავს დაუკრავდა ხოლმე მათ მეთაურს. მეთაური პინგვინიც სალამს არ აყოვნებდა, თავის დაბლა დახრით პასუხობდა და თავის ჯგუფთან ერთად დინჯად განაგრძობდა გზას.

## მეთაფლიები

სამხრეთ აფრიკაში ადგილობრივ მცხოვრებთათვის ოდითგან ცნობილია უცნაური ქცევის ჩიტები კოდალათა ოჯახიდან. ამ ჩიტების ერთ სახეობას თაფლიჭამიას უწოდებენ, მეორეს — ფუტკრის ოჯახის მიმგნებლებს. ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. ეს სახელები მათ იმის გამო შეარქვეს, რომ ერთსაც და მეორესაც თაფლის, სანთლის და ფუტკრის ჭამა უყვართ და ადამიანსაც ეპატიჟებიან ფუტკრის ოჯახის ადგილსამყოფელისაკენ. ცხოვრობენ ტყიან ადგილებში წყვილ-წყვილად, იშვიათ შემთხვევაში ჯგუფურადაც. სიდიდით ბეღურაზე მოზრდილი, მკვრივი ჩიტებია, ფრთები მოგრძო აქვთ, კუდი და ფეხები — მოკლე, კლანჭები — ძლიერი.

სამხრეთ აფრიკის ტყეებში მობინადრე მეთაფლია ანუ თაფლიჭამია პირველად, როგორც ბრემი გადმოგვცემს, აღუწერია 1681 წელს ლუდოლფს, 1728 წელს აბისინიაში მოგზაურობისას — ლობოს. ამ ჩიტის საინტერესო ქცევა აღწერა მოგზაურმა შპარმანმაც.

ჩიტები ფრთხიალით და საკმაოდ ძლიერი, მაგრამ სასიამოვნო ხმით ჭიკჭიკებენ, ადამიანის მახლობლად დაფრენენ და ეპატიჟებიან, გამოგვყევითო. ყურადღებას რომ მიიქცევენ, ხიდან ხეზე გადაფრენით ადამიანი ტყეში მიჰყავთ იმ ფუღუროიან ხესთან, სადაც ფუტკრის ოჯახი ეგულებათ. ადამიანები მახვილი დანებით ჭრიან სკიდან თაფლიან ფიჭებს, მზამზარეულად და უშრომლად შოულობენ მშვენიერ თაფლს, ჩიტები კი პირს იტკბარუნებენ ამ დროს მიწაზე ჩამოღვენთილი თაფლის წვეთებით და იმ ნაწილით, რასაც მას ადამიანები დაუტოვებენ საფუტკრედან.

რაკი ადამიანებმა მეთაფლიების სასარგებლო თვისება გაიგეს, ახლა უკვე თვითონვე ტყეში ხეებზე ჯოხების შემორტყმით და სტვენით ეძახიან ამ მეგზურ ჩიტებს. ჩიტებიც გამოძახილს გამოძახილითვე პასუხობენ და მალე ჭიკჭიკით მათთან გაჩნდებიან ხოლმე საფუტკრისაკენ გასამგზავრებლად. ასე დამყარდა ამ ჩიტებსა და ადამიანთა შორის ასეთი ურთიერთგაგება და დახმარება.

**ანა ნემსაძე**



### პასუხები

#### სცადე, წაიკითხე!

I. მერკური; II. ვენერა; III. დედამიწა; IV. მარსი; V. იუპიტერი; VI. სატურნი; VII. ურანი; VIII. ნეპტუნი; IX. პლუტონი; X. ორბიტა; XI. აპოგეა; XII. ჩკალოვი.

დიდება პლანეტებისაკენ წინსვლის პიონერებს, გმირ კოსმონავტებს იური გაგარინს, გერმანე ტიტოვს, ანდრიან ნიკოლაევს და პავლე პოპოვიჩს.

#### ამოცანა

ბიჭიკო იწონის ექვს ფისოს.

#### დროის მოგება?

დროში ვერ მოიგებდა. გზის მეორე ნახევრის გავლაზე დასჭირდებოდა ზუსტად იმდენი დრო, რაც სულ მთელი გზის გავლაზე დაეხარჯებოდა ავტომობილით რომ ევლო.

